# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 4 აპრილი 2008 №075 (3299) ფასი 50 თეთრი




# ვან გაალი, პასარელა, გიუნეში და ოლსენი









## საქართველო კიდევ 21-ს არჩევს

ლუის ვან გაალი, დანიელ პასარელა, შენოლ გიუნეში, მორტენ ოლსენი — რა აქვთ მათ საერთო და, ოთხივე მათგანს გაუწვრთნია თავისი ქვეყნის ნაკრები და რაც ჩვენთვის ყველაზე მთავარია, საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელობის შანსი აქვთ.

ეს გუშინ სანდო წყაროდან შევიტყვეთ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან **უჩა უგულავასთან** გადავამოწმეთ, რომელმაც ინფორმაცია არც დაგვიდასტურა და არც უარყო...

— სია საკმაოდ გრძელია, 20-25 მწვრთნელის გვარია, ამიტომ ყველას კანდიდატს ჯერ ვერ დავარქმევთ. ათიოდ დღეში საბოლოო კანდიდატთა სია უკვე ცნობილი იქნება.

**— პრიორიტეტი რას მიენიჭება: მწვრთნელის ავტორიტეტს თუ ქართული ფეხბურთის სტილთან სიახლოვეს?**

— ცხადია, ორივე ერთად უკეთესია. ამასთან, უნდა აკმაყოფილებდეს ყველა პირობას. მწვრთნელის მხრიდანაც უნდა იყოს დაინტერესება, რომ მას საქართველოში მუშაობა სურს.

**— თემურ ქეცბაიასთან ხომ არ გისაუბრიათ ბოლოხანს?**

— არა. ამ დღეებში აუცილებლად ვისაუბრებთ.

**— შეიძლება, დანამდვილებით თქვათ, რომ მაისის ბოლოს ესტონეთთან და პორტუგალიასთან მატჩებამდე მწვრთნელი დანიშნული იქნება?**

— აუცილებლად. ჩვენ სულაც მაისის დასაწყისისთვის გვინდა, ეს საკითხი გადაწყვეტილი იყოს. სია გრძელია და კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ.

**ილია ნანოგაშვილი**

## ხვალინდელ „სარბიელში“

სამი დღეა, კითხვა, ვინ იქნება საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი, ქართული ფეხბურთის ისტორიაში მეცამეტედ დაისვა. ახლა კონკრეტული გვარების ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს, რაკი ნებისმიერი უმუშევარი მწვრთნელი პოტენციური კანდიდატია. ჯერჯერობით კითხვას, ალბათ, უფრო მარტივი ფორმა უნდა მივცეთ.

ქართულ სპორტულ ჟურნალისტიკაში უიშვიათესი შემთხვევაა, როდესაც გაზეთი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვას აწყობს.

### ქართველი თუ უცხოელი?

„სარბიელმა“ სატელეფონო გამოკითხვა მოაწყო და აბსოლუტურად შემთხვევით შერჩეულ რესპონდენტებს ამ ერთადერთი კითხვით მიმართა. გამოკითხვის შედეგებს და ანალიზს ხვალ გაგაცნობთ.

# მირკოს მაკრო: ლიგა და მსოფლიო

## ვუჩინიჩისთვის საქართველო ჩერნოგორიის სწორია

„სარბიელის“ კითხვებს ჩერნოგორიის ნაკრების ლიდერი და იტალიური „რომას“ ფორვარდი პასუხობს

*კობა ინასარიძის ინტერვიუ მირკო ვუჩინიჩთან*

## ხვალ: თქვენი ინტერვიუ

# ლევან ყენიასთან

«შალკე» გელზენკირხენი. გერმანია



# ციმბირი გველის!

12 აპრილს საქართველოს ნაკრები ერთა თასის მთავარ მატჩში რუსეთის ნაკრებს შუაგულ ციმბირში, კრასნოიარსკში ეთამაშება. სწორედ ამ ჯახში გაირკვევა ერთა თასის მფლობელი, თორემ თვის ბოლოს რუსეთი მახაჩკალა ჩეხეთს სტუმრად და საქართველოს ესპანეთს შინ რომ მოუგებს, ამას წყალი არ გაუვა.

საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ავსტრალიელმა ტიმ ლეინმა სარუსეთოდ 23-კაციანი შემადგენლობა დაასახელა. სამატჩო განაცხადში 22 მორაგბე მოხვდება, თუმც ვინიცობაა, შეკრებაზე ვინმემ ტრავმა მიიღოს და ლეინს შემცვლელი ჰყავდეს, კრასნოიარსკში ოცდასამივე მორაგბე ჩავა.

ჩვენები შეკრებას 6 აპრილს, კრასნოიარსკშივე დაიწყებენ. აქვე ვთქვათ, რომ რაც ლეინი ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა, ოპტიმალური შემადგენლობა ვერ შეკრიბა. ამჯერად, რუსეთთან ვერ ირაგბებენ ძირითადი შემადგენლობის უკანახაზელები ბესიკ ხამაშურიძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, ირაკლი გიორგაძე და ირაკლი მაჩხანელი. მაჩხანელი ფრანგულმა კლუბმა „მონდე მარინიმ“ არ გაათავისუფლა, დანარჩენებს კი ტრავმები აქვთ.

## ისინი ითამაშებენ რუსეთთან

**შერკინება:** გოდერძი შველიძე, დავით ზირაქიშვილი, დავით დადუნაშვილი, დავით ქუბრიაშვილი, ირაკლი ნატრიაშვილი, ლევან დათუნაშვილი, მამუკა გორგოძე, კახა უჩავა, შალვა სუთიაშვილი, რატი ურუშაძე, გიორგი ჩხაიძე, დიმიტრი ბასილაია, სიმონ მაისურაძე;

**უკანა ხაზი:** ირაკლი აბუსერიძე, ბიძინა სამხარაძე, მერაბ კვირიკაშვილი, ლაშა მალაღურაძე, დავით კაჭარავა, სანდრო თოდუა, რევაზ გიგაური, გიორგი შკინინი, ირაკლი ჩხიკვაძე, ოთარ ბარკალაია

# ლუის ვან გაალი გენიოსია

## შოთა არველაძე: ცუდად თამაშს მიჩვეული არ ვარ

**საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმეგოლე და ესპანური „ლევანტეს“ ფორვარდი შოთა არველაძე დღესდღეობით ქართული ფეხბურთისთვის აქტუალურ საკითხშია ჩართული — ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის მოძიებაში. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ შოთა ვინმეს თავზე ახტება, უბრალოდ, მას ბევრ ცნობილ მწვრთნელთან უმუშავია, მათთან კარგი ურთიერთობა აქვს და რატომ არ უნდა გაუწიოს დახმარება თავის ქვეყანას...**

**ტყუპისცალი არველაძე ოთხშაბათს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებთან ერთად დაესწრო „მალაგა“ — „ბარსელონას“ მატჩს, კვირას კი „ლევანტეს“ მიეხმარება „ვალიადოლიდთან“ საშინაო შეხვედრაში. შოთას საკლუბო ამბავი ცოტა გადავდოთ და იმაზე ვილაპარაკოთ, რითაც დავიწყეთ...**



**— როგორც ვიცით, რამდენიმე მწვრთნელთან უკვე გისაუბრია. როგორ უყურებენ საქართველოს ნაკრებში გათავკაცების პერსპექტივას?**

— არ მინდა, ვინმემ ისე გაიგოს, თითქოს მწვრთნელს მე ვეძებ, ამის უფლებას ჩემს თავს არ მივცემ. ფედერაციის ხელმძღვანელობამ მთხოვა და ასეთ მნიშვნელოვან მომენტში მართლაც შემიძლია, მწვრთნელების აზრი და ხედვა გავიგო, როგორ წარმოუდგენიათ მათ საქართველოში მუშაობა...

**— თუ საიდუმლო არ არის, რომელ მწვრთნელებს ესაუბრე?**

— ასეთი სამია, მაგრამ მათ გვარებს ვერ ვიტყვი. მადლობა ღმერთს, სახელმწიფოს მხრიდან თანხის გამოყოფის პრობლემა არ არის. ახლა მწვრთნელებმა უნდა გაიგონ, როგორი სტილის ფეხბურთელებია საქართველოში, რა ტაქტიკით თამაშობენ ჩვენთან... თორემ ისე არ გვინდა, გამოვიდეს, კონტრაქტს ხელი მოეწეროს და ამის შემდეგ შეიტყოს მწვრთნელმა, რომ ვერ ესადაგება ქართულ ფეხბურთს.

**— ვიცით, რომ ცნობილ მწვრთნელებზეა ლაპარაკი და ხომ არ იუარებენ საქართველოში ჩამოსვლას?**

— რატომ უნდა იუარონ?!

**— თავისებური რისკია. საქართველოს ნაკრებს ცუდი შედეგები აქვს და პრესტიჟს ეთამაშებიან...**

— კლაუს ტოპმიოლერი პრესტიჟული მწვრთნელი არ იყო?! რატომ იუარებენ, ამინდი არ ვარგა საქართველოში, გართობა არ არის თუ ხალხია შეუხედავი?! კამერუნში და ნიგერიაში მიდიან და საქართველოში ჩამოსვლა რა გასაკვირი იქნება... უბრალოდ, როგორც უკვე ვთქვი, ძალიან მნიშვნელოვანია, მწვრთნელებს ნაცნობი ფეხბურთელი დახვდეს საქართველოში. მაგალითად, აქ ვერ იმუშავებს სპეციალისტი, რომელიც 4-3-3 ან 3-4-3 სქემით თამაშობს, რადგან საქართველოში გარემარბი, ფაქტობრივად, არ გვყავს. მე მიკვირდა, რატომ გადაუხვია კლაუს ტოპმიოლერმა 4-4-2-ს, რომელმაც ნაკრებს შედეგი მოუტანა. ხან გოგიტა გოგუა დააყენა გარემარბად, ხან ლევან მჭედლიძე, არადა, მჭედლიძეზე, რომ იტყვიან „დახაზა“ თავდამსხმელად შოტლანდიასთან, მერე კი ის ხომალლის კაცი გარემარბად დააყენეს. ან კი არა, ზურაბ ხიზანიშვილს მარჯვენა მცველად რომ აყენებდნენ, ამხელა გამოცდილების ფეხბურთელს მაინც ეტყობოდა ხოლმე და გამოუცდელ ბიჭს არ შეეტყობა?!

**— უცნაური კია, შენ რომელ ცნობილ მწვრთნელებთანაც კლუბებში გიმუშავია და ცქვი გვაქვს, რომ საქართველოს ნაკრებში მათ დასაქმებას ისურვებ, 4-3-3-ით თამაშობდნენ...**

— რომელზე ამბობთ?

**— მაგალითად, ლუის ვან გაალზე — ჰოლანდიელი მწვრთნელები ხომ ორი ფორვარდით იშვიათად თამაშობენ...**

— თუმცა „ალმაარში“ ბოლოს ვან გაალი სწორედ ორი თავდამსხმელით გვათამაშებდა — მე და დენი კოვერმანსი ვიყავით წინ. ამიტომაცაა ის გენიოსი სპეციალისტი, სქემის შეცვლა უცებ და უმტკივნეულოდ შეუძლია. ის წინ იხედება და თუ გამოჩნდებიან ძლიერი გარემარბები, შეუძლია 4-3-3-ს დაუბრუნდეს. მიხეილ მესხი და სლავა მეტრეველი რომ ისევ გვყავდეს, იცოცხლე, მაგრამ გარემარბები აღარ გვყავს, ამიტომ ისეთი მწვრთნელი გვინდა, რომელსაც საქართველოში ველოსიპედის გამოგონება არ დასჭირდება, ორი ფორვარდით ითამაშებს. ვიცი, რომ თითქმის ყველა ქართული კლუბი ამ სისტემას მისდევს.

**— გასაგებია, ესე იგი, ვან გაალი...**

— ახლა ვერ ვიტყვი ვერაფერს. ჯერ ისევ ფედერაციაზეა. ის ვიცი, რომ ამ თვის ბოლოს ან მაისის დასაწყისში მწვრთნელი უნდა გვყავდეს და, რაც მთავარია, ისეთი უნდა იყოს, ქართულ ფეხბურთს პეწი არ დაუკარგოს. ჟოზე მაურინიუ რომ ჩამოიყვანო, ალბათ, ვერაფერს გააკეთებს, რადგან ის სხვა ფეხბურთს ანიჭებს უპირატესობას. ისე, სამი იტალიელი მწვრთნელის გვარიც ითქვა, მაგრამ ისინი ვერ მიესადაგებიან ამ პირობებს.

**— შენზეც ვთქვათ: კვირას „ვალიადოლიდთან“ ითამაშებ?**

— ალბათ, კი. მწვრთნელმა წინა მატჩში დამასვენა, ახლა კი... ცუდ განწყობაზე ვარ... საყვარელ საქმეს მალე უნდა შევეშვა...

**— გადაწყვიტე, რომ სეზონის ბოლოს ასრულებ კარიერას?**

— ალბათ, დავასრულებ. რა ვქნა, ცუდად თამაშს მიჩვეული არ ვარ...

**ილია ნანობაშვილი**

# ასათიანის სატურნი



**მოსკოვის** „ლოკომოტივის“ ქართველმა მცველმა მალხაზ ასათიანმა ტრავმა სრულად მოირჩინა, უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს და არ არის გამორიცხული, რამენსკოეს „სატურნის“ წინააღმდეგ წლეულს პირველი პრემიერლიგური მატჩი ითამაშოს.

რკინიგზელთა და საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს წელის ტრავმა აწუხებდა და რუსეთის ჩემპიონატის საწყისი ტურებიც ამის გამო გამოტოვა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# თანამეგობრობა გაგრძელდება

**გეხსომებათ,** წლეულს „თანამეგობრობის თასი“ სანკტ პეტერბურგში ჩატარდა, სადაც საქართველოს ჩემპიონი რუსთავის „ოლიმპიც“ გახლდათ.

ერთხანს ითქვა, რომ „თანამეგობრობის თასი“ მომავალში აღარ ჩატარდებოდა, ახლახან კი, სანკტ პეტერბურგში თანამეგობრობის საპარლამენტო ასამბლეაზე გადაწყდა, რომ ეს ტურნირი კვლავ იარსებებს და მომავალშიც სანკტ პეტერბურგი უმასპინძლებს.

**ლუკა თალაკვაძე**



# მუჯირი ისვენებს

**აზერბაიჯანული** „ბაკის“ ქართველი ნახევარმცველი ამირან მუჯირი გუნდს ჩემპიონატის მე-20 ტურში, გათამაშების ლიდერ „ოლიმპიკის“ წინააღმდეგ მატჩში ვერ დაეხმარება.

აზერბაიჯანული azerisport-ის ცნობით, მუჯირმა ტრავმა წინა ტურში, „ნეფთჩისთან“ მატჩში მიიღო, რის გამოც მე-14 წუთზე შეცვალეს.

იმ თამაშში „ბაკის“ მეორე ქართველი, ალექსანდრე გოგობერიშვილი დაუბრუნდა, რომელსაც ტრავმის გამო დიდი ხანი გაუცდა.

**კახა შალამბერიძე**

# უეფას თასი 2007-2008

**მეოთხედფინალი. პირველი მატჩები. ფინალ**

**ლევერკუზენი (გერმანია) 1:4 ზენიტი (რუსეთი)**

0:1 არშავინი (20), 1:1 კისლინგი (33), 1:2 პოგრებნიაკი (53), 1:3 ანიუკოვი (61), 1:4 დენისოვი (64)

**ბაიერნი (გერმანია) 1:1 ხეტაფე (ესპანეთი)**

1:0 ტონი (26), 1:1 კონტრა (90)

**ფიორენტინა (იტალია) 1:1 პსვ (ჰოლანდია)**

1:0 მუტუ (56), 1:1 კოვერმანსი (63)

**რეინჯერსი (შოტლანდია) 0:0 სპორტინგი (პორტუგალია)**

# ინგლისი

**კონფერენსლიგა. გადადებული მატჩი**

**ექსეტერი 1:1 დროილსდენი**

საფეხბურთო კლუბი „ვიტ ჯორჯია“ თანაგრძნობას უცხადებს „ვიტ ჯორჯია 2“-ის მწვრთნელ მერაბ კოჭლაშვილს **მამის** გარდაცვალების გამო

სარბიელელები თანაგრძნობას ვუცხადებთ „ვიტ ჯორჯია 2“-ის მწვრთნელ მერაბ კოჭლაშვილს **მამის** გარდაცვალების გამო

**მირკო ვუჩინიჩი**

დაიბადა 1983 წლის 1 ოქტომბერს ნიკშიჩში
თავდამსხმელი; კლუბი: რომა; ნომერი: 9
კლუბები:

| | | |
|---|---|---|
| 1998-2000 | სუტიესკა | 9 მატჩი, 4 გოლი |
| 2001-2006 | ლეჩე | 111 მატჩი, 34 გოლი |
| 2006-იდან | რომა | 48 მატჩი, 5 გოლი |

სერბეთ-ჩერნოგორიის ნაკრებში (2005-06)
3 მატჩი, 0 გოლი
ჩერნოგორიის ნაკრებში (2007-დან)
6 მატჩი, 4 გოლი




# მირკოს მაკრო: ლიგა და მსოფლიო

## ვუჩინიჩისთვის საქართველო ჩერნოგორიის სწორია

მირკო ვუჩინიჩთან საუბარი მასთან დაკავშირების პირველსავე დღეს არ შედგა:

— ახლა ძალიან დაკავებული ვარ, შეძლებთ, ხვალ დამირეკოთ?

— პრობლემა არ არის.

— კარგით, მაშინ ხვალ დილით ვისაუბროთ, თავისუფალი ვიქნები...

იმ დღეს მირკო ვუჩინიჩი რომიდან პოდგორიცაში მიფრინავდა, ჩერნოგორიის ნაკრები ნორვეგიასთან ამხანაგური მატჩისწინა შეკრებას იწყებდა და მას შინ მიეჩქარებოდა. ვუჩინიჩს ნორვეგიასთან არ უთამაშია, ნაკრების ვარჯიშზე დაშავდა და ექიმებმა დასვენება ურჩიეს. ამ ამხანაგური შეხვედრისას მირკოს ოდენ ტრიბუნაზე ყოფნა შერჩა, ჩვენ კი ეს ინტერვიუ, რომელიც შეთანხმებისამებრ, მეორედ დაკავშირებისას შედგა...

იმავე დღეს კი, როცა ჩერნოგორიის ნაკრებმა თავისი საუკეთესო ფეხბურთელის გარეშე ნორვეგიას 3:1 მოუგო, ჩვენი ეროვნული გუნდი ჩრდილოეთ ირლანდიაში 1:4 განადგურდა და მას შემდეგ ჩვენი ფიქრებიც მთლიანად სანაკრებო ამბებმა წაიღო... ახლა გასარკვევი გაირკვა — კლაუს ტოპმიოლერი ეროვნული გუნდიდან წავიდა თუ დაითხოვეს და, ვიდრე იმ კაცის ვინაობას გავიგებთ, ვინც ჩვენი ნაკრები მირკო ვუჩინიჩთან და სხვა მეტოქეებთან უნდა ათამაშოს, აგერ, ეს ინტერვიუც. ჩერნოგორიის ნაკრების ლიდერი და იტალიური „რომას“ ფორვარდი „სარბიელის“ კითხვებს პასუხობს...

— დღესდღეობით „რომა“ „ინტერს“ ფეხდაფეხ მისდევს. როგორ ფიქრობთ, რომელს დარჩება სკუდეტო?

— ცხადია, მსურს, ჩემპიონები ჩვენ გავხდეთ, მაგრამ ეს ძალიან ძნელი იქნება და როგორ მოვახერხებთ „ინტერის“ ჩამოტოვებას, ვერ გეტყვით. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს „ინტერმა“ ქულები დაკარგა, ვფიქრობ, „რომას“ ჩემპიონობის მინიმალური შანსიღა აქვს. თანაც ნუ დავივიწყებთ, რომ „რომა“ სერია A-ს გარდა ჩემპიონთა ლიგაშიც თამაშობს და ბევრი რამ ძალების სწორად განაწილებაზეც არის დამოკიდებული.

— საჩემპიონთალიგო პერსპექტივაზე რას იტყვით?

— ახლა, როცა ჩვენი მეტოქე „მანჩესტერ იუნაიტედია“, ყველა შარშანდელ იმ თამაშს იხსენებს, როცა 1:7 წავაგეთ. თუმცა გარწმუნებთ, ახლა ასე აღარ იქნება, ჩვენ შეგვიძლია, მოვუგოთ „მანჩესტერსაც“ და მოვიგოთ ჩემპიონთა ლიგაც. „რომა“ წლეულს ძალიან ძლიერი გუნდია. „მანჩესტერისა“ და „რომას“ ძველი ამბების გახსენება ეგებ ახლა სასარგებლოც იყოს ჩვენთვის — ინგლისელებთან ერთიორად მოტივირებულნი ვიქნებით.

— მსოფლიოს ჩემპიონატის მომავალ შესარჩევ ჯგუფზე რა აზრის ხართ — ჩერნოგორია დებიუტანტია და რას ველოდოთ თქვენი ნაკრებისგან?

— სოლიდური ჯგუფია. ახალს არაფერს ვიტყვი — ფავორიტი იტალიაა. ჩვენი დებიუტანტობის მიუხედავად კი, ვფიქრობ, რომ ჩერნოგორიასა და საქართველოს წარმატების თანაბარი შანსები აქვთ.

— უფრო კონკრეტულად?

— წარმატებაო, როცა ვამბობ, რა თქმა უნდა, შესარჩევ ჯგუფში გამარჯვებას ვგულისხმობ, თუმცა ეს ურთულესი იქნება. საბოლოო წარმატებაზე მეტად, სჯობს, კონკრეტული მატჩების მოგებაზე ვიფიქროთ და საქმე ასე უფრო გაგვიიოლდება. ახლა, მაგალითად, მთელი ჩერნოგორია მხოლოდ ბულგარეთთან შესარჩევი ჯგუფის პირველ მატჩს ელის. ნელ-ნელა კი გამოჩნდება, რისი იმედი უნდა გვქონდეს.

— ქართველ ფეხბურთელებს იცნობთ?

— კახა კალაძესა და კიდევ რამდენიმე ქართველს ვიცნობ. ჩემი აზრით, კალაძე არა მხოლოდ იტალიაში, ევროპაშიც ერთ-ერთი საუკეთესო მცველია. მის წინააღმდეგ ბევრჯერ მითამაშია და კარგად ვიცი, რა დონის ფეხბურთელიც არის. თუ არ ვცდები, იტალიაში კიდევ ერთი ქართველი არის, თუმცა, სამწუხაროდ, მისი გვარი არ ვიცი, შოტლანდიას რომ გოლი გაუტანა, იმ ფეხბურთელზე ვამბობ. მაშინ ყველა იტალიური ტელე-არხი ატრიალებდა იმ გოლს. იტალია, საქართველო და შოტლანდია ხომ მეტოქეები იყვნენ.

— ის ბიჭი გვარად მჭედლიძეა, „ემპოლიში“ თამაშობს...

— სასიამოვნოა, ახლა მეცოდინება...

— ისე, ერთი ჩერნოგორიელი ფეხბურთელი საქართველოშიც არის...

— დიახ, ვიცი, რომ ილია ხასიოევიჩი თამაშობს საქართველოში. ის ძალიან კარგი ადამიანია და რა ხანია, ვმეგობრობთ. ილია ჩერნოგორიის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელია, შეკრებებზე ხშირად ვხვდებით ერთმანეთს. იმედი მაქვს, მალე მას ეროვნულ გუნდშიც გამოიძახებენ.

— ჩერნოგორიის ეროვნულ გუნდში თქვენი საუკეთესო პარტნიორი ვინ არის?

— ასე კონკრეტულად ვერ გეტყვით. ჩვენი გუნდი ამჟამად ჩამოყალიბების სტადიაშია და მწვრთნელიც ოპტიმალურის ძიებაში შემადგენლობას ცვლის ხოლმე. ასე, ცხადია, ნაკრებში არიან ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც თავიანთი პასებით საქმეს მიადვილებენ.

— „რომაში“ კი ასეთი ფრანჩესკო ტოტი არის...

— ტოტი უდიდესი ფეხბურთელი, მსოფლიო დონის ვარსკვლავია. ის სერია A-ში უდავოდ საუკეთესოა.

— ეს სეზონი თქვენთვის ალბათ საუკეთესოა კარიერაში...

— არა, ასე არ არის, უფრო წარმატებული და კარგი სეზონი „რომაში“ გადმოსვლის წინ „ლეჩეში“ მქონდა. მართალია, ახლა უფრო დიდ გუნდში ვთამაშობ, სკუდეტოსა და ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე ვფიქრობ, მაგრამ „ლეჩეში“ მართლაც საუცხოო სეზონი მქონდა, ალბათ ამიტომაც ვარ ახლა „რომაში“.

— „რომაში“ ხან ცენტრფორვარდად თამაშობთ, ხან ფლანგებზე. თქვენთვის რომელი პოზიციაა უფრო მისაღები?

— ფლანგიდან შევუტევ თუ შუიდან, ამას ჩემთვის მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, წინა ხაზში ვითამაშო, პასები მივიღო და გოლები გავიტანო. ჩემი საქმე სწორედ ეს არის და რომელი პოზიციიდან გავაკეთებ ამას, სულ ერთია.

— ერთსაც გკითხავთ და მოვრჩეთ. შეიძლება ითქვას, რომ ჩერნოგორიასა და სერბეთს ერთი საფეხბურთო სკოლა აქვთ?

— ადრე იუგოსლავია იყო, შემდეგ სერბეთი და ჩერნოგორია და როცა ამდენი ხანი ერთ გუნდად ვთამაშობდით, სხვანაირად ვერც იქნება. დიახ, ჩერნოგორიასა და სერბეთს თამაშის ერთი სტილი და ერთი სკოლა აქვთ. ჩვენ ერთი ყაიდის გუნდები გვყავს — ტექნიკური, აგრესიული, ბოლომდე მებრძოლი...




**კობა ინასარიძე**

# საქართველოს 19 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

II წრე. 20 ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათუმი. 4 აპრილი. 16 საათი. ადელი

## ბათუმი — დინამო

მსაჯები: ო. ხეცაძე, კ. ბერაძე, ზ. ერქვანია, პ. დოგრაშვილი

ზესტაფონი. 4 აპრილი. 16 საათი. ცენტრალური

## ზესტაფონი — სიონი

მსაჯები: გ. ვადაჭკორია, დ. სანოძე, ნ. რუსიშვილი, კ. ჭაჭუა

თბილისი. 4 აპრილი. 16 საათი. ამერი

## ამერი — სპარტაკი

მსაჯები: მ. ურუშაძე, შ. ქუხილავა, ზ. ბერულავა, ზვ. ასკაროღლი

თბილისი. 4 აპრილი. 16 საათი. მიხეილ მესხი

## ლოკომოტივი — ოლიმპი

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი, ი. კაკაბაძე, ი. მაჩიტიძე, ვ. ელისაბედაშვილი

მცხეთა. 5 აპრილი. 16 საათი. არმაზი

## ვიტ ჯორჯია — მერანი

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, ი. უკლება, ზ. ფიფია, ლ. ფანიაშვილი

ახალციხე. 5 აპრილი. 16 საათი. მ. იაძე

## მესხეთი — ბორჯომი

მსაჯები: ა. ნონიკაშვილი, ლ. თოდრია, დ. კვეტენაძე, ლ. კვარაცხელია

ზუგდიდი. 5 აპრილი. 16 საათი. გ. თუთბერიძე

## მგლები — დილა

მსაჯები: ლ. სილაგავა, კ. გაბრიაძე, დ. კურტანიძე, გ. დოგრაშვილი



„ვიტ ჯორჯიას" კარგი შანსი აქვს „მერანთან" მოგებით თავისივე რეკორდი გააუმჯობესოს

# ყველაზე საინტერესო ლევან ცქიტიშვილი მესხეთს ახალციხეში თამაშის ნება დართეს

**მეორე** წრის პირველ ტურში თბილისის „დინამო" შინ დამარცხდა რუსთავის „ოლიმპთან" და უახლოეს მდევარ „ვიტ ჯორჯიასთან" სხვაობა 2 ქულა გახდა. მას შემდეგ ლიდერები წყვილად იგებენ (თან ბოლო წუთებზე) და ერთმანეთის ფეხის დაცდენას ელოდებიან. თუმცა დღეს-ხვალ გასამართ მორიგ ტურში ამის იმედი ალბათ არ უნდა ჰქონდეთ — ლიდერებს მეტოქეებად აუტსაიდერები ჰყავთ და წესით, მოგება არ უნდა გაუჭირდეთ.

საერთოდ, ისეთი ტურია, მთავარ მატჩად რომელიმეს „მონათვლა" გაგვიჭირდება, თორემ თამაშებს პრინციპულობა ნამდვილად არ აკლია — მარტო „სამხრეთული დერბი" რად ღირს.

რადგან გახსენეთ, „მესხეთი" — „ბორჯომის" თამაშით დავიწყოთ.

გუნდები ტერიტორიულადაც და ცხრილშიც მეზობლები არიან — მათ შორის სხვაობა სამი ქულაა და მოედანზე ყველაფერი უნდა დაივიწყონ. მეორე წრის საშინაო მატჩებს „მესხეთმა" ბორჯომში დაიწყო, მაგრამ ღერბის წინ განაცხადა — „ბორჯომი" ახალციხეში ჩამოვიდესო. ვფიქრობ, ამით ყველაფერია ნათქვამი.

გუშინ ახალციხის სტადიონი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის კომისიამაც შეამოწმა და ამიერიდან „მესხეთი" შინ ითამაშებს.

ლიდერები კი კვლავ არ თამაშობენ ერთ დღეს. აქამდე „ვიტ ჯორჯიას" წინა დღეს ჰქონდა მატჩი და ერთდღიანი ლიდერი ხდებოდა ხოლმე, დღეს კი „დინამო" ეწვევა ბათუმს.

ზღვისპირელებს ქულები უჭირთ და ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ სტუმრებს კარგი მასპინძლობა არ უნდა გაუწიონ, მაგრამ ბოლო წლებია, „ბათუმი" „დინამოს" ფეხბურთელებით სუნთქავს და...

შაბათს კი „ვიტ ჯორჯია" მცხეთაში „მერანს" უმასპინძლებს და „დინამოს" შედეგიც ეცოდინება. სტუმრები არც ერთ შემთხვევაში დანდობას არ უნდა ელოდონ — ვეტერინარები კარგ განწყობაზე არიან და ზედიზედ მეთოთხმეტე მატჩის მოგებას გეგმავენ. თუმცა ისიც სათქმელია, რომ ვიტელთა ზედიზედ მოგებულ 13 მატჩში ერთი ისეთიცაა, ბოლომდე რომ არ დამთავრებულა და „მწვანეებს" 3:0 მოგება ჩაეთვალათ — „ამერთან" ჩაშლილ თამაშს ვგულისხმობთ.

„მერანი" სადღეისოდ გასავარდნ ზონაში არ არის, მაგრამ ხვალისთვის სად იქნება, არავინ იცის და, თავის მხრივ, შეეცდება, ძვირფასი ქულები თუ ქულა მოიპოვოს — გაუჭირდება, მაგრამ რომ ეცდება, ფაქტია.

ერთიც: ამ მატჩს ტელეკომპანია „მზე" პირდაპირ ეთერში გადასცემს.

მერანელთა უშუალო კონკურენტი „ლოკომოტივი" კი დღეს რუსთავის „ოლიმპს" უმასპინძლებს და, შესაძლოა, ლევან ცქიტიშვილის საქართველოს ჩემპიონატში დაბრუნებაც ვნახოთ. ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი ვაკელებს აშკარად გააძლიერებს და ჩემპიონებსაც „მიხეილ მესხზე" რთული მატჩი ელით.

„ლოკომოტივს" შანსი აქვს, ამ სამი ქულით საშიშ ზონას ასცდეს და ამას გამოყენება უნდა.

თავის მხრივ, რუსთაველებს დასამტკიცებელი აქვთ — ახალ მწვრთნელ ხვიჩა ქასრაშვილის ხელში გუნდს მოგება კი არა, ჯერ გოლიც არ გაუტანია...

მესამე ადგილზე მყოფი „ზესტაფონი" დღეს ბოლნისის „სიონს" უმასპინძლებს. იმერლები მას შემდეგ მძვინვარებენ, რაც ზუგდიდში გაუთვალისწინებელი ქულები დაკარგეს — ჯერ გორის „დილა" დაბომბეს (5:0), შემდეგ „ოლიმპს" (3:0) გადაუარეს და ახლა რიგში ბოლნისელები ჩაუყენეს.

„სიონს" კი საპრეტენზიო არაფერი აქვს, მეცხრე ადგილზე მშვიდად არის მოკალათებული.

„ამერი" გლდანში ცხინვალის „სპარტაკს" დაუხვდება.

„ყვითლებიც" მშვიდად არიან — წლეულს მედლებზე აღარ ფიქრობენ და მთავარი აქცენტი თასზე გადაიტანეს, მაგრამ ამით ცხინვალელების ამოცანა იოლი სულაც არ არის — „ამერი" ჩემპიონატს ზერელედ სულაც არ უყურებს და ეს მის ბოლოდროინდელი შედეგებიდანაც ჩანს.

ქულები კი სტუმრებს ძალიან სჭირდებათ და რამდენად მოახერხებენ, მათ მარჯვათზეა დამოკიდებული.

სადღეისოდ „სპარტაკი" მეთერთმეტე ადგილზეა, თუმცა „საშიში მეთორმეტე" იქვეა და „ლოკომოტივზეც" ზემოთ უკვე ვთქვით...

„დილა" ზუგდიდს შესუსტებული შემადგენლობით ესტუმრება. ჯერ ის „დილა" რა იყო და ახლა მწვრთნელი და ოთხი ფეხბურთელი არ ეყოლება. ასე ძვირი (ფინანსურადაც) დაუჯდათ გორელებს წინა ტურში მსაჯების შეურაცხყოფა.

არადა, „დილა" ხავსს ეჭიდება, თუმცა ისე ჩანს, ამ სეზონში მაინც წყალწაღებულია...

ერთიც: უკვე აპრილია და მატჩები 16 საათზე იწყება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

### დისკვალიფიცირებულნი

ნედ ზელიჩი (დინამო), მათე [illegible]აძე (დინამო), ზაზა ჭელიძე [illegible], რევაზ თევდორაძე (მერანი), [illegible] კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია), გიორგი გაბედავა (ოლიმპი), [illegible] (ზესტაფონი), გიორგი ტყეშელაშვილი (სპარტაკი), ვაჟა ქართველიშვილი (ბორჯომი), [illegible] (ბორჯომის ადმინისტრატორი), [illegible]შა ბალიაშვილი (დილა), [illegible] საყვარელიძე (დილა), ლაშა [illegible]ვაშვილი (დილა), ნოდარ [illegible] (დილა), ზურაბ ხორეშაშვილი (დილას მწვრთნელი), რევაზ ხაჭაპურიძე (დილას მწვრთნელი), ზურაბ კარტოზია (დილას ადმინისტრატორი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო* | 19 | 17 | 0 | 2 | 47:10 | 51 |
| ვიტ ჯორჯია | 19 | 16 | 1 | 2 | [illegible]:10 | 49 |
| ზესტაფონი | 19 | 14 | 3 | 2 | [illegible] | [illegible] |
| ამერი | 19 | 11 | 2 | 6 | 34:2[illegible] | 35 |
| ოლიმპი | 19 | 9 | 4 | 6 | 17:15 | 31 |
| ბორჯომი | 19 | 8 | 4 | 7 | 25:22 | 28 |
| მესხეთი | 19 | 7 | 4 | 8 | 17:24 | 25 |
| მგლები | 19 | 7 | 3 | 9 | 16:20 | 24 |
| სიონი | 19 | 6 | 5 | 8 | 21:24 | 23 |
| მერანი | 19 | 5 | 1 | 13 | 11:[illegible] | 16 |
| სპარტაკი | 19 | 4 | 4 | 11 | 8:21 | 16 |
| ლოკომოტივი | 19 | 3 | 5 | 11 | [illegible] | [illegible] |
| ბათუმი | 19 | 3 | 3 | 13 | [illegible] | 12 |
| დილა | 19 | 1 | 5 | 13 | [illegible] | [illegible] |




# ლევან ყენია კუნთმა დაასვენა

**ლევან ყენიამ** ჩრდილოეთ ირლანდია — საქართველოს ამხანაგურ მატჩში (1:4) მცირე ტრავმა მიიღო, კუნთი გაეჭიმა და იმიტომაც შეცვალეს მეორე ტაიმში. მას შემდეგ ლევანს „შალკეს" 19-წლამდელებში არ უვარჯიშია — დღეს იწყებს გუნდთან ერთად წვრთნას.

„ხუთდღიანი დასვენება გამომივიდა, მაგრამ იმედია, კვირას სრულ მზადყოფნაში ვიქნები. ჩვენი ასაკის ბუნდესლიგაში მეორე ადგილზე ვართ და გადამწყვეტი თამაში სწორედ კვირას გვაქვს, „დორტმუნდთან". ძალიან მინდა, რომ ვითამაშო" — გვითხრა გუშინ ლევანმა.

ერთიც, ლევან ყენია ზაფხულიდან „შალკეს" ძირითად გუნდში ივარჯიშებს და ალბათ ტესტ-მატჩებშიც გამოჩნდება. ოფიციალურ თამაშებში კი მთავარ „შალკეს" 18 ოქტომბერს შეუერთდება — სანამ 18 წლის არ გახდება, უფლება არ აქვს.

17 წლის შემტევმა საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელის კანდიდატებზეც გვკითხა, კარგი იქნება, ესტონეთთან და პორტუგალიასთან მატჩებში (მაისის მიწურულს) უკვე გვყავდეს ახალი თავკაციო...

**ილია ნანოგაშვილი**

# მაინც უცხოელი გვინდა!

## ალექსანდრე იაშვილი: ჩარევა დროული იყო



**უკვე რამდენიმე დღეა, საქართველოს ნაკრები უმწვრთნელოდაა — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გერმანელ კლაუს ტოპმიოლერთან მუშაობის გაგრძელება აღარ ისურვა. ცხადია, ახლა ყველას ძალიან აინტერესებს, ვის დანიშნავენ მწვრთნელად — ქართველს თუ უცხოელს. საინტერესოა, რას ფიქრობენ თავად საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები და ერთ-ერთ მათგანს, ალექსანდრე იაშვილს გუშინ გერმანიაში შევეხმიანეთ...**

— მწვრთნელის მუშაობა შედეგით ფასდება და კლაუს ტოპმიოლერმა საქართველოს ნაკრებში შედეგი ვერ აჩვენა. შესარჩევ ციკლში ძალიან წარუმატებლად გამოვედით, ამას ბოლოს ჩატარებული ამხანაგური მატჩებიც დაემატა და, ვფიქრობ, ტოპმიოლერის გაშვება დროული იყო. ახლა მთავარია, ახალი მწვრთნელი მოვიდეს და ესტონეთთან და პორტუგალიასთან მაისში გასამართ ამხანაგურ მატჩებში უთავკაცოს გუნდს — მომავალი ციკლისთვის ხომ უნდა ჰქონდეს ზოგადი წარმოდგენა.

**— როგორ ფიქრობ, ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ისევ უცხოელი უნდა იყოს თუ ქართველი?**

— საქართველოში არის რამდენიმე კარგი მწვრთნელი, მაგრამ ჩემი აზრით, მაინც უცხოელს უნდა ჩააბარონ ნაკრები.

**— რატომ?**

— მე არ ვამბობ, რომ ყველა უცხოელი მწვრთნელი კარგია. საჩვენო უცხოელი უნდა იყოს წარმატებული, დიდი გამოცდილების მქონე, ამბიციური, მონდომებული და შრომისმოყვარე.

**— ტოპმიოლერი ძალიან ცოტა დროს ატარებდა საქართველოში. შენი აზრით, ახალმა მწვრთნელმა საქართველოში არ უნდა იცხოვროს?**

— არ არის აუცილებელი, სულ საქართველოში იყოს, თუმცა როგორც ლეგიონერებს, ასევე საქართველოში მოთამაშე ფეხბურთელებს დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს და თავისი თვალით ნახოს ფეხბურთელის შესაძლებლობები.

**— საქართველოში ერთ-ერთ კანდიდატად „ფრაიბურგის" ყოფილ მწვრთნელ ფოლკერ ფინკესაც ასახელებენ. როგორი ვარიანტია?**

— ურიგო ვარიანტი ნამდვილად არ არის.

**— როგორ ფიქრობ, მომავალ შესარჩევ ციკლში წარმატების მიღწევა შესაძლებელია?**

— ძლიერი ჯგუფია — საქართველოს ნაკრები სუსტ ჯგუფში არც მოხვედრილა. ჩვენი მიზანი მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოპოვება უნდა იყოს და ახალმა მწვრთნელმაც გუნდი ამისკენ უნდა მომართოს.

**ნუკრი ლოლაძე**




ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
სლოტ პოკერ კლუბი VEGA

# ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
## მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

# შანსები და შედეგი
## არსენ ვენგერმა 20/1 დაითვალა

**არსენალი 1:1 ლივერპული**

**1:0** ადებაიორი (23), 1:1 კაიტი (26)
**არსენალი:** ალმუნია, კ. ტურე, გალასი, სენდეროსი, კლიში, ებუე (ბენდტნერი 67), ფაბრეგასი, ფლამინი, გლები, ადებაიორი, ვან პერსი (უოლკოტი 46)
**მწვრთნელი:** არსენ ვენგერი
**ლივერპული:** რეინა, კარაგერი, ჰიპია, შკრტელი, ფ. აურელიო, მასკერანო, ხაბი ალონსო (ლეივა 77), ჯერარდი, ბაბელი (ბენაიუნი 58), კაიტი, ფ. ტორესი (ვორონინი 86)
**მწვრთნელი:** რაფაელ ბენიტესი
**მსაჯი:** პეტერ ვინკი (ჰოლანდია)
60 355 მაყურებელი

**შეხვედრა**, ვფიქრობთ, ტელევიზიით „სარბიელის“ მკითხველთა უმრავლესობამ ნახა, ამიტომაც ამ მართლაც სუპერმატჩის მომენტების აღწერას აღარ მოვყვებით. ვფიქრობთ, უპრიანი იქნება, მატჩისშემდგომი კომენტარები გაგაცნოთ, რომლებიც ორივე გუნდის მწვრთნელ-ფეხბურთელებმა უხვად დაარიგეს. მანამდე კი იმასაც შეგახსენებთ, რომ ნახევარფინალისტის ვინაობა, ცხადია, ჯერ ცნობილი არ არის. ყველაფერი ერთ კვირაში, „ენფილდზე“ გადაწყდება. მანამდე კი...

არსენ ვენგერი, „არსენალის“ მწვრთნელი: „რა თქმა უნდა, უკეთეს შედეგს ველოდი. როცა მატჩში 20 საგოლე შანსი გექმნება, სულ ცოტა, 4-5 ბურთი მაინც უნდა გაიტანო. ჩვენ კი მხოლოდ ერთი შევაგდეთ და „ლივერპულიც“ ერთადერთი მომენტით ვასარგებლეთ. და მაინც, მიუხედავად ამ შედეგისა, მომავალს მაინც იმედიანად ვუყურებ. მჯერა, ნახევარფინალში გასვლის შანსი ჯერ არ დაგვიკარგავს და ამისთვის საპასუხო შეხვედრაში მაქსიმუმს გავიღებთ. ჩვენ პენალტითაც შეგვეძლო გატანა, მაგრამ არბიტრმა რატომღაც არ მიიღო სწორი გადაწყვეტილება მაში, როცა გლების წაქცევას ხუთ მეტრიდან პირადად უყურებდა. როცა ამის მომსწრე ხარ, ძნელია, ამ ყველაფერზე თვალები დახუჭო და არ ილაპარაკო“.




რაფაელ ბენიტესი, „ლივერპულის“ მწვრთნელი: „ჩვენ უმთავრესი გავაკეთეთ — სტუმრად გოლი გავიტანეთ, რაც, ვფიქრობ, საპასუხო შეხვედრის წინ უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ცხადია, „არსენალი“ ძლიერი გუნდია, ამას არც უარვყოფ, მაგრამ ახლა წყვილში ფავორიტები უფრო ჩვენ ვართ. ბიჭებმა მშვენივრად ითამაშეს, ჩემი დავალება ზედმიწევნით, საუკეთესოდ შეასრულეს. ვიცოდი, მეტოქე თავიდანვე მაღალ ტემპს და გიჟურ შეტევებს შემოგვთავაზებდა, ამიტომაც დაცვაში კომპაქტურად თამაშსა და შეძლებისდაგვარად უსწრაფეს კონტრშეტევებზე ვიყავით კონცენტრირებულნი, რაც ბრწყინვალედ შევასრულეთ. ადებაიორის გოლი? უბრალოდ, ერთწამიანი ყურადღების მოდუნების გამო გავიდა. მოკლედ, ჯერჯერობით კმაყოფილი ვარ.“

ემანუელ ადებაიორი, „არსენალის“ თავდამსხმელი: „დამიჯერეთ, ნუ ჩამოგვწერთ. ჩვენ „ენფილდზე“ მოგება შეგვიძლია და მოვიგებთ კიდეც. მერვედფინალში „მილანთანაც“ პირველი მატჩი შინ ფრედ ვითამაშეთ და მაშინ ბევრი ჩვენს შანსს სკეპტიკურად უყურებდა. თუ გახსოვთ, ჩემპიონთა ლიგის ბოლო გამარჯვებულს მისსავე „სან სიროზე“ 2:0 მოვუგეთ და არ მესმის, რატომ ვერ უნდა დავმართოთ იგივე ბოლო ფინალისტს? „ლივერპული“ ჩვენზე მაღლა ნაღდად არ დგას და ამას საპასუხო შეხვედრაში დავამტკიცებთ“.




დირკ კაიტი, „ლივერპულის“ თავდამსხმელი: „ვიცი, ძალიან მნიშვნელოვანი გოლი გავიტანე, მაგრამ მოდით, პროგნოზებზე ახლა ნუ ვილაპარაკებთ. იმედია, ჩემს გოლს ფასი საპასუხო შეხვედრის მერე უფრო დაედება. ლონდონში თუნდაც ერთი გოლის გასატანად ჩამოვედით და სასიხარულოა, რომ ეს შევძელით. „არსენალმა“ ბრწყინვალედ ითამაშა და შესაძლოა, მოგებასაც იმსახურებდა, მაგრამ... განსაკუთრებით მათმა გათამაშებულმა კომბინაციებმა მომხიბლა, გოლი [illegible] სტანდარტისას გაგვიტანეს, [illegible] ის მერე კიდევ რომ გაგვეშვა, უკვე ძალიან მეწყინებოდა“.

**გიორგი ვაშაკიძე**

# სამიდან ორი ფენერისაა
## დეივიდმა დაიწყო და დაამთავრა

**ფენერბაჰჩე 2:1 ჩელსი**

**0:1** დეივიდი (13ს.კ.), 1:1 კაზიმ-რიჩარდსი (65), 2:1 დეივიდი (81)
**ფენერბაჰჩე:** ვოლქანი, ონდერი, ლუგანო, ედუ ვედერსონი, მალდონადო, მეჰმეთი, ულური (კაზიმ-რიჩარდსი 54), ალექსი, დეივიდი, კეჟმანი (სემიჰი 72)
**მწვრთნელი:** ზიკო
**ჩელსი:** კუდიჩინი, ესიენი, რ. კარვალიუ, ტერი, ე. კოული, მაკელელე, ბალაკი, ლამპარდი (მიკელი 76), ჯ. კოული (ანელკა 86), მალუდა, დროგბა
**მწვრთნელი:** ავრაამ გრანტი
**მსაჯი:** კლაუს-ბო ლარსენი (დანია)
50 509 მაყურებელი

**50 ათასზე** მეტი ქომაგით სავსე „შუქრუ სარაჩოღლუზე“ მე-13 წუთზე მწუხარებამ დაისადგურა — ფრენკ ლამპარდის პასით მარცხენა ფლანგზე გაჭრილმა მალუდამ თურქთა საჯარიმოში ჩააწოდა, ბრაზილიელმა დეივიდმა კი ბურთს ფეხი უხერხულად შეუშვირა და საკუთარი კარი დალაშქრა.

საინტერესოა, რომ ავტოგოლები ტრადიციასავით იქცა: ჩემპიონთა ლიგაში მიჯრით მესამე მატჩია, სტამბოლელებს საკუთარ კარში გააქვთ გოლი.

თითქოს „ფენერბაჰჩე“ განწირული გახლდათ, თან „ჩელსიმ“ აქტიურობა გააგრძელა და ლონდონელები მთელი პირველი ტაიმი მეორე გოლთან ახლოს იყვნენ. მიკაელ ესიენის შორეული გაჭრილი ხარიხას მოხვდა. ორი კარგი მომენტი ჰქონდა დიდიე დროგბასაც.

ტრავმირებული პეტრ ჩეხის ნაცვლად „ჩელსის“ კარში მდგარ კარლო კუდიჩინის შესვენებამდე ფაქტობრივად საქმე არც ჰქონია. აღვნიშნოთ ისიც, რომ თურქებს ორი წამყვანი განაპირა მცველი აკლდა — გიუნელი და რობერტო კარლოსი.

მეორე ტაიმი სულ სხვანაირად წარიმართა. როგორც ჩანს, ზიკომ თავისი შეგირდები გვარიანად დაგეშა, ტაქტიკა ჭკვიანურად გადააწყო და მინდორზე ულურის ნაცვლად კაზიმ-რიჩარდსი შეუშვა.

კუდიჩინის რეალურად და პირველად ოსტატობის გამოვლენა მაშინ მოუხდა, როცა მატეა კეჟმანი მაკრატელათი ურტყამდა სახიფათოდ. მერე მან ალექსს აულო რთული ბურთი. აი, 65-ე წუთზე კი ვერაფერი მოახერხა — მეჰმეთ აურელიომ საოცარი პასით მთელი „ჩელსის“ დაცვა გამოთიშა თამაშიდან, კუდიჩინისთან პირისპირ დარჩენილმა კაზიმ-რიჩარდსმა კი შეცდომა არ დაუშვა.

მალევე მიხაელ ბალაკს შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ ვოლქან დემირელმა იყოჩაღა. ამას დეივიდის გამოუყენებელი მომენტი მოჰყვა, მაგრამ 81-ე წუთზე ბრაზილიელმა მაინც შეძლო შეცდომის გამოსყიდვა და მატჩის გმირად იქცა. მან დაახლოებით 30 მეტრიდან დიდებულად გაისროლა და ბურთი მეკარისგან მარჯვენა ცხრიანში ჩასვა — კუდიჩინის ნახტომი ამაო იყო.

ეს გახლავთ „ფენერბაჰჩეს“ მიჯრით მეხუთე საშინაო გამარჯვება ჩემპიონთა ლიგაში.

„ჩელსის“ მწვრთნელი ავრაამ გრანტი: „არც კი ვიცი, რა ვთქვა. ფეხბურთში ასეთი რამეები ხდება ხოლმე. ცოტა რომ გაგვმართლებოდა, შეგვეძლო, 3:0 ან 4:0 მოგვეგო, მაგრამ საბოლოოდ საერთოდ წავაგეთ. არადა, აშკარად მეტოქეზე უკეთ გამოვიყურებოდით და გამარჯვებას ვიმსახურებდით. „ფენერბაჰჩეს“ მეორე გოლი საერთოდ შემთხვევითი გახლდათ, მაგრამ არა უშავს, სტუმრად ვთამაშობდით და 1:2 არცთუ ცუდი ანგარიშია. ეჭვი არ მეპარება, რომ ორი მატჩის ჯამში ნახევარფინალში ჩვენ გავალთ“.

„შედეგით კმაყოფილნი და გახარებულნი ვართ, თუმცა პირველ ტაიმში არცთუ კარგად ვითამაშეთ და წაგებას ვიმსახურებდით, მაგრამ მეორე ტაიმში ვითარება გამოვასწორეთ, ძალა მოვიკრიბეთ და მოვიგეთ კიდეც. ამ მატჩში გამარჯვება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ, ახლა მცირე უპირატესობა გვაქვს, საპასუხო შეხვედრის სამი შესაძლო შედეგიდან ორი ჩვენ გვაძლევს ხელს. ჩვენი მიზანი თავიდანვე ფინალში გასვლა იყო და ახლაც ასეა. თუმცა ამჟამად მხოლოდ ლონდონში გასამართ თამაშზე ვფიქრობთ“ — თქვა ზიკომ.

**გიორგი ქაქაბაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიგანტთა ჩხუბი ჰუნტელაარისთვის



**„ჩელსი“** და მადრიდის „რეალი“ მორიგი ფეხბურთელის ხელში ჩაგდებისთვის ერთმანეთს დაეჯახებიან. საქმე კლაას იან ჰუნტელაარს ეხება, რომლის შეძენასაც აქამდე სამეფო გუნდი ცდილობდა, თუმცა ახლა ესპანელებს მეტოქედ რომან აბრამოვიჩის კლუბი გამოუჩნდა.

ინგლისური მედია გვამცნობს, რომ „ჩელსის“ წარმომადგენელი ჰანს გილჰაუსი გასულ შაბათს ჰოლანდიაში „აიაქსი“ — „ჰერენვენის“ მატჩს დაესწრო, სადაც ჰუნტელაარმა ორი გოლი გაიტანა (სულ კლაას იანს ამ სეზონში 29 გოლი აქვს გატანილი). მატჩის შემდეგ კი ბატონი გილჰაუსი „აიაქსის“ თავკაცებს შეხვდა და სთხოვა, ჰუნტელაარის ფასი დაესახელებინათ. ჰოლანდიელებმაც „ჩელსის“ აგენტს იგივე უპასუხეს, რაც რამდენიმე დღით ადრე მადრიდის „რეალის“ სპორტულ დირექტორ პრედრაგ მიატოვიჩს — 35 მილიონი ევრო.

„სტემფორდ ბრიჯზე“ ჰუნტელაარის თავდებად მწვრთნელის თანაშემწე, ექსბარსელონელი ჰენკ ტენ კატი დაუდგა. ჰოლანდიელის ყიდვას გასულ სეზონში „ვალენსიაც“ ცდილობდა, „ლამურები“ „აიაქსს“ 20 მილიონ ევროს სთავაზობდნენ და ახლაც, მწვრთნელად რონალდ კუმანის მოსვლის შემდეგ, ძველ იდეას არ ივიწყებენ.

დიდსაფეხბურთო გრანდთა ამ ჭიდილში ფავორიტები მაინც „რეალი“ და „ჩელსი“ არიან. მადრიდული „ასის“ ვერსიით, ჰოლანდიელი ფეხბურთელი არჩევანს სწორედ ამ ორ გიგანტს შორის გააკეთებს. კლაას იანი „აიაქსში“ წლიურ გასამრჯელოდ 2 მილიონ ევროს იღებს და ამსტერდამული კლუბი მზადაა, თავის ვარსკვლავს ხელფასი გაუორმაგოს. თუმცა „აიაქსი“ ჰუნტელაარს იმხელა ჯამაგირით ვერასდროს უზრუნველყოფს, რისი შეთავაზებაც „რეალს“ და „ჩელსის“ შეუძლიათ. თავად ჰოლანდიელმა ფორვარდმა იქაურ Sportweek-ს უთხრა: „მინდა, კარიერა მოიერიშე ტიპის გუნდში გავაგრძელო, სადაც ჩემი ნიჭის და შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას მოვახერხებ. თან ეს კლუბი „აიაქსზე“ დიდი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისევ ამსტერდამში დავრჩები“.

„სანტიაგო ბერნაბეუზე“ ჰუნტელაარის მიყვანის თავგამოდებული მომხრენი არიან „რეალის“ მწვრთნელი შუსტერი და სპორტული დირექტორი მიატოვიჩი. ისინი სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხზე ერთმანეთში ხშირად კამათობენ, თუმც ჰუნტელაარის შემთხვევაში შეხმატკბილებულად აცხადებენ, რომ ტრანსფერი, რაც შეიძლება, ჩქარა უნდა შედგეს. ბერნდ შუსტერმა კლაას იანს „ახალი მარკო ვან ბასტენი“ უწოდა, ხოლო პრედრაგ მიატოვიჩმა ასე უთხრა ჟურნალისტებს: „ჰუნტელაარის ტრანსფერის ამბავზე უნდა ვიჩქაროთ. კარგი იქნება, თუ მასთან ხელშეკრულებას ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე გავაფორმებთ“.

„ჩელსი“ და „რეალი“ კი ერთმანეთისთვის ფეხბურთელების წართმევაში ადრეც ვარჯიშობდნენ. გავიხსენოთ მაკელელე, რომელიც „სანტიაგო ბერნაბეუდან“ ლონდონელმა აგენტებმა 24 მილიონ ევროდ წაიყვანეს. ან მიჩელ სალგადო და რობერტო კარლოსი, რომელთაც შეშინებულმა „რეალმა“ კონტრაქტები სწორედ „ჩელსის“ სატრანსფერო შეტევების შემდეგ გაუხანგრძლივა. აბრამოვიჩის კლუბის სამიზნეზე იყო მადრიდელი რობინიო, ხოლო კრიშტიანუ რონალდუზე გიგანტებმა ერთმანეთს დაუნდობელი ომი გაუმართეს. რომან არკადიევიჩმა მადრიდელთათვის არიენ რობენის მიყიდვით კარგი მოგება ნახა, 36 მილიონი ევრო და, ესპანეთში მიხაელ ბალაკის გაგზავნაზეც უარი განაცხადა (თავიდან გრანდები ერთმანეთს 36 მილიონის ფასად ორივე ფეხბურთელზე, რობენსა და ბალაკზე მოურიგდნენ).

„ასმა“ კი ჰუნტელაარის აგენტ არნოლდ ოსტერველდთან დაკავშირება შეძლო. „ბერნდ შუსტერმა კლაას იანი მარკო ვან ბასტენს რომ შეადარა, ეს, რა თქმა უნდა, შესანიშნავია, მაგრამ არ დაგავიწყდეთ — „აიაქსს“ ჯერ არანაირი ოფიციალური შემოთავაზება არ მიუღია ფეხბურთელის შესახებ. ერთადერთი, რაც ვიცით, ის არის, რომ ჰუნტელაარს თამაში ევროპულ გრანდში სურს“ — აღნიშნა ოსტერველდმა.

„ესპანურ ლა ლიგაში ყველაფერი მომწონს. იქ ყველაზე შემტევ ფეხბურთს თამაშობენ. ინგლისში კი სწრაფი ბურთაობა სჩვევიათ და სტადიონებზეც არნახული, ფანტასტიკური ატმოსფეროა. რაც შეეხება იტალიას, იქ თავდამსხმელები თავს უფრო შებოჭილად გრძნობენ, ვიდრე სხვა ლიგებში, მაგრამ გარემო და გულშემატკივარი სერია A-შიც დიდებულია“ — ამბობს კლაას იან ჰუნტელაარი.

**ლადო ხომერიკი**



მასიმო მორატი

# ჟოზე მონაჭორია

**მილანის** „ინტერის“ პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ უარყო ინფორმაცია, თითქოს ჟოზე მაურინიუსთან შეთანხმება თითქმის მიღწეულია და მომავალი ზაფხულიდან „ნერაძურის“ პორტუგალიელი ჩაიბარებს.

„ჩემი აზრით, რობერტო მანჩინი შესაცვლელი არ არის. ჩვენ კვლავაც კარგი ურთიერთობა გვაქვს და წინ მივდივართ. მაურინიუსთან დაკავშირებულ ჭორებს აქტიურად ავრცელებენ, მაგრამ ეს ტყუილია. უბრალოდ, ყველას რაღაც ახლის და სკანდალურის მოძებნა სურს. სეზონის ბოლოს მანჩინის კიდევ ერთხელ დაველაპარაკები და შევთანხმდებით კიდეც. პრესაში ბევრ გამაღიზიანებელ ჭორს ვკითხულობ, მაგრამ უკვე მიჩვეული ვარ და ამაზე აღარ ვნერვიულობ“ — განაცხადა მორატიმ.

„ინტერი“ ამჟამად არცთუ კარგ ფორმაშია, მაგრამ სერია A-ს ოთხქულიანი უპირატესობით ლიდერობს და, ცხადია, პირველი ადგილის შენარჩუნება უნდა.

„იმედი გვაქვს და გვჯერა, ჩემპიონატს პირველ ადგილზე ჩავამთავრებთ, მაგრამ მაქსიმალურად ყურადღებით და კარგად თამაშია საჭირო. წინ მნიშვნელოვანი მატჩებია, თან „რომა“ ჩინებული გუნდია და ამისთვის საშუალებას არ მოგვცემს. სამწუხაროდ, ჩემპიონთა ლიგას გამოვეთიშეთ, „ჯალოროსი“ კი შინ დამარცხდა „მანჩესტერ იუნაიტედთან“. ჩვენც და „რომაც“ ტრავმების მსხვერპლნი ვართ. გადამწყვეტ მომენტში დაგვაკლდნენ შეუცვლელი მოთამაშეები. ამით თავს კი არ ვიმართლებ, ფაქტს ალვნიშნავს. თან ახლა ინგლისური კლუბები ძალიან ძლიერები არიან, თუმცა „რომას“ ჩამოწერა ჯერ ნაადრევია. ამ კლუბს ბევრი შეუძლია და „ოლდ ტრეფორდზე“ სათამაშო აქვს“ — დასძინა მორატიმ.

**კოკი ქანდელაკი**

## ატლეტიკოს სამიზნეები

**პორტუგალიელი** ნახევარმცველი ტიაგუ მენდეში, რომელიც „იუვენტუსს“ ვერაფრის მოერგო, შესაძლოა, პრიმერადივიზიონში გადაბარგდეს. 26 წლის ფეხბურთელით მადრიდის „ატლეტიკოა“ დაინტერესებული. „ტუტოსპორტის“ ცნობით, „ბიანკონერის“ მოთხოვნა ტიაგუს 27 წლის არგენტინელში, მაქსი როდრიგესში გაცვლა ყოფილა. პარალელურად, „ატლეტიკო“ თურმე „ხეტაფეს“ 24 წლის ნიგერიელ თავდამსხმელ უჩეს უმიზნებს, რომელიც 5,5 მილიონ ევროდ ფასდება.

## ფერეირა დრაკონად რჩება

**„პორტუმ“** თავის მწვრთნელ ჟესუალდო ფერეირასთან კონტრაქტი 2009 წლის 30 ივნისამდე გაახანგრძლივა. შეგახსენებთ, რომ „დრაკონები“ მიმდინარე სეზონში ჩემპიონობასთან ძალიან ახლოს არიან. მათ შეუძლიათ, პირველი ადგილი ოფიციალურად შაბათს გაინაღდონ, თუ შინ „ამადორას“ მოუგებენ.

„ძალიან გახარებული ვარ. „პორტუს“ დარ პროფესიულ და სერიოზულ კლუბში მუშაობა ჩემთვის დიდი პატივია. მე, მთელი სამწვრთნელო შტაბი და ფეხბურთელები გპირდებით, რომ გავაგრძელებთ თავდაუზოგავად შრომას, რათა, რაც შეიძლება, მეტი ტიტული მოვიპოვოთ“ — აღნიშნა ფერეირამ.

## მილანს ებუე უნდა

**„მილანი“** დაცვის გაძლიერებაზე ფიქრობს და სასურველ კანდიდატებს შორის არსენალელი ემანუელ ებუე და ინტერელი სეზარ აპარესიდუც ჰყოლია.

ამბობენ, „როსონერის“ ძირითადი სამიზნე ებუეა და კოტდივუარელი „როსონერის“ 5 მილიონი გირვანქა დაუჯდებაო. 25 წლის მცველი „მილანს“ ვეტერანი კაფუს შემცვლელად უნდა.

## ინტერი და რონალდინიო

**იტალიური** „კორიერე დელო სპორტის“ ცნობით, „ინტერი“ ბრაზილიელი რონალდინიოს ხელში ჩაგდების იმედს არ კარგავს. 28 წლის ბარსელონელის მსურველებად „მილანი“, „ჩელსი“ და „ტოტენჰემიც“ სახელდებიან. ამბობენ, „ნერაძური“ კატალონიელებს ფულთან ერთად, 25 წლის ფორვარდ ადრიანოს შესთავაზებსო.

**კოკი ქანდელაკი**

# მექსიკა აგირეს მოლოდინში

**სახელგანთქმული** უგო სანჩესის მოხსნის შემდეგ მექსიკის ნაკრებს ხესუს რამირესი თავკაცობს, თუმცა, იქაური გაზეთების მტკიცებით, ეს დროებითია. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია უფრო გამოცდილ მწვრთნელს დაეძებს და ჯერჯერობით ფავორიტი მადრიდის „ატლეტიკოს“ თავკაცი ხავიერ აგირეა.



მექსიკური „პაჩუკას“ პრეზიდენტის და ფეხბურთის ფედერაციის დირექტორატის ერთ-ერთი წევრის, ხესუს მარტინესის თქმით, ნაკრების მწვრთნელად სწორედ „ელ ბასკო“ აგირე უნდა მოვიდეს. მარტინესმა თქვა, რომ ეროვნული გუნდის თაობაზე ხავიერ აგირეს მეუღლეს ესაუბრა და შეიტყო, რომ ატლეტიკოელს შინ დაბრუნება სურს: „ელ ბასკოს“ დაბრუნება აქ ყველას გვინდა. ცხადია, მასაც ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობა სურს. ეს მე სილვია აგირესთან საუბრისას გავარკვიე“.

აგირეს გარდა, მექსიკელთა სავარაუდო თავკაცებად არგენტინელი ხოსე პეკერმანი და ჰოლანდიელი ფრანკ რაიკარდიც განიხილებიან.

**ლადო ხომერიკი**

# გინება გინების ხსენებისთვის



**ხოსე ანტონიო რეიესი** მადრიდის „ატლეტიკოში" მოედანზე ნაკლებად ბრწყინავს, თუმცა სხვამხრივ ძალიან სახელგანთქმული კაცია. რეიესმა „მელიიბეთა" მწვრთნელ აგირეს „ბოხოშვილი" უწოდა, როცა ამ უკანასკნელმა ფეხბურთელი „სევილიასთან" მატჩის განაცხადში არ შეიყვანა (ხოსე ანტონიო ექსსევილიელია და იმედი ჰქონდა, მშობლიურ „სანჩეს პისხუანზე" თავს გამოიჩენდა). ეს ინციდენტი და ლიგას 29-ე ტურის წინ მოხდა და მას შემდეგ ფეხი მობურთალი ჩავიერ აგირეს წინაშე ვერანაირი ნდობა ვერ სარგებლობს.

რეიესმა მექსიკელ დამრიგებელს განაცხადში ვერმოხვედრისთვის ახსნა-განმარტებები მოსთხოვა. საუბარი კამათში გადაიზარდა და, როგორც ესპანური გაზეთები გვამცნობენ, ფეხბურთელმა „ატლეტიკოს" გასახდელში გინების კორიანტელი დააყენა. მრავალისმნახველი აგირე კი თურმე მშვიდად იდგა და გამხეცებული კაცისგან შეურაცხყოფას უსიტყვოდ იტანდა.

სამშაბათს ხოსე ანტონიომ პრესკონფერენცია მოიწვია და აღნიშნა, რომ მწვრთნელისთვის არ უგინებია. „ჩვენ ისე ვილაპარაკეთ, როგორც ყოველთვის ვსაუბრობთ ხოლმე. ლანძღვა-გინება არ ყოფილა და ძალიან მინდა, ის ჟურნალისტი ვნახო, ვინც ამგვარი არასწორი ინფორმაცია გაავრცელა. „სევილიასთან" და „ვილიარეალთან" არ მითამაშია და არც იმას ვმალავ, ამით აღშფოთებული რომ ვიყავი — წინააღმდეგ შემთხვევაში, პროფესიონალი არ ვიქნებოდი" — თქვა „მელეიბეთა" ნახევარმცველმა.

„მარკას" და „ასის" ვარაუდით, აბობოქრებული რეიესი „ვისენტე კალდერონზე" დიდხანს ველარ გაჩერდება. თავად ფეხბურთელი კი ამბობს, მადრიდში დარჩენა მინდა, მაგრამ ჯერ არავინ იცის, სამომავლოდ რა მოხდებაო.

**ლადო ხომერიკი**

# მარადიული თემა: ბარსადან რეალში




**არგენტინელი** ესკიელ გარაი მომავალი ხუთი სეზონით თითქოს ბარსელონელი უნდა გამხდარიყო, თუმცა ახლა ირკვევა, რომ ფეხბურთელი „კამპ ნოუს" გუნდის ფორმას ვერ მოირგებს. „ბარსამ" გარაისთან წინასწარ შეთანხმებას რამდენიმე თვის წინ მიაღწია, მაგრამ ახლა არგენტინელის კლუბს, „რასინგს" შეატყობინა, რომ კონტრაქტი ბათილად ცხადდება.

თავიდან „ბარსასა" „რასინგს" შორის გარიგების ჩაშლის მიზეზად ესკიელ გარაის ტრავმა დასახელდა, თუმცა მერე ისიც გახდა ცნობილი, რომ კატალონიელებს გარაიში ფულის გადახდა არ უნდოდათ.

გარაიმ ტრავმა „ხეტაფესთან" სათასო მატჩში მიიღო და სეზონის ბოლომდე ბურთთან და მოედანთან დამშვიდობება მოუწევს. თუმცა ექიმები აცხადებენ, რომ მის კარიერას საფრთხე არ ემუქრება — სწორი მკურნალობით ესკიელ გარაი კვლავ ფორმაში ჩადგება და მომავალ სეზონშიც ძველებურად კარგად ითამაშებსო.

სანტანდერის „რასინგმა" არგენტინელის ფასად 20 მილიონი ევრო დაასახელა, თუმცა ბარსელონელები მაშინ ამ გუნდს 14 მილიონზე მოურიგდნენ. კატალონიურ გრანდს ხსენებული 14 მილიონი 3 ნაწილად (აპრილში, ივნისსა და დეკემბერში) უნდა გადაეხადა. თუმცა „ბარსელონამ" ხელშეკრულების გაფორმებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ „რასინგს" შეატყობინა, რომ ამ თანხას ვერ გადაიხდიდა. შესაბამისად, გარიგებაც ჩაიშალა.

რა უნდა ექნა „რასინგს"? რა და უმალ მადრიდის „რეალს" დაუკავშირდა — „ბარსელონას" მოსისხლე მტრები ხომ არგენტინელ ცენტრალურ მცველს უკვე, კარგა ხანია, აკვირდებოდნენ. „რეალის" ერთ-ერთი თავკაცი მიგელ ანხელ პორტუგალი, გარაის და მის შესაძლებლობებს მშვენივრად იცნობს, რადგანაც „რასინგში" მისი მწვრთნელი იყო. „მადრიდში' ფიქრობენ, რომ ესეკიელ გარაი „სანტიაგო ბერნაბეუზე" მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მცველად იქცევა" — წერს ესპანური „მარკა".

ახლა საქმე ის გახლავთ, „რეალი" „რასინგს" რამდენს გადაუხდის. სამეფო თეთრები მზად არიან, მხოლოდ 12 მილიონი გაიმეტონ გარაიში, სანტანდერული გუნდი კი მინიმუმ 14-ს ითხოვს.

**ლადო ხომერიკი**

# რამოსმა სამშობლოს გახედა

**„ტოტენჰემის"** მწვრთნელი ხუანდე რამოსი მომავალი სეზონის სამზადისშია. ესპანელი სპეციალისტი ახალი ფეხბურთელების ყიდვას აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ კლუბის თავკაცობა ამერიკაში არასწორი კაპიტალდაბანდების გამო ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგას.

ხუანდეს მიზანია, „დეზები" 7 ახალი ფეხბურთელით გააძლიეროს. ამისთვის ესპანელი მშობლიურ ლა ლიგას აკვირდება — რამოსი ამ საფეხბურთო ბაზარს სხვებზე უკეთ იცნობს და იცის, ახალი მეომრები როგორ უნდა შეარჩიოს.

„დეილი მეილის" ცნობით, „ტოტენჰემის" სამიზნეზე დიეგო მილიტო, ესტებან გრანერო და ივან რამისი არიან. „სარაგოსას" არგენტინელი მილიტო თავდასხმას გააძლიერებს, „რეალის" მიერ ამჟამად „ხეტაფეში" გაგზავნილი გრანერო ინგლისელებს მოედნის ცენტრისთვის შეუგულებიათ, ხოლო მალიორკელ ივან რამისზე, როგორც გუნდის მომავალ მცველზე ფიქრობენ. ამ უკანასკნელის ხელში ჩასაგდებად „ტოტენჰემს" „პორტსმუტთან" ჭიდილი მოუწევს.



**ლადო ხომერიკი**

# იუვე — პარმა დათარიღდა

**ოფიციალურად** დადასტურდა, რომ გასულ უქმეებზე „იუვენტუსის" ფანის, მატეო ბანიარეზის ტრაგიკულად დაღუპვის გამო გადადებული „იუვენტუსა" და „პარმას" ჩაშლილი მატჩი 16 აპრილს გაიმართება. კლუბებმა ყველაფერი შეათანხმეს და არც იტალიის ფეხბურთის ფედერაციაა წინააღმდეგი. დადასტურდა ისიც, რომ ბანიარეზის „იუვენტუსის" ფანებით სავსე მინიავტობუსი დაეჯახა და მისი სიკვდილი ამან გამოიწვია. 27 წლის ქომაგი მყისვე ჰოსპიტალისკენ გააქანეს, მაგრამ...

მინიავტობუსის მძღოლი სირო სპოლტი ირწმუნება, ვერაფერს ვხედავდი და ყველაფერი შემთხვევით მოხდაო, მაგრამ მას სასამართლო პროცესი, ცხადია, მაინც ელის. სპოლტის უნებლიე მკვლელობის მუხლით გაასამართლებენ.

# სოსა ნაპოლიდან მიდის

**არგენტინელი** ფორვარდი რობერტო სოსა სეზონის ბოლოს „ნაპოლიდან" წავა. 33 წლის ფეხბურთელმა „სტადიო სან პაოლოზე" ოთხი წელი გაატარა.

„ეს გადაწყვეტილება გარკვეული დროის წინ მივიღეთ, მაგრამ ჯერ არ ვახმაურებდით, რადგან სერია A-ში დარჩენა განაღდებული არ გვქონდა. ამ არჩევანის გაკეთება ჩემთვის ადვილი არ იყო, მაგრამ ათწლიანი მოგზაურობის შემდეგ, „ნაპოლიში" გატარებული ბრწყინვალე წლების ჩათვლით, სამშობლოში დაბრუნების დრო მოვიდა" — აღნიშნა სოსამ.

# ლენონი ლივერპულშიო

**ინგლისური** „ლივერპული" ლაციოელი ბეჰრამის გარდა, „ტოტენჰემის" 20 წლის გარემარბ აარონ ლენონითაც ყოფილა დაინტერესებული. რაც შეეხება 22 წლის ბეჰრამის, მას „ვესტ ჰემი" და „ტოტენჰემიც" უტრიალებენ.

**ბოძი ბანდელაძე**

## დანია

სუპერლიგა
გადადებული მატჩი
ლიუნგბიუ 0:3 ოდენსე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლბორგი | 22 | 14 | 4 | 4 | 42:29 | 46 |
| კოპენჰაგენი | 22 | 12 | 7 | 3 | 32:16 | 43 |
| მიდტიულანდი | 22 | 11 | 5 | 6 | 31:25 | 38 |
| ოდენსე | 22 | 8 | 11 | 3 | 33:17 | 35 |
| ჰორსენსი | 22 | 9 | 7 | 6 | 29:27 | 34 |
| ნორდსიელანდი | 22 | 8 | 8 | 6 | 32:28 | 32 |
| ესბიერგი | 22 | 9 | 4 | 9 | 42:35 | 31 |
| რანდერსი | 22 | 8 | 6 | 8 | 27:19 | 30 |
| ბრონდბიუ | 22 | 7 | 6 | 9 | 28:30 | 27 |
| ორჰუსი | 22 | 5 | 5 | 12 | 20:31 | 20 |
| ვიბორგი | 22 | 4 | 2 | 16 | 19:48 | 14 |
| ლიუნგბიუ | 22 | 2 | 5 | 15 | 20:50 | 11 |

## შვეიცარია

სუპერლიგა. XXIX ტური
გრასჰოპერი 1:1 ბაზელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 29 | 18 | 5 | 6 | 55:32 | 59 |
| იანგ ბოისი | 28 | 17 | 7 | 4 | 71:39 | 58 |
| ციურიხი | 28 | 13 | 7 | 8 | 50:32 | 46 |
| გრასჰოპერი | 29 | 11 | 7 | 11 | 47:45 | 40 |
| აარაუ | 28 | 9 | 10 | 9 | 38:37 | 37 |
| სიონი | 28 | 9 | 6 | 13 | 35:41 | 33 |
| ლუცერნი | 28 | 7 | 12 | 9 | 33:44 | 33 |
| ქსამაქსი | 28 | 7 | 8 | 13 | 35:44 | 29 |
| სენტ გალენი | 28 | 8 | 5 | 15 | 34:59 | 29 |
| თუნი | 28 | 5 | 7 | 16 | 25:50 | 22 |

## საფრანგეთი

პირველი დივიზიონი
XXXI ტური
პსჟ 1:0 სტრასბური
1:0 დიანე (72)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 31 | 21 | 4 | 6 | 64:29 | 67 |
| ბორდო | 31 | 17 | 7 | 7 | 54:34 | 58 |
| ნანსი | 31 | 13 | 13 | 5 | 35:22 | 52 |
| მარსელი | 31 | 13 | 10 | 8 | 44:33 | 49 |
| რენი | 31 | 12 | 8 | 11 | 35:36 | 44 |
| ლე მანი | 31 | 12 | 8 | 11 | 35:38 | 44 |
| ნიცა | 31 | 10 | 13 | 8 | 27:24 | 43 |
| ლილი | 31 | 9 | 15 | 7 | 34:26 | 42 |
| ლორიანი | 31 | 10 | 12 | 9 | 27:31 | 42 |
| ვალანსიენი | 31 | 11 | 8 | 12 | 37:31 | 41 |
| სენტ ეტიენი | 30 | 11 | 7 | 12 | 33:31 | 40 |
| კაენი | 31 | 10 | 10 | 11 | 34:43 | 40 |
| ოსერი | 31 | 11 | 7 | 13 | 29:39 | 40 |
| სოშო | 31 | 9 | 11 | 11 | 28:34 | 38 |
| მონაკო | 31 | 10 | 7 | 14 | 31:39 | 37 |
| სტრასბური | 31 | 9 | 8 | 14 | 29:35 | 35 |
| პსჟ | 31 | 8 | 11 | 12 | 28:34 | 35 |
| ლანსი | 30 | 8 | 10 | 12 | 34:39 | 34 |
| ტულუზი | 31 | 7 | 13 | 11 | 28:34 | 34 |
| მეცი | 31 | 4 | 6 | 21 | 21:55 | 18 |

## ლიბერტადორესის თასი 2008

II ჯგუფი. V ტური
ლანუსი 3:3 ესტუდიანტესი
1:0 სანდი (10), 2:0 ვალერი (15), 2:1 დესაბატო (21), 2:2 ბენიტესი (24), 2:3 ფიმი (61), 3:3 აკოსტა (78)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესტუდიანტესი (არგენტინა) | 5 | 2 | 2 | 1 | 7:5 | 8 |
| ლანუსი (არგენტინა) | 5 | 1 | 4 | 0 | 7:5 | 7 |
| დეპორტივო კუენსა (ეკვადორი) | 5 | 1 | 3 | 1 | 2:3 | 6 |
| დანუბიო (ურუგვაი) | 5 | 1 | 1 | 3 | 4:7 | 4 |

V ჯგუფი. V ტური
ამერიკა 4:3 რივერ პლეიტი
0:1 არჩუბი (6), 1:1 ინიგო (52), 2:1 ესკუედა (54), 2:2 სერვანტესი (56ს.კ.), 3:2 სერვანტესი (61), 3:3 აბრეუ (63), 4:3 კაბანიასი (69)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერიკა (მექსიკა) | 5 | 3 | 0 | 2 | 10:8 | 9 |
| რივერ პლეიტი (არგენტინა) | 5 | 3 | 0 | 2 | 9:8 | 9 |
| დეპორტივო სან მარტინი (პერუ) | 5 | 2 | 0 | 3 | 4:5 | 6 |
| უნივერსიდად კათოლიკა (ჩილე) | 5 | 2 | 0 | 3 | 4:6 | 6 |

VII ჯგუფი. IV ტური
სან პაულუ 1:0 სპორტივო ლუკუენო
1:0 ადრიანო (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან პაულუ (ბრაზილია) | 4 | 2 | 2 | 0 | 5:3 | 8 |
| ატლეტიკო ნასიონალი (კოლუმბია) | 3 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 4 |
| სპორტივო ლუკუენო (პარაგვაი) | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | 4 |
| აუდაქს იტალიანო (ჩილე) | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |

VIII ჯგუფი. IV ტური
ფლუმინენსე 2:0 ლიბერტადი
1:0 სისერო (30), 2:0 ტიაგო (50)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფლუმინენსე (ბრაზილია) | 4 | 3 | 1 | 0 | 10:1 | 10 |
| ლიგა დე კიტო (ეკვადორი) | 4 | 3 | 1 | 0 | 9:1 | 10 |
| არსენალი (არგენტინა) | 4 | 1 | 0 | 3 | 2:13 | 3 |
| ლიბერტადი (პარაგვაი) | 4 | 0 | 0 | 4 | 1:7 | 0 |





# ფილ ჰარმონია 4 მილიონად

**იცით,** რა არის Pot Noodle? ეს გახლავთ ბრიტანეთსა და ირლანდიაში პოპულარული საკვები პროდუქტების ფირმა, რომელიც ნაირნაირი დასახელების ნაწარმს უშვებს, მათ შორის ფილ ნევილის საყვარელ სოკოსაც. ჰოდა, ვერსაჩეს სტილზე გაწყობილ სასადილო ოთახში, ოქროსფერი გრავიურებით მორთულ ჭურჭელში დადგმულ მდიდრულ მაგიდასთან სწორედ ამ Pot Noodle-ის სოკოთი და შემწვარი წიწილით უყვარს პირის ჩატკბარუნება „ევერტონის“ ვარსკვლავს.

ახლა, ეს ყველაფერი რატომ გითხარით. იმიტომ, რომ ლანკაშირში მდებარე ამ მე-18 საუკუნის 27 ოთახიან სასახლეში ფილ ნევილმა ჟურნალ Hello-ს ხალხი მიიწვია და მთელი ეს დიდებულება დაათვალიერებინა. რატომ? იმიტომ, რომ გაყიდვას ლამობს და ფიქრობს ასეთი რეკლამით ფასს 4 მილიონ გირვანქამდე აუწევს.

ცნობისთვის: ეს სასახლე ნევილებამდე კონფერენს-ცენტრი გახლდათ, ხოლო მას მერე, რაც ის ფილმა და მისმა თანამეცხედრე ჯულიმ შეიძინეს, მდიდარი ფეხბურთელის ცოლის გემოვნებით მორთულ ვილაა იქცა.

27 ოთახს შორის არის ექვსი საძილე ოთახი, ფიტნეს ოთახი და კინოდარბაზი. გარდა ამისა, სასახლის გარშემო 9-აკრიან ტერიტორიაზე მდებარეობს ოთხსაძინებლიანი ცალკე სახლი მომსახურე პერსონალისთვის.

ერთი სიტყვით, ვისაც ამ სიმდიდრის შეძენა გსურთ, შეგიძლიათ იაქტიუროთ, ოღონდ, გაფრთხილებთ, ამ ყველაფერში ერთი ფრიადი უხერხულობაცაა: ფილმა და ჯულიმ უკლებლივ ყველგან თავიანთი ინიციალები ამოატვიფრინეს, ასე რომ თუ თქვენ და თქვენს მეუღლესაც P და J არ გქვიათ, ყველა წერტილის დაკვირვებით შესწავლა და გადაკეთება დაგჭირდებათ.

**პაპუნა ქედია**



# კარგი საკბილო გოგონები

**პრესას რას გამოაპარებ და, ბუნებრივია, ვერც კრიშტიანუ რონალდუმ დამალა თავისი ამბავი: თავისი საკმაოდ უშნო კბილების მოვლაში პორტუგალიელი სუპერვარსკვლავი, თურმე, გვარიან თანხებს იხდის. რონალდუ, რომელიც ბოლო ხანებში მოედანსა თუ მის გარეთ დიდ სიმაღლეებს იპყრობს, ადრე სასაცილო, ბავშური „წინხედის“ პატრონი ყოფილა. ნუ გაგიკვირდებათ და კბილებზე მავთულები რონალდუმ მხოლოდ 2003 წლის, ანუ ლისაბონის „სპორტინგიდან“ „მანჩესტერ იუნაიტედში“ 12,2 მილიონ გირვანქად გადასვლის მერე მოიხსნა...**



გაირკვა, რომ ფეხბურთელმა, რომლის წლიური ხელფასი 7,3 მილიონ გირვანქას უტოლდება, არაერთი ოპერაცია გაიკეთა, რათა დღევანდელი „თეთრი ღიმილით“ დამშვენებულიყო. და საიდან ვიცით ეს ყველაფერი? გადაჭარბებული ნათქვამია, მაგრამ სიმართლის მარცვალს მაინც შეიცავს: თავად რონალდუსგან, რომელმაც ერთ-ერთ პორტუგალიურ ჟურნალს გოგოებთან დაკავშირებულ კითხვაზე პასუხისას უთხრა, რომ თავის გარეგნობას კოსმეტიკურ კორექციას, არ აკლებს; ვარცხნილობაზე ხომ ზრუნავს და ზრუნავს.

„რომ გითხრათ თავი მახინჯად მიმაჩნია, მოგატყუებთ. პირიქით, ვფიქრობ, საკმაოდ კარგი შესახედავი ვარ და ეს ამბავი ძალიან მომწონს“ — განაცხადა კრიშტიანუ რონალდუმ, ინგლისელი ჟურნალისტები კი პორტუგალიელი კოლეგების გამოქვეყნებულ ინტერვიუს ჩაუკვირდნენ და გადაწყვიტეს დეტალურად გამოეკვლიათ, ფეხბურთელის რა „კოსმეტიკურ კორექციაზე“ იყო ლაპარაკი.

რაც შეეხებათ რონალდუს ქალებს...

გახსოვთ, 23 წლის ინგლისელი ჯემა ატკინსონი? და, პორტუგალიელი ტელე და პოპვარსკვლავი, 22 წლის ლუსიანა აბრეუ? და, ესპანელი ტელემწყოუნახავი, 20 წლის კაროლინა პატროსინიო?

ამბობენ, ამ ამბავში კბილებსაც აქვთ თავისი როლი ნათამაშევიო.

**პაპუნა ქედია**









# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 60 | უიგანი-ბირმინგემი | 2.15 | 3.40 | 3.10 | 1.31 | 1.26 | 1.62 |
| 15:45 | 61 | არსენალი-ლივერპული... | 2.15 | 3.20 | 3.30 | 1.28 | 1.30 | 1.62 |
| 18:00 | 62 | ასტონ ვილა-ბოლტონი | 1.60 | 3.60 | 5.50 | 1.10 | 1.23 | 2.17 |
| 18:00 | 63 | ბლეკბერნი-ტოტენჰემი | 2.40 | 3.20 | 2.80 | 1.37 | 1.29 | 1.49 |
| 18:00 | 65 | ფულჰემი-სანდერლენდი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 18:00 | 66 | სიტი-ჩელსი | 5.20 | 3.30 | 1.70 | 2.01 | 1.28 | 1.12 |
| 18:00 | 67 | სიტი-ჩელსი 1:0 | 1.95 | 3.30 | 3.00 | | | |
| 18:00 | 70 | ნიუკასლი-რედინგი | 1.70 | 3.50 | 4.60 | 1.14 | 1.24 | 1.98 |
| | | 6 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 64 | ევერტონი-დერბი | 1.25 | 4.60 | 12.00 | 1.00 | 1.13 | 3.32 |
| 16:30 | 68 | მიდლსბრო-მანჩესტერი | 7.30 | 4.10 | 1.40 | 2.62 | 1.17 | 1.04 |
| 16:30 | 69 | მიდლსბრო-მანჩესტერი 1:0 | 2.60 | 3.40 | 2.20 | | | |
| | | 8 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 71 | ვესტ ჰემი-პორტსმუთი | 2.30 | 3.20 | 3.00 | 1.33 | 1.30 | 1.54 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 75 | უოტფორდი-ქოვენტრი | 1.75 | 3.40 | 4.20 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| 18:00 | 79 | კოლჩესტერი-იფსვიჩი | 3.10 | 3.30 | 2.10 | 1.59 | 1.25 | 1.28 |
| 18:00 | 80 | ნორვიჩი-ბარნსლი | 2.15 | 3.30 | 3.00 | 1.30 | 1.25 | 1.57 |
| 18:00 | 81 | პლიმუთი-ბერნლი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 | 82 | ქპრ-პრესტონი | 1.95 | 3.30 | 3.50 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 15:00 | 83 | საუთჰემპტონი-ვულვსი | 2.35 | 3.30 | 2.70 | 1.37 | 1.25 | 1.48 |
| 18:00 | 84 | შეფილდი-ლესტერი | 1.95 | 3.30 | 3.50 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 18:00 | 85 | სკანთორპი-ბრისტოლი | 2.50 | 3.30 | 2.50 | 1.42 | 1.25 | 1.42 |
| | | 7 აპრილი | | | | | | |
| 23:00 | 74 | სტოკი-კრისტალ პალასი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 89 | ნოტინგემი-ჩელტენჰემი | 1.55 | 3.60 | 5.40 | 1.08 | 1.20 | 2.16 |
| 18:00 | 90 | სუონსი-ბორნმუთი | 1.40 | 4.00 | 6.90 | 1.03 | 1.16 | 2.53 |
| 18:00 | 91 | სუინდონი-ოლდემი | 2.35 | 3.30 | 2.60 | 1.37 | 1.23 | 1.45 |
| 18:00 | 92 | ბრაიტონი-პორტ ვეილი | 1.45 | 3.60 | 6.90 | 1.03 | 1.19 | 2.36 |
| 18:00 | 93 | უოლსოლი-ტრანმერი | 2.30 | 3.30 | 2.70 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| 18:00 | 94 | როვერსი-ჰარტლპული | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| 18:00 | 95 | კარლაილი-იოვილი | 1.50 | 3.60 | 6.10 | 1.05 | 1.20 | 2.26 |
| 18:00 | 96 | ქრიუ-საუთენდი | 3.00 | 3.30 | 2.15 | 1.57 | 1.25 | 1.30 |
| 18:00 | 97 | ჰადერსფილდი-დონკასტერი | 2.70 | 3.30 | 2.30 | 1.48 | 1.24 | 1.35 |
| 18:00 | 98 | ლეიტონი-ლიდსი | 3.00 | 3.30 | 2.20 | 1.57 | 1.26 | 1.32 |
| 18:00 | 99 | მილუოლი-ჯილინგემი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 18:00 | 100 | ნორთჰემპტონი-ლუტონი | 1.75 | 3.40 | 4.20 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | 4 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 104 | ეკრინგტონი-დაგ. ენდ რედი | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| 22:45 | 105 | ლინკოლნი-დონსი | 4.20 | 3.40 | 1.75 | 1.87 | 1.23 | 1.15 |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 106 | როჩდეილი-ბრენტფორდი | 2.35 | 3.30 | 2.60 | 1.37 | 1.23 | 1.45 |
| 18:00 | 107 | სტოკპორტი-დარლინგტონი | 2.15 | 3.30 | 3.00 | 1.30 | 1.25 | 1.57 |
| 18:00 | 108 | რექსემი-მაკლსფილდი | 2.15 | 3.30 | 3.00 | 1.30 | 1.25 | 1.57 |
| 18:00 | 109 | უიკომბი-პეტერბორო | 2.50 | 3.30 | 2.45 | 1.42 | 1.23 | 1.40 |
| 18:00 | 110 | ბრედფორდი-მორკამბი | 2.20 | 3.30 | 2.90 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| 18:00 | 111 | ბერი-ნოტსი | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| 18:00 | 112 | ჩესტერფილდი-შრუსბერი | 1.60 | 3.60 | 4.90 | 1.10 | 1.20 | 2.07 |
| 18:00 | 113 | ჰერეფორდი-ჩესტერი | 1.45 | 3.70 | 6.40 | 1.04 | 1.18 | 2.34 |
| 18:00 | 114 | მანსფილდი-ბარნეტი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 18:00 | 115 | როთერჰემი-გრიმსბი | 1.90 | 3.40 | 3.50 | 1.21 | 1.23 | 1.72 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 123 | ნორთვიჩი-სტაფორდი | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| 20:15 | 124 | სტივენიჯი-ექსეტერი | 2.15 | 3.30 | 3.00 | 1.30 | 1.25 | 1.57 |
| 18:00 | 126 | ოლდერშოტი-სოლსბერი | 1.55 | 3.50 | 5.90 | 1.07 | 1.22 | 2.19 |
| 18:00 | 127 | ბერტონი-გრეისი | 1.60 | 3.50 | 5.20 | 1.09 | 1.22 | 2.09 |
| 18:00 | 128 | ქროული-იორკი | 2.20 | 3.30 | 2.90 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| 18:00 | 129 | ვეიმუთი-ოქსფორდი | 2.40 | 3.30 | 2.60 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| 18:00 | 130 | დროილსდენი-კემბრიჯი | 5.00 | 3.55 | 1.60 | 2.07 | 1.21 | 1.10 |
| 18:00 | 131 | ჰალიფაქსი-ფორესტ გრინი | 2.45 | 3.30 | 2.50 | 1.40 | 1.23 | 1.42 |
| 18:00 | 132 | ტორკი-ფარსლი | 1.35 | 4.40 | 7.00 | 1.03 | 1.13 | 2.70 |
| 18:00 | 133 | კიდერმინსტერი-ალტრინჩემი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 18:00 | 134 | ებსფლიტი-უოკინგი | 1.65 | 3.50 | 4.70 | 1.12 | 1.22 | 2.00 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 135 | აბერდინი-სტ.მირენი | 1.55 | 3.40 | 6.00 | 1.06 | 1.23 | 2.17 |
| 18:00 | 136 | კილმარნოკი-ჰარტსი | 3.00 | 3.30 | 2.15 | 1.57 | 1.25 | 1.30 |
| 18:00 | 138 | სელტიკი-მაზერველი | 1.25 | 4.70 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.29 |
| | | 6 აპრილი | | | | | | |
| 17:00 | 139 | დანდი იუნაიტედი-რეინჯერსი | 6.00 | 3.50 | 1.50 | 2.21 | 1.20 | 1.04 |
| | | 7 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 137 | ინვერნესი-ფოლკირკი | 2.00 | 3.30 | 3.35 | 1.24 | 1.25 | 1.66 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 141 | კლაიდი-ლივინგსტონი | 2.20 | 3.40 | 2.80 | 1.33 | 1.23 | 1.53 |
| 18:00 | 142 | ჰამილტონი-სტ.ჯონსტონი | 1.70 | 3.55 | 4.00 | 1.14 | 1.19 | 1.88 |
| 18:00 | 143 | მორტონი-დანდი | 4.05 | 3.60 | 1.70 | 1.90 | 1.19 | 1.15 |
| 18:00 | 144 | პარტიკი-დანფერმლაინი | 2.25 | 3.40 | 2.70 | 1.35 | 1.22 | 1.50 |
| 18:00 | 145 | სტერლინგი-ქუინი | 3.10 | 3.40 | 2.00 | 1.62 | 1.21 | 1.25 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 146 | ეარი-რეითი | 2.50 | 3.50 | 2.35 | 1.45 | 1.21 | 1.40 |
| 18:00 | 147 | ბრეჩინი-ეირდრი | 2.20 | 3.50 | 2.70 | 1.35 | 1.21 | 1.52 |
| 18:00 | 148 | კოუდენბიტი-ალოა | 2.85 | 3.60 | 2.10 | 1.59 | 1.20 | 1.32 |
| 18:00 | 149 | ქუინს პარკი-პიტერჰედი | 2.50 | 3.50 | 2.35 | 1.45 | 1.21 | 1.40 |
| 18:00 | 150 | როსი-ბერვიკი | 1.20 | 5.75 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.65 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 151 | ალბიონი-არბროთი | 3.50 | 3.50 | 1.85 | 1.75 | 1.21 | 1.21 |
| 18:00 | 152 | ისტ ფაიფი-დამბარტონი | 1.55 | 3.75 | 4.75 | 1.09 | 1.16 | 2.09 |
| 18:00 | 153 | ისტ სტერლინგი-ელგინი | 3.25 | 3.50 | 1.95 | 1.68 | 1.21 | 1.25 |
| 18:00 | 154 | მონტროუზი-ფორფარი | 1.55 | 3.85 | 5.00 | 1.10 | 1.18 | 2.17 |
| 18:00 | 155 | სტრანრაერი-სტენჰაუსმუირი | 1.70 | 3.55 | 4.00 | 1.14 | 1.19 | 1.88 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | 4 აპრილი | | | | | | |
| 22:30 | 164 | დუისბურგი-კოტბუსი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 17:30 | 158 | აინტრახტი-ნიურნბერგი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 17:30 | 160 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 17:30 | 163 | ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 1.80 | 3.30 | 4.10 | 1.16 | 1.25 | 1.82 |
| 17:30 | 165 | არმინია-კარლსრუე | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 17:30 | 166 | შალკე-ჰანზა | 1.30 | 4.30 | 10.00 | 1.00 | 1.15 | 3.00 |
| 17:30 | 167 | ჰერტა-ვერდერი | 3.20 | 3.20 | 2.10 | 1.60 | 1.26 | 1.26 |
| | | 6 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 156 | დორტმუნდი-ლევერკუზენი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 19:00 | 161 | ბაიერნი-ბოხუმი | 1.20 | 5.50 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.66 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | 4 აპრილი | | | | | | |
| 20:00 | 171 | ფიურტი-მიუნხენი 1860 | 1.95 | 3.30 | 3.40 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| 20:00 | 174 | კობლენცი-ოფენბახი | 1.85 | 3.25 | 3.85 | 1.17 | 1.24 | 1.76 |
| 20:00 | 176 | კაიზერსლაუტერნი-ჰოფენჰაიმი | 3.00 | 3.25 | 2.15 | 1.55 | 1.25 | 1.29 |
| | | 6 აპრილი | | | | | | |
| 16:00 | 170 | სტ.პაული-ფრაიბურგი | 2.60 | 3.25 | 2.45 | 1.44 | 1.26 | 1.39 |
| 16:00 | 172 | აუგსბურგი-აუე | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 16:00 | 173 | კარლ ცეისი-პადერბორნი | 1.95 | 3.30 | 3.40 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| 16:00 | 175 | მაინცი-ვეენი | 1.60 | 3.50 | 5.20 | 1.09 | 1.22 | 2.09 |
| 16:00 | 177 | ალემანია-ოსნაბრუკი | 1.70 | 3.40 | 4.35 | 1.13 | 1.22 | 1.90 |
| | | 7 აპრილი | | | | | | |
| 22:15 | 169 | კიოლნი-მიონხენგლადბახი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | 4 აპრილი | | | | | | |
| 22:30 | 200 | ავსტრია კერნტენი-ალტახი | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 20:00 | 196 | ტიროლი-რიდი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 20:00 | 197 | ზალცბურგი-შტურმი | 1.35 | 4.20 | 7.10 | 1.02 | 1.13 | 2.63 |
| 20:00 | 198 | ავსტრია-მატერსბურგი | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| | | 6 აპრილი | | | | | | |
| 17:30 | 199 | ლინცი-რაპიდი | 2.50 | 3.30 | 2.50 | 1.42 | 1.25 | 1.42 |
| | | **ავსტრია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | 4 აპრილი | | | | | | |
| 17:30 | 201 | კაპფენბერგი-შვანენშტადტი | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| 20:00 | 202 | ავსტრია ლუსტენაუ-გრატკორნი | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 20:00 | 203 | შვადორფი-პარნდორფი | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 20:00 | 204 | ავსტრია(მ)-ლუსტენაუ | 2.30 | 3.30 | 2.60 | 1.35 | 1.22 | 1.45 |
| 20:00 | 205 | ზალცბურგი მ-ლეობენი | 2.20 | 3.30 | 2.80 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| 20:00 | 206 | ბად აუსი-კერნტენი | 3.10 | 3.20 | 2.05 | 1.57 | 1.23 | 1.24 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | 4 აპრილი | | | | | | |
| 21:45 | 207 | აარაუ-თუნი | 1.60 | 3.30 | 5.70 | 1.07 | 1.24 | 2.08 |
| 21:45 | 210 | ქსამაქსი-სტ.გალენი | 2.20 | 3.10 | 3.20 | 1.28 | 1.30 | 1.57 |
| 21:45 | 211 | სიონი-ციურიხი | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |
| | | **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | |
| | | 4 აპრილი | | | | | | |
| 21:45 | 215 | კიასო-ვინტერთური | 2.40 | 3.15 | 2.55 | 1.36 | 1.23 | 1.40 |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 216 | გოსაუ-ლოკარნო | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 20:00 | 217 | ლოზანა-კონკორდია | 2.45 | 3.10 | 2.60 | 1.36 | 1.26 | 1.41 |
| 21:30 | 218 | სერვეტი-შაფჰაუზენი | 2.05 | 3.10 | 3.25 | 1.23 | 1.25 | 1.58 |
| 20:30 | 219 | ვადუცი-შო დე ფონი | 1.55 | 3.50 | 5.40 | 1.07 | 1.20 | 2.12 |
| 20:00 | 220 | ვილი-დელემონი | 1.20 | 5.20 | 9.90 | 1.00 | 1.07 | 3.40 |
| | | 7 აპრილი | | | | | | |
| 22:00 | 212 | ვოლენი-კრიენსი | 1.65 | 3.45 | 4.55 | 1.11 | 1.21 | 1.96 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 22:30 | 224 | მილანი-კალიარი | 1.30 | 4.40 | 10.00 | 1.00 | 1.15 | 3.05 |
| 20:00 | 227 | რომა-ჯენოა | 1.55 | 3.30 | 7.00 | 1.05 | 1.26 | 2.24 |
| | | 6 აპრილი | | | | | | |
| 17:00 | 221 | ფიორენტინა-რეჯინა | 1.45 | 3.50 | 8.00 | 1.02 | 1.22 | 2.43 |
| 17:00 | 223 | სიენა-უდინეზე | 2.70 | 2.80 | 2.80 | 1.37 | 1.37 | 1.39 |
| 17:00 | 226 | ტორინო-ემპოლი | 1.75 | 3.00 | 5.30 | 1.10 | 1.31 | 1.91 |
| 17:00 | 229 | ატალანტა-ინტერი | 4.40 | 3.00 | 1.85 | 1.78 | 1.30 | 1.14 |
| 22:30 | 230 | პალერმო-იუვენტუსი | 3.40 | 3.00 | 2.15 | 1.59 | 1.31 | 1.25 |
| 17:00 | 232 | პარმა-ლაციო | 2.20 | 2.80 | 3.50 | 1.23 | 1.35 | 1.55 |
| 17:00 | 233 | სამპდორია-ლივორნო | 1.55 | 3.10 | 7.50 | 1.03 | 1.28 | 2.19 |
| 17:00 | 234 | კატანია-ნაპოლი | 2.30 | 2.80 | 3.35 | 1.26 | 1.36 | 1.52 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 235 | აველინო-გროსეტო | 2.10 | 2.80 | 3.70 | 1.20 | 1.33 | 1.59 |
| 18:00 | 236 | რიმინი-მანტოვა | 2.05 | 2.80 | 3.90 | 1.18 | 1.34 | 1.62 |
| 18:00 | 237 | ბოლონია-მოდენა | 1.40 | 3.60 | 8.40 | 1.00 | 1.20 | 2.51 |
| 18:00 | 238 | სპეცია-რავენა | 1.95 | 2.90 | 4.00 | 1.16 | 1.31 | 1.68 |
| 18:00 | 239 | პიზა-ვიჩენცა | 1.75 | 2.90 | 5.15 | 1.09 | 1.30 | 1.85 |
| 18:00 | 240 | ტრიესტინა-ალბინოლეფე | 2.70 | 2.70 | 2.70 | 1.35 | 1.35 | 1.35 |
| 18:00 | 241 | ტრევიზო-ასკოლი | 1.80 | 2.90 | 4.85 | 1.11 | 1.31 | 1.81 |
| 18:00 | 242 | ბრეშა-ბარი | 1.45 | 3.50 | 8.00 | 1.02 | 1.22 | 2.43 |
| 18:00 | 243 | ლეჩე-ჩეზენა | 1.30 | 4.00 | 10.00 | 1.00 | 1.15 | 2.85 |
| 18:00 | 244 | მესინა-კიევო | 3.65 | 2.90 | 2.00 | 1.61 | 1.29 | 1.18 |
| 18:00 | 245 | პიაჩენცა-ფროზინონე | 1.90 | 2.70 | 4.50 | 1.11 | 1.33 | 1.68 |
| | | **იტალია. სერია C1/A** | | | | | | |
| | | 6 აპრილი | | | | | | |
| 16:30 | 246 | პადოვა-პრო პატრია | 1.50 | 3.30 | 6.70 | 1.03 | 1.22 | 2.21 |
| 16:30 | 247 | ლენიანო-პრო სესტო | 1.85 | 2.75 | 4.75 | 1.10 | 1.33 | 1.74 |
| 16:30 | 248 | ლეკო-სასუოლო | 3.50 | 2.65 | 2.20 | 1.50 | 1.35 | 1.20 |
| 16:30 | 249 | პაგანეზე-ვენეცია | 2.00 | 2.70 | 4.00 | 1.14 | 1.33 | 1.61 |
| 16:30 | 250 | მონცა-ვერონა | 2.10 | 2.70 | 3.70 | 1.18 | 1.33 | 1.76 |
| 16:30 | 251 | ტერნანა-პავია | 1.85 | 2.75 | 4.75 | 1.10 | 1.33 | 1.74 |
| 16:30 | 252 | ფოლინიო-ჩიტადელა | 2.55 | 2.55 | 3.00 | 1.27 | 1.37 | 1.37 |
| 16:30 | 253 | ნოვარა-კრემონეზე | 3.50 | 2.65 | 2.20 | 1.50 | 1.35 | 1.20 |
| 16:30 | 254 | მანფრედონია-ფოჯა | 3.00 | 2.55 | 2.55 | 1.37 | 1.37 | 1.27 |
| | | **იტალია. სერია C1/B** | | | | | | |
| | | 6 აპრილი | | | | | | |
| 16:30 | 255 | ლანჩანო-პერუჯა | 2.05 | 2.65 | 4.00 | 1.15 | 1.35 | 1.59 |
| 16:30 | 256 | პესკარა-პისტოიეზე | 1.55 | 3.15 | 6.50 | 1.03 | 1.25 | 2.12 |
| 16:30 | 257 | ანკონა-სალერნიტანა | 2.30 | 2.65 | 3.30 | 1.23 | 1.35 | 1.46 |
| 16:30 | 258 | სტაბია-სამბენედეტეზე | 2.10 | 2.65 | 3.80 | 1.17 | 1.35 | 1.56 |
| 16:30 | 260 | მასეზე-ტარანტო | 2.75 | 2.55 | 2.75 | 1.32 | 1.37 | 1.32 |
| 16:30 | 261 | კროტონე-არეცო | 1.90 | 2.75 | 4.35 | 1.12 | 1.32 | 1.68 |
| 16:30 | 262 | პოტენცა-გალიპოლი | 2.60 | 2.65 | 2.85 | 1.31 | 1.35 | 1.37 |
| 16:30 | 263 | სანჯოვანეზე-ლატინა | 2.35 | 2.65 | 3.20 | 1.24 | 1.35 | 1.44 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 22:00 | 270 | ოსასუნა-უელვა | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 23:45 | 274 | მალიორკა-რეალი | 3.10 | 3.20 | 2.20 | 1.57 | 1.28 | 1.30 |
| | | 6 აპრილი | | | | | | |
| 21:00 | 264 | სევილია-ვილიარეალი | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| 19:00 | 265 | ატლეტიკო-ალმერია | 1.60 | 3.40 | 6.00 | 1.08 | 1.26 | 2.17 |
| 19:00 | 266 | ლევანტე-ვალიადოლიდი | 2.75 | 3.10 | 2.45 | 1.45 | 1.29 | 1.36 |
| 19:00 | 267 | სარაგოსა-ბეტისი | 1.90 | 3.20 | 3.90 | 1.19 | 1.27 | 1.75 |
| 23:00 | 268 | ბარსელონა-ხეტაფე | 1.40 | 4.10 | 8.00 | 1.04 | 1.19 | 2.71 |
| 19:00 | 271 | ბილბაო-ესპანიოლი | 2.10 | 3.10 | 3.40 | 1.25 | 1.29 | 1.62 |
| 19:00 | 272 | რასინგი-დეპორტივო | 1.95 | 3.20 | 3.80 | 1.21 | 1.28 | 1.73 |
| 19:00 | 273 | მურსია-ვალენსია | 2.80 | 3.10 | 2.45 | 1.47 | 1.30 | 1.36 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 20:30 | 278 | ეიბარი-ალავესი | 1.90 | 3.05 | 4.00 | 1.17 | 1.28 | 1.73 |
| 20:30 | 280 | ლას პალმასი-ტენერიფე | 2.30 | 2.90 | 3.00 | 1.28 | 1.30 | 1.47 |
| 20:30 | 282 | სერესი-კადისი | 2.35 | 2.90 | 3.00 | 1.29 | 1.31 | 1.47 |
| 20:30 | 285 | სალამანკა-ტარაგონა | 1.80 | 3.10 | 4.30 | 1.13 | 1.26 | 1.80 |
| 20:30 | 286 | ფეროლი-სელტა | 2.60 | 2.90 | 2.65 | 1.37 | 1.31 | 1.38 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 276 | ხიხუკულე-პერეჯელინი | 1.85 | 3.05 | 4.25 | 1.15 | 1.28 | 1.77 |
| 19:00 | 277 | კასტელიონ-კორდობა | 1.90 | 3.05 | 4.15 | 1.17 | 1.30 | 1.75 |
| 20:00 | 279 | ეიბარი-სალამანკა | 2.40 | 2.90 | 2.90 | 1.31 | 1.31 | 1.45 |
| 20:00 | 281 | უესკა-გრანადა | 1.90 | 3.05 | 4.00 | 1.17 | 1.28 | 1.73 |
| 20:00 | 283 | ალბასეტე-სევილია ბ | 2.35 | 2.90 | 2.90 | 1.29 | 1.29 | 1.45 |
| 14:00 | 284 | ნუმანსია-მალაგა | 2.10 | 3.00 | 3.40 | 1.23 | 1.29 | 1.59 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 19:10 | 288 | რენი-ბორდო | 2.30 | 3.00 | 3.00 | 1.30 | 1.30 | 1.50 |
| 22:00 | 289 | სენ-ეტიენი-ლე მანი | 2.00 | 3.00 | 3.70 | 1.20 | 1.29 | 1.65 |
| 22:00 | 290 | ნიცა-ლილი | 2.35 | 2.80 | 3.10 | 1.27 | 1.33 | 1.47 |
| 22:00 | 291 | ტულუზა-ლორიანი | 2.20 | 2.80 | 3.40 | 1.23 | 1.33 | 1.53 |
| 22:00 | 293 | ლანსი-მეცი | 1.60 | 3.20 | 5.90 | 1.06 | 1.25 | 2.07 |
| 22:00 | 294 | სტრასბურგი-მონაკო | 2.35 | 2.85 | 3.10 | 1.28 | 1.33 | 1.48 |
| 22:00 | 297 | ოსერი-ნანსი | 2.35 | 2.70 | 3.20 | 1.25 | 1.35 | 1.46 |
| 22:00 | 298 | კაენი-ვალანსიენი | 2.25 | 2.90 | 3.20 | 1.26 | 1.32 | 1.52 |
| | | 6 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 292 | მარსელი-ლიონი | 2.90 | 2.85 | 2.45 | 1.43 | 1.32 | 1.31 |
| 20:00 | 295 | სოშო-პსჟ | 1.95 | 3.00 | 3.85 | 1.18 | 1.29 | 1.68 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 4 აპრილი | | | | | | |
| 22:00 | 301 | ბასტია-აიაჩო | 1.95 | 3.00 | 3.80 | 1.18 | 1.28 | 1.67 |
| 22:00 | 302 | შატორუ-ამიენი | 2.05 | 2.90 | 3.70 | 1.20 | 1.31 | 1.62 |
| 22:30 | 303 | ლე ავრი-ანჟე | 1.60 | 3.30 | 5.50 | 1.07 | 1.23 | 2.06 |
| 22:00 | 304 | გენიონი-ბულონი | 2.50 | 3.00 | 2.70 | 1.36 | 1.29 | 1.42 |
| 22:00 | 305 | ლიბურნი-დიჟონი | 2.15 | 2.90 | 3.40 | 1.23 | 1.31 | 1.56 |
| 22:00 | 306 | ბრესტი-გენგამი | 2.10 | 2.90 | 3.50 | 1.21 | 1.31 | 1.58 |
| 22:00 | 307 | კლერმონი-მონპელიე | 2.15 | 2.90 | 3.40 | 1.23 | 1.31 | 1.56 |
| 22:00 | 308 | ნანტი-ნიორი | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| 22:00 | 309 | რეიმსი-სედანი | 2.45 | 2.85 | 2.90 | 1.31 | 1.32 | 1.43 |
| 22:00 | 310 | გრენობლი-ტრუა | 2.35 | 2.90 | 3.00 | 1.29 | 1.31 | 1.47 |
| | | ბელგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 4 აპრილი | | | | | | |
| 22:30 | 314 | გენტი-სტ.ტრუიდენი | 1.45 | 3.70 | 6.20 | 1.04 | 1.17 | 2.31 |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 22:00 | 311 | დენდერი-შარლერუა | 2.45 | 3.10 | 2.80 | 1.36 | 1.30 | 1.47 |
| 22:00 | 312 | ბრიუსელი-მეხელენი | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| 22:00 | 313 | გენკი-ლოკერენი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 22:00 | 315 | რუსელარე-ბეერსხოტი | 2.95 | 3.15 | 2.20 | 1.52 | 1.26 | 1.29 |
| 22:00 | 319 | ვარეგემი-ბრიუგე | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 22:00 | 320 | სერკლი-მონსი | 1.52 | 3.70 | 6.20 | 1.07 | 1.22 | 2.31 |
| | | 6 აპრილი | | | | | | |
| 20:00 | 316 | სტანდარდი-მუსკრონი | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| 22:30 | 318 | ვესტერლო-ანდერლეხტი | 3.25 | 3.20 | 2.05 | 1.61 | 1.15 | [illegible] |
| | | ჰოლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 4 აპრილი | | | | | | |
| 22:30 | 341 | როდა-ნაიმეგენი | 1.90 | 3.30 | 3.70 | 1.20 | 1.25 | 1.74 |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 21:30 | 342 | ტილბურგი-ჰერენვენი | 3.10 | 3.40 | 2.05 | 1.62 | 1.23 | 1.27 |
| 22:00 | 343 | ტვენტე-ექსელსიორი | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| 22:00 | 346 | ვიტესი-სპარტა | 1.90 | 3.30 | 3.80 | 1.20 | 1.26 | 1.76 |
| | | 6 აპრილი | | | | | | |
| 16:30 | 344 | პსვ-ჰერაკლესი | 1.20 | 5.70 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.75 |
| 16:30 | 347 | ფეიენოორდი-უტრეხტი | 1.55 | 3.70 | 5.50 | 1.09 | 1.20 | 2.21 |
| 16:30 | 348 | აიაქსი-გრააფსხაპი | 1.20 | 5.70 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.75 |
| 14:30 | 350 | ვენლო-ალკმაარი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 16:30 | 351 | გრონინგენი-ბრედა | 2.20 | 3.30 | 3.00 | 1.32 | 1.26 | 1.57 |
| | | ჰოლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 4 აპრილი | | | | | | |
| 22:00 | 352 | კამბური-დენ ჰააგი | 3.65 | 3.30 | 1.90 | 1.73 | 1.24 | 1.20 |
| 22:00 | 353 | ემენი-დორდრეხტი | 2.20 | 3.30 | 2.90 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| 22:00 | 354 | ტელსტარი-ომნივორლდი | 2.15 | 3.50 | 2.85 | 1.33 | 1.22 | 1.57 |
| 22:00 | 355 | ჰელმონდი-სიტარდი | 1.50 | 3.70 | 5.65 | 1.06 | 1.18 | 2.23 |
| 22:00 | 356 | ველვაიკი-ზვოლე | 1.90 | 3.30 | 3.60 | 1.20 | 1.24 | 1.72 |
| 22:00 | 357 | მაასტრიხტი-ეინდჰოვენი | 1.35 | 4.40 | 7.50 | 1.03 | 1.14 | 2.77 |
| 22:00 | 358 | იგლსი-ვეენდამი | 1.90 | 3.30 | 3.60 | 1.20 | 1.24 | 1.72 |
| 22:00 | 359 | აპელდორნი-ვოლენდამი | 4.60 | 3.50 | 1.65 | 1.98 | 1.21 | 1.12 |
| 22:00 | 360 | დენ ბოსხი-როზენდალი | 1.75 | 3.40 | 4.10 | 1.15 | 1.22 | 1.85 |
| 22:00 | 361 | ოსი-ჰაარლემი | 1.50 | 3.65 | 5.75 | 1.06 | 1.18 | 2.23 |
| | | პორტუგალია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 4 აპრილი | | | | | | |
| 23:30 | 369 | ფერეირა-გიმარაეში | 3.10 | 3.20 | 2.15 | 1.57 | 1.26 | 1.28 |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 21:45 | 362 | აკადემიკა-სეტუბალი | 2.65 | 3.10 | 2.50 | 1.42 | 1.28 | 1.38 |
| 23:45 | 365 | პორტუ-ამადორა | 1.20 | 5.40 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.72 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10156 | დორტმუნდი-ლევერკუზენი | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10158 | აინტრახტი-ნიურნბერგი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10160 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10161 | ბაიერნი-ბოხუმი | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10163 | ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10164 | დუისბურგი-კოტბუსი | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10165 | არმინია-კარლსრუე | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10166 | შალკე-ჰანზა | 1.60 | 2.30 | 7.50 | 1.00 | 1.31 | 1.76 |
| 10167 | ჰერტა-ვერდერი | 3.60 | 2.00 | 2.40 | 1.28 | 1.44 | 1.09 |
| 10169 | კიოლნი-მიონხენგლადბახი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10170 | ზტ.პაული-ფრაიბურგი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10171 | ფიურტი-მიუნხენი 1860 | 2.35 | 2.00 | 3.80 | 1.08 | 1.45 | 1.31 |
| 10172 | აუგსბურგი-აუე | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10173 | კარლ ცაისი-პადერბორნი | 2.35 | 2.00 | 3.80 | 1.08 | 1.45 | 1.31 |
| 10174 | კობლენცი-ოფენბახი | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10175 | მაინცი-ვეენი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10176 | კაიზერსლაუტერნი-ჰოფენჰაიმი | 3.40 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.47 | 1.13 |
| 10177 | ალემანია-ოსნაბრიუკი | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10196 | ტიროლი-რიდი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10197 | ზალცბურგი-შტურმი | 1.65 | 2.30 | 6.80 | 1.00 | 1.32 | 1.71 |
| 10198 | აუსტრია-მატერსბურგი | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10199 | ლინცერი-რაპიდი | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10200 | აუსტრია კერნტენი-ალტახი | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10207 | აარაუ-თუნი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10210 | ქსამაქსი-სტ.გალენი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10211 | სიონი-ციურიხი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10301 | ბასტია-აიაჩო | 2.35 | 2.00 | 3.80 | 1.08 | 1.45 | 1.31 |
| 10302 | შატორუ-ამიენი | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10303 | ლე ავრი-ანჟე | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10304 | გენიონი-ბულონი | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10305 | ლიბურნი-დიჟონი | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10306 | ბრესტი-გენგამი | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10307 | კლერმონი-მონპელიე | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10308 | ნანტი-ნიორი | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |
| 10309 | რეიმსი-სედანი | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10310 | გრენობლი-ტრუა | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10311 | დენდერი-შარლერუა | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10312 | ბრიუსელი-მეხელენი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10313 | გენკი-ლოკერენი | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10314 | გენტი-სტ.ტრუიდენი | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10315 | რუსელარე-ბეერსხოტი | 3.35 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.46 | 1.13 |
| 10316 | სტანდარდი-მუსკრონი | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10318 | ვესტერლო-ანდერლეხტი | 3.65 | 2.00 | 2.45 | 1.29 | 1.46 | 1.10 |
| 10319 | ვარეგემი-ბრიუგე | 3.20 | 2.00 | 2.75 | 1.23 | 1.47 | 1.15 |
| 10320 | სერკლი-მონსი | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10341 | როდა-ნაიმეგენი | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10342 | ტილბურგი-ჰერენვენი | 3.50 | 2.00 | 2.50 | 1.27 | 1.45 | 1.11 |
| 10343 | ტვენტე-ექსელსიორი | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10344 | პსვ-ჰერაკლესი | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10346 | ვიტესი-სპარტა | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10347 | ფეიენოორდი-უტრეხტი | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10348 | აიაქსი-გრააფსხაპი | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10350 | ვენლო-ალკმაარი | 3.20 | 2.00 | 2.75 | 1.23 | 1.47 | 1.15 |
| 10351 | გრონინგენი-ბრედა | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10352 | კამბური-დენ ჰააგი | 4.05 | 2.00 | 2.30 | 1.33 | 1.46 | 1.06 |
| 10353 | ემენი-დორდრეხტი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10354 | ტელსტარი-ომნივორლდი | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10355 | ჰელმონდი-სიტარდი | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10356 | ველვაიკი-ზვოლე | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10357 | მაასტრიხტი-ეინდჰოვენი | 1.65 | 2.30 | 6.80 | 1.00 | 1.32 | 1.71 |
| 10358 | იგლსი-ვეენდამი | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10359 | აპელდორნი-ვოლენდამი | 5.00 | 2.10 | 2.10 | 1.47 | 1.47 | 1.04 |
| 10360 | დენ ბოსხი-როზენდალი | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10361 | ოსი-ჰაარლემი | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10362 | აკადემიკა-სეტუბალი | 3.05 | 2.00 | 2.90 | 1.20 | 1.48 | 1.18 |
| 10363 | ბოავიშტა-ბენფიკა | 4.15 | 2.00 | 2.25 | 1.34 | 1.45 | 1.05 |
| 10365 | პორტუ-ამადორა | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10367 | ლეიშოესი-ბელენენსეში | 3.10 | 2.00 | 2.85 | 1.21 | 1.48 | 1.17 |
| 10368 | მარიტიმუ-ნასიონალი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10369 | ფერეირა-გიმარაეში | 3.50 | 2.00 | 2.50 | 1.27 | 1.45 | 1.11 |
| 10371 | სპორტინგი-ბრაგა | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10372 | ლეირია-ნავალი | 3.10 | 2.00 | 2.85 | 1.21 | 1.48 | 1.17 |
| 10390 | სივასპორი-ბეშიქთაში | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10391 | ტრაბზონი-დენიზლი | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10392 | გენჩლერბირლიგი-გალათასარაი | 4.40 | 2.00 | 2.20 | 1.37 | 1.46 | 1.04 |
| 10394 | ოსმანსპორი-კასიმპაშა | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10395 | ფენერბაჩე-კაისერი | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |
| 10396 | რიზე-კონია | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10397 | გაზიანთეპი-ანკარაგუჯუ | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10398 | ბურსა-მანისა | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10399 | ისტანბული-ანკარა | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11156 | დორტმუნდი-ლევერკუზენი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11158 | აინტრახტი-ნიურნბერგი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11160 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11161 | ბაიერნი-ბოხუმი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11163 | ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11164 | დუისბურგი-კოტბუსი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11165 | არმინია-კარლსრუე | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11166 | შალკე-ჰანზა | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11167 | ჰერტა-ვერდერი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11169 | კიოლნი-მიონხენგლადბახი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11170 | ზტ.პაული-ფრაიბურგი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11171 | ფიურტი-მიუნხენი 1860 | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11172 | აუგსბურგი-აუე | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11173 | კარლ ცაისი-პადერბორნი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11174 | კობლენცი-ოფენბახი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11175 | მაინცი-ვეენი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11176 | კაიზერსლაუტერნი-ჰოფენჰაიმი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11177 | ალემანია-ოსნაბრიუკი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11196 | ტიროლი-რიდი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11197 | ზალცბურგი-შტურმი | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11198 | აუსტრია-მატერსბურგი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11199 | ლინცერი-რაპიდი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11200 | აუსტრია კერნტენი-ალტახი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11207 | აარაუ-თუნი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11210 | ქსამაქსი-სტ.გალენი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11211 | სიონი-ციურიხი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11301 | ბასტია-აიაჩო | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11302 | შატორუ-ამიენი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11303 | ლე ავრი-ანჟე | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11304 | გენიონი-ბულონი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11305 | ლიბურნი-დიჟონი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11306 | ბრესტი-გენგამი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11307 | კლერმონი-მონპელიე | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11308 | ნანტი-ნიორი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11309 | რეიმსი-სედანი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11310 | გრენობლი-ტრუა | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11311 | დენდერი-შარლერუა | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11312 | ბრიუსელი-მეხელენი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11313 | გენკი-ლოკერენი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11314 | გენტი-სტ.ტრუიდენი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11315 | რუსელარე-ბეერსხოტი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11316 | სტანდარდი-მუსკრონი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11318 | ვესტერლო-ანდერლეხტი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11319 | ვარეგემი-ბრიუგე | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11320 | სერკლი-მონსი | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11341 | როდა-ნაიმეგენი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11342 | ტილბურგი-ჰერენვენი | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11343 | ტვენტე-ექსელსიორი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11344 | პსვ-ჰერაკლესი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11346 | ვიტესი-სპარტა | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11347 | ფეიენოორდი-უტრეხტი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11348 | აიაქსი-გრააფსხაპი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11350 | ვენლო-ალკმაარი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11351 | გრონინგენი-ბრედა | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11352 | კამბური-დენ ჰააგი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11353 | ემენი-დორდრეხტი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11354 | ტელსტარი-ომნივორლდი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11355 | ჰელმონდი-სიტარდი | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11356 | ველვაიკი-ზვოლე | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11357 | მაასტრიხტი-ეინდჰოვენი | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11358 | იგლსი-ვეენდამი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11359 | აპელდორნი-ვოლენდამი | 7.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11360 | დენ ბოსხი-როზენდალი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11361 | ოსი-ჰაარლემი | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11362 | აკადემიკა-სეტუბალი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11363 | ბოავიშტა-ბენფიკა | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11365 | პორტუ-ამადორა | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11367 | ლეიშოესი-ბელენენსეში | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11368 | მარიტიმუ-ნასიონალი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11369 | ფერეირა-გიმარაეში | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11371 | სპორტინგი-ბრაგა | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11372 | ლეირია-ნავალი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11390 | სივასპორი-ბეშიქთაში | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11391 | ტრაბზონი-დენიზლი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11392 | გენჩლერბირლიგი-გალათასარაი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11394 | ოსმანსპორი-კასიმპაშა | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11395 | ფენერბაჩე-კაისერი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11396 | რიზე-კონია | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11397 | გაზიანთეპი-ანკარაგუჯუ | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11398 | ბურსა-მანისა | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11399 | ისტანბული-ანკარა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 აპრილი | | | | | | |
| 23:45 | 363 | ბოავიშტა-ბენფიკა | 3.75 | 3.20 | 1.90 | 1.72 | 1.26 | 1.19 |
| 19:00 | 368 | მარიტიმუ-ნასიონალი | 2.25 | 3.10 | 3.00 | 1.30 | 1.28 | 1.52 |
| 21:30 | 371 | სპორტინგი-ბრაგა | 1.50 | 3.50 | 6.25 | 1.04 | 1.20 | 2.24 |
| 19:00 | 372 | ლეირია-ნავალი | 2.70 | 3.00 | 2.50 | 1.42 | 1.29 | 1.36 |
| | | 7 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 367 | ლეიშოეში-ბელენენსეში | 2.70 | 2.85 | 2.60 | 1.38 | 1.32 | 1.35 |
| | | პორტუგალია. 1 დივიზიონი | | | | | | |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 20:00 | 374 | ავეში-ფატიმა | 1.90 | 3.10 | 3.80 | 1.17 | 1.26 | 1.70 |
| 20:00 | 379 | სანტა კლარა-ტროფენსე | 2.90 | 3.00 | 2.30 | 1.47 | 1.28 | 1.30 |
| | | 6 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 373 | ბეირა მარ-რიო ავე | 2.50 | 2.90 | 2.75 | 1.34 | 1.30 | 1.41 |
| 19:00 | 375 | ესტორილი-პორტიმონენსე | 2.00 | 3.00 | 3.60 | 1.20 | 1.28 | 1.63 |
| 19:00 | 377 | ოლიანენსე-ფეირენსე | 1.80 | 3.20 | 4.10 | 1.15 | 1.25 | 1.79 |
| 19:00 | 378 | პენაფიელი-გონდომარი | 2.20 | 3.00 | 3.00 | 1.26 | 1.26 | 1.50 |
| 14:15 | 380 | ვიზელა-ჟილ ვისენტე | 2.20 | 3.00 | 3.10 | 1.26 | 1.28 | 1.52 |
| | | საბერძნეთი | | | | | | |
| | | 6 აპრილი | | | | | | |
| 20:00 | 381 | აეკ-აპოლონი | 1.10 | 6.50 | 14.00 | 1.00 | 1.01 | 4.43 |
| 20:00 | 382 | ოფი-პანათინაიკოსი | 9.00 | 4.50 | 1.25 | 3.00 | 1.09 | 1.00 |
| 20:00 | 383 | ოლიმპიაკოსი-ლარისა | 1.20 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.33 |
| 20:00 | 384 | პანიონიოსი-ვერია | 1.25 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.00 |
| | | თურქეთი | | | | | | |
| | | 4 აპრილი | | | | | | |
| 21:00 | 391 | ტრაბზონი-დენიზლი | 1.75 | 3.30 | 4.25 | 1.14 | 1.23 | 1.85 |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 16:00 | 394 | ოსმანლისპორი-კასიმპაშა | 1.55 | 3.60 | 5.25 | 1.08 | 1.19 | 2.13 |
| 20:00 | 395 | ფენერბაჩე-კაისერი | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| | | 6 აპრილი | | | | | | |
| 16:00 | 390 | სივასსპორი-ბეშიქთაში | 2.40 | 3.30 | 2.55 | 1.38 | 1.23 | 1.43 |
| 20:00 | 392 | გენჩლერბირლიგი-გალატასარაი | 4.00 | 3.40 | 1.80 | 1.83 | 1.24 | 1.17 |
| 16:00 | 396 | რიზე-კონია | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 16:00 | 397 | გაზიანტეპი-ანკარასპორი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 16:00 | 398 | ბურსა-მანისა | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 16:00 | 399 | ანტალიასპორი-ანკარა | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| | | რუსეთი | | | | | | |
| | | 4 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 400 | მოსკოვი-ხიმკი | 1.65 | 3.20 | 5.30 | 1.08 | 1.25 | 1.99 |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 401 | რუბინი-ტომსკი | 1.45 | 3.50 | 7.50 | 1.02 | 1.21 | 2.38 |
| 16:00 | 402 | სატურნი-ლოკომოტივი | 2.55 | 2.75 | 2.90 | 1.32 | 1.35 | 1.41 |
| 14:00 | 403 | ტერეკი-ცსკა | 4.75 | 3.25 | 1.70 | 1.92 | 1.25 | 1.11 |
| | | 6 აპრილი | | | | | | |
| 16:30 | 404 | შინიკი-ზენიტი | 3.65 | 2.85 | 2.10 | 1.60 | 1.33 | 1.20 |
| 14:00 | 405 | კრილია-კუბანი | 1.60 | 3.25 | 5.80 | 1.07 | 1.25 | 2.08 |
| 19:00 | 406 | სპარტაკი ნ-დინამო მ | 3.00 | 2.80 | 2.40 | 1.44 | 1.33 | 1.29 |
| 19:00 | 407 | სპარტაკი-ამკარი | 1.44 | 3.75 | 7.00 | 1.04 | 1.19 | 2.44 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | პოლონეთი | | | | | | |
| | | 4 აპრილი | | | | | | |
| 22:00 | 408 | გორნიკი-გროცლინი | 2.75 | 3.10 | 2.30 | 1.45 | 1.25 | 1.32 |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 20:00 | 409 | ვიძევი-იაგელონია | 1.85 | 3.20 | 3.65 | 1.17 | [illegible] | [illegible] |
| 22:15 | 410 | ვისლა-რუხი | 1.20 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.07 | [illegible] |
| 20:00 | 411 | ზაგლემბე-პოლონია | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 20:00 | 413 | ლეხი-ოდრა | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| 20:00 | 414 | ზაგლემბე ს-კრაკოვია | 3.00 | 3.10 | 2.15 | 1.52 | 1.25 | 1.26 |
| 20:00 | 415 | კორონა-ლოძი | 1.55 | 3.40 | 5.20 | 1.06 | 1.19 | 2.05 |
| | | 6 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 412 | ბელხატოვი-ლეგია | 3.00 | 3.10 | 2.15 | 1.52 | 1.25 | 1.26 |
| | | ჩეხეთი | | | | | | |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 418 | სპარტა-ბუდეიოვიცე | 1.18 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.07 | 3.77 |
| 17:00 | 420 | ლიბერეცი-ბოლესლავი | 1.75 | 3.20 | 4.40 | 1.13 | 1.25 | 1.85 |
| 21:00 | 421 | ზლინი-ჯიჰლავა | 1.90 | 3.10 | 3.80 | 1.17 | 1.26 | 1.70 |
| 21:00 | 422 | ბანიკი-იაბლონეცი | 1.55 | 3.40 | 5.75 | 1.06 | 1.22 | 2.13 |
| | | 6 აპრილი | | | | | | |
| 22:15 | 416 | ბოჰემიანსი-კლადნო | 1.90 | 3.00 | 3.90 | 1.16 | 1.27 | 1.69 |
| 19:00 | 419 | ტეპლიცე-სიგმა | 1.65 | 3.25 | 5.00 | 1.09 | 1.24 | 1.96 |
| 19:00 | 423 | ბრნო-მოსტი | 1.45 | 3.65 | 6.75 | 1.03 | 1.19 | 2.36 |
| | | 7 აპრილი | | | | | | |
| 19:15 | 417 | პლზენი-სლავია | 4.40 | 3.20 | 1.75 | 1.85 | 1.25 | 1.13 |
| | | სლოვაკეთი | | | | | | |
| | | 4 აპრილი | | | | | | |
| 19:30 | 424 | სენეცი-ნიტრა | 2.65 | 3.00 | 2.40 | 1.40 | 1.25 | 1.33 |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 19:30 | 425 | ტრენჩინი-ბ.ბისტრიცა | 2.60 | 2.90 | 2.50 | 1.37 | 1.27 | 1.34 |
| 16:30 | 426 | ჟილინა-პეტრჟალკა | 1.90 | 3.10 | 3.55 | 1.17 | 1.23 | 1.65 |
| 20:00 | 427 | ზლატე მორავცე-სლოვანი | 2.55 | 2.90 | 2.55 | 1.35 | 1.27 | 1.35 |
| 19:30 | 428 | დუბნიცა-რუჟომბეროკი | 2.30 | 3.00 | 2.85 | 1.30 | 1.27 | 1.46 |
| 21:30 | 429 | ტრნავა-კოშიცე | 1.85 | 3.10 | 3.85 | 1.15 | 1.24 | 1.71 |
| | | ხორვატია | | | | | | |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 17:00 | 431 | ციბალია-შიბენიკი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 20:00 | 432 | დინამო-ინტერი | 1.15 | 6.00 | 13.00 | 1.00 | 1.05 | 4.10 |
| 20:00 | 433 | რიეკა-მეჟიმურიე | 1.17 | 5.75 | 12.00 | 1.00 | 1.06 | 3.88 |
| 20:00 | 434 | პოდრავინა-ოსიეკი | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 19:00 | 435 | სლავენი-ზადარი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| | | 6 აპრილი | | | | | | |
| 17:00 | 430 | ზაგრები-ვარტექსი | 1.90 | 3.25 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.70 |
| | | დანია. 1 დივიზიონი | | | | | | |
| | | 6 აპრილი | | | | | | |
| 15:00 | 443 | ფრემი-ნესტვედი | 2.20 | 3.50 | 2.70 | 1.35 | 1.21 | 1.52 |
| 17:00 | 444 | ჰერფოლგე-ორჰუსი ფრ | 1.45 | 3.90 | 6.10 | 1.05 | 1.17 | 2.37 |
| 17:00 | 445 | კოლდინგი-აკადემისკი | 2.15 | 3.50 | 2.80 | 1.33 | 1.21 | 1.55 |
| 17:00 | 446 | კოგე-ჰელერუპი | 1.80 | 3.60 | 3.70 | 1.20 | 1.21 | 1.82 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12156 | დორტმუნდი-ლევერკუზენი | 1.90 | 1.70 |
| 12158 | აინტრახტი-ნიურნბერგი | 1.80 | 1.80 |
| 12160 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 1.80 | 1.80 |
| 12161 | ბაიერნი-ბოხუმი | 2.10 | 1.50 |
| 12163 | ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 1.80 | 1.80 |
| 12164 | დუისბურგი-კოტბუსი | 1.70 | 1.90 |
| 12165 | არმინია-კარლსრუე | 1.70 | 1.90 |
| 12166 | შალკე-ჰანზა | 1.90 | 1.70 |
| 12167 | ჰერტა-ვერდერი | 1.90 | 1.70 |
| 12169 | კიოლნი-მიონხენგლადბახი | 1.80 | 1.80 |
| 12170 | ზტ.პაული-ფრაიბურგი | 1.70 | 1.90 |
| 12171 | ფიურტი-მიუნხენი 1860 | 1.70 | 1.90 |
| 12172 | აუგსბურგი-აუე | 1.70 | 1.90 |
| 12173 | კარლ ცაისი-პადერბორნი | 1.80 | 1.80 |
| 12174 | კობლენცი-ოფენბახი | 1.70 | 1.90 |
| 12175 | მაინცი-ვეენი | 1.90 | 1.70 |
| 12176 | კაიზერსლაუტერნი-ჰოფენჰაიმი | 1.70 | 1.90 |
| 12177 | ალემანია-ოსნაბრიუკი | 1.90 | 1.70 |
| 12196 | ტიროლი-რიდი | 1.80 | 1.80 |
| 12197 | ზალცბურგი-შტურმი | 2.00 | 1.60 |
| 12198 | აუსტრია-მატერსბურგი | 1.70 | 1.90 |
| 12199 | ლინცერი-რაპიდი | 1.90 | 1.70 |
| 12200 | აუსტრია კერნტენი-ალტახი | 1.70 | 1.90 |
| 12207 | აარაუ-თუნი | 1.80 | 1.80 |
| 12210 | ქსამაქსი-სტ.გალენი | 1.80 | 1.80 |
| 12211 | სიონი-ციურიხი | 1.80 | 1.80 |
| 12301 | ბასტია-აიაჩო | 1.60 | 2.00 |
| 12302 | შატორუ-ამიენი | 1.60 | 2.00 |
| 12303 | ლე ჰავრი-ანჟე | 1.60 | 2.00 |
| 12304 | გინგამი-ბულონი | 1.60 | 2.00 |
| 12305 | ლიბურნი-დიჟონი | 1.60 | 2.00 |
| 12306 | ბრესტი-ვანი | 1.50 | 2.10 |
| 12307 | კლერმონი-მონპელიე | 1.60 | 2.00 |
| 12308 | ნანტი-ნიორი | 1.80 | 1.80 |
| 12309 | რეიმსი-სედანი | 1.70 | 1.90 |
| 12310 | გრენობლი-ტრუა | 1.60 | 2.00 |
| 12311 | დენდერი-შარლერუა | 1.80 | 1.80 |
| 12312 | ბრიუსელი-მეხელენი | 1.80 | 1.80 |
| 12313 | გენკი-ლოკერენი | 1.90 | 1.70 |
| 12314 | გენტი-სტ.ტრუიდენი | 2.00 | 1.60 |
| 12315 | რუზელარე-ბეერსხოტი | 1.80 | 1.80 |
| 12316 | სტანდარდი-მუსკრონი | 1.90 | 1.70 |
| 12318 | ვესტერლო-ანდერლეხტი | 1.80 | 1.80 |
| 12319 | ვარეგემი-ბრიუგე | 1.90 | 1.70 |
| 12320 | სერკლი-მონსი | 2.00 | 1.60 |
| 12341 | როდა-ნაიმეგენი | 2.00 | 1.60 |
| 12342 | ტილბურგი-ჰერენვენი | 2.00 | 1.60 |
| 12343 | ტვენტე-ექსელსიორი | 2.10 | 1.50 |
| 12344 | პსვ-ჰერაკლესი | 2.10 | 1.50 |
| 12346 | ვიტესი-სპარტა | 2.10 | 1.50 |
| 12347 | ფეიენოორდი-უტრეხტი | 2.10 | 1.50 |
| 12348 | აიაქსი-გრააფსხაპი | 2.20 | 1.40 |
| 12350 | ვენლო-ალკმაარი | 2.10 | 1.50 |
| 12351 | გრონინგენი-ბრედა | 2.00 | 1.60 |
| 12352 | კამბური-დენ ჰააგი | 2.10 | 1.50 |
| 12353 | ემენი-დორდრეხტი | 2.10 | 1.50 |
| 12354 | ტელსტარი-ომნივორლდი | 2.10 | 1.50 |
| 12355 | ჰელმონდი-სიტარდი | 2.10 | 1.50 |
| 12356 | ვალვაიკი-ზვოლე | 2.10 | 1.50 |
| 12357 | მაასტრიხტი-ეინდჰოვენი | 2.10 | 1.50 |
| 12358 | იგლზი-ვეენდამი | 2.10 | 1.50 |
| 12359 | აპელდორნი-ვოლენდამი | 2.10 | 1.50 |
| 12360 | დენ ბოსხი-როზენდალი | 2.10 | 1.50 |
| 12361 | ოსი-ჰაარლემი | 2.00 | 1.60 |
| 12362 | აკადემიკა-სეტუბალი | 1.50 | 2.10 |
| 12363 | ბოავიშტა-ბენფიკა | 1.60 | 2.00 |
| 12365 | პორტუ-ამადორა | 1.90 | 1.70 |
| 12367 | ლეიშოეში-ბელენენსეში | 1.50 | 2.10 |
| 12368 | მარიტიმუ-ნასიონალი | 1.50 | 2.10 |
| 12369 | ფერეირა-გიმარაეში | 1.50 | 2.10 |
| 12371 | სპორტინგი-ბრაგა | 1.60 | 2.00 |
| 12372 | ლეირია-ნავალი | 1.50 | 2.10 |
| 12390 | სივასსპორი-ბეშიქთაში | 1.80 | 1.80 |
| 12391 | ტრაბზონი-დენიზლი | 1.80 | 1.80 |
| 12392 | გენჩლერბირლიგი-გალატასარაი | 1.80 | 1.80 |
| 12394 | ოსმანლისპორი-კასიმპაშა | 1.80 | 1.80 |
| 12395 | ფენერბაჩე-კაისერი | 2.00 | 1.60 |
| 12396 | რიზე-კონია | 1.80 | 1.80 |
| 12397 | გაზიანტეპი-ანკარაგუჯუ | 1.70 | 1.90 |
| 12398 | ბურსა-მანისა | 1.70 | 1.90 |
| 12399 | ანტალიასპორი-ანკარა | 1.70 | 1.90 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს. (ძირითადი დრო)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 13156 | დორტმუნდი-ლევერკუზენი | 1.60 | 2.00 |
| 13158 | აინტრახტი-ნიურნბერგი | 1.70 | 1.90 |
| 13160 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 1.70 | 1.90 |
| 13161 | ბაიერნი-ბოხუმი | 1.60 | 2.00 |
| 13163 | ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 1.60 | 2.00 |
| 13164 | დუისბურგი-კოტბუსი | 1.70 | 1.90 |
| 13165 | არმინია-კარლსრუე | 1.70 | 1.90 |
| 13166 | შალკე-ჰანზა | 1.70 | 1.90 |
| 13167 | ჰერტა-ვერდერი | 1.70 | 1.90 |
| 13169 | კიოლნი-მიონხენგლადბახი | 1.60 | 2.00 |
| 13170 | ზტ.პაული-ფრაიბურგი | 1.70 | 1.90 |
| 13171 | ფიურტი-მიუნხენი 1860 | 1.70 | 1.90 |
| 13172 | აუგსბურგი-აუე | 1.70 | 1.90 |
| 13173 | კარლ ცაისი-პადერბორნი | 1.60 | 2.00 |
| 13174 | კობლენცი-ოფენბახი | 1.70 | 1.90 |
| 13175 | მაინცი-ვეენი | 1.70 | 1.90 |
| 13176 | კაიზერსლაუტერნი-ჰოფენჰაიმი | 1.70 | 1.90 |
| 13177 | ალემანია-ოსნაბრიუკი | 1.60 | 2.00 |
| 13196 | ტიროლი-რიდი | 1.70 | 1.90 |
| 13197 | ზალცბურგი-შტურმი | 1.80 | 1.80 |
| 13198 | აუსტრია-მატერსბურგი | 1.70 | 1.90 |
| 13199 | ლინცერი-რაპიდი | 1.60 | 2.00 |
| 13200 | აუსტრია კერნტენი-ალტახი | 1.70 | 1.90 |
| 13311 | დენდერი-შარლერუა | 1.70 | 1.90 |
| 13312 | ბრიუსელი-მეხელენი | 1.70 | 1.90 |
| 13313 | გენკი-ლოკერენი | 1.70 | 1.90 |
| 13314 | გენტი-სტ.ტრუიდენი | 1.70 | 1.90 |
| 13315 | რუზელარე-ბეერსხოტი | 1.80 | 1.80 |
| 13316 | სტანდარდი-მუსკრონი | 2.00 | 1.60 |
| 13318 | ვესტერლო-ანდერლეხტი | 1.80 | 1.80 |
| 13319 | ვარეგემი-ბრიუგე | 1.70 | 1.90 |
| 13320 | სერკლი-მონსი | 1.70 | 1.90 |
| 13341 | როდა-ნაიმეგენი | 1.50 | 2.10 |
| 13342 | ტილბურგი-ჰერენვენი | 1.50 | 2.10 |
| 13343 | ტვენტე-ექსელსიორი | 1.60 | 2.00 |
| 13344 | პსვ-ჰერაკლესი | 1.90 | 1.70 |
| 13346 | ვიტესი-სპარტა | 1.50 | 2.10 |
| 13347 | ფეიენოორდი-უტრეხტი | 1.60 | 2.00 |
| 13348 | აიაქსი-გრააფსხაპი | 1.80 | 1.80 |
| 13350 | ვენლო-ალკმაარი | 1.50 | 2.10 |
| 13351 | გრონინგენი-ბრედა | 1.50 | 2.10 |
| 13352 | კამბური-დენ ჰააგი | 1.50 | 2.10 |
| 13353 | ემენი-დორდრეხტი | 1.40 | 2.20 |
| 13354 | ტელსტარი-ომნივორლდი | 1.50 | 2.10 |
| 13355 | ჰელმონდი-სიტარდი | 1.40 | 2.20 |
| 13356 | ვალვაიკი-ზვოლე | 1.40 | 2.20 |
| 13357 | მაასტრიხტი-ეინდჰოვენი | 1.50 | 2.10 |
| 13358 | იგლზი-ვეენდამი | 1.40 | 2.20 |
| 13359 | აპელდორნი-ვოლენდამი | 1.40 | 2.20 |
| 13360 | დენ ბოსხი-როზენდალი | 1.40 | 2.20 |
| 13361 | ოსი-ჰაარლემი | 1.40 | 2.20 |
| 13362 | აკადემიკა-სეტუბალი | 1.80 | 1.80 |
| 13363 | ბოავიშტა-ბენფიკა | 1.80 | 1.80 |
| 13365 | პორტუ-ამადორა | 2.00 | 1.60 |
| 13367 | ლეიშოეში-ბელენენსეში | 1.90 | 1.70 |
| 13368 | მარიტიმუ-ნასიონალი | 1.80 | 1.80 |
| 13369 | ფერეირა-გიმარაეში | 1.80 | 1.80 |
| 13371 | სპორტინგი-ბრაგა | 1.90 | 1.70 |
| 13372 | ლეირია-ნავალი | 1.80 | 1.80 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში,

ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14156 | დორტმუნდი-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 14158 | აინტრახტი-ნიურნბერგი | 1.70 | 2.20 |
| 14160 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 1.80 | 2.00 |
| 14163 | ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 1.65 | 2.30 |
| 14164 | დუისბურგი-კოტბუსი | 1.75 | 2.10 |
| 14165 | არმინია-კარლსრუე | 1.75 | 2.10 |
| 14167 | ჰერტა-ვერდერი | 2.10 | 1.75 |
| 14169 | კიოლნი-მიონხენგლადბახი | 1.80 | 2.00 |
| 14170 | ზტ.პაული-ფრაიბურგი | 1.95 | 1.85 |
| 14171 | ფიურტი-მიუნხენი 1860 | 1.70 | 2.20 |
| 14172 | აუგსბურგი-აუე | 1.65 | 2.30 |
| 14173 | კარლ ცაისი-პადერბორნი | 1.70 | 2.20 |
| 14174 | კობლენცი-ოფენბახი | 1.65 | 2.30 |
| 14175 | მაინცი-ვეენი | 1.30 | 2.50 |
| 14176 | კაიზერსლაუტერნი-ჰოფენჰაიმი | 2.10 | 1.75 |
| 14177 | ალემანია-ოსნაბრიუკი | 1.45 | 2.40 |
| 14196 | ტიროლი-რიდი | 1.80 | 2.00 |
| 14197 | ზალცბურგი-შტურმი | 1.20 | 2.60 |
| 14198 | აუსტრია-მატერსბურგი | 1.20 | 2.60 |
| 14199 | ლინცერი-რაპიდი | 1.85 | 1.95 |
| 14200 | აუსტრია კერნტენი-ალტახი | 1.65 | 2.30 |
| 14207 | აარაუ-თუნი | 1.30 | 2.50 |
| 14210 | ქსამაქსი-სტ.გალენი | 1.80 | 2.00 |
| 14211 | სიონი-ციურიხი | 1.80 | 2.00 |
| 14301 | ბასტია-აიაჩო | 1.70 | 2.20 |
| 14302 | შატორუ-ამიენი | 1.75 | 2.10 |
| 14303 | ლე ჰავრი-ანჟე | 1.30 | 2.50 |
| 14304 | გინგამი-ბულონი | 1.85 | 1.95 |
| 14305 | ლიბურნი-დიჟონი | 1.75 | 2.10 |
| 14306 | ბრესტი-ვანი | 1.75 | 2.10 |
| 14307 | კლერმონი-მონპელიე | 1.75 | 2.10 |
| 14308 | ნანტი-ნიორი | 1.20 | 2.60 |
| 14309 | რეიმსი-სედანი | 1.85 | 1.95 |
| 14310 | გრენობლი-ტრუა | 1.80 | 2.00 |
| 14311 | დენდერი-შარლერუა | 1.85 | 1.95 |
| 14312 | ბრიუსელი-მეხელენი | 1.95 | 1.85 |
| 14313 | გენკი-ლოკერენი | 1.45 | 2.40 |
| 14314 | გენტი-სტ.ტრუიდენი | 1.20 | 2.60 |
| 14315 | რუზელარე-ბეერსხოტი | 2.00 | 1.80 |
| 14318 | ვესტერლო-ანდერლეხტი | 2.10 | 1.75 |
| 14319 | ვარეგემი-ბრიუგე | 2.00 | 1.80 |
| 14320 | სერკლი-მონსი | 1.30 | 2.50 |
| 14341 | როდა-ნაიმეგენი | 1.70 | 2.20 |
| 14342 | ტილბურგი-ჰერენვენი | 2.10 | 1.75 |
| 14346 | ვიტესი-სპარტა | 1.70 | 2.20 |
| 14347 | ფეიენოორდი-უტრეხტი | 1.30 | 2.50 |
| 14350 | ვენლო-ალკმაარი | 2.00 | 1.80 |
| 14351 | გრონინგენი-ბრედა | 1.80 | 2.00 |
| 14352 | კამბური-დენ ჰააგი | 2.20 | 1.70 |
| 14353 | ემენი-დორდრეხტი | 1.80 | 2.00 |
| 14354 | ტელსტარი-ომნივორლდი | 1.75 | 2.10 |
| 14355 | ჰელმონდი-სიტარდი | 1.30 | 2.50 |
| 14356 | ვალვაიკი-ზვოლე | 1.70 | 2.20 |
| 14357 | მაასტრიხტი-ეინდჰოვენი | 1.20 | 2.60 |
| 14358 | იგლზი-ვეენდამი | 1.70 | 2.20 |
| 14359 | აპელდორნი-ვოლენდამი | 2.40 | 1.45 |
| 14360 | დენ ბოსხი-როზენდალი | 1.45 | 2.40 |
| 14361 | ოსი-ჰაარლემი | 1.30 | 2.50 |
| 14362 | აკადემიკა-სეტუბალი | 1.95 | 1.85 |
| 14363 | ბოავიშტა-ბენფიკა | 2.20 | 1.70 |
| 14367 | ლეიშოეში-ბელენენსეში | 1.90 | 1.90 |
| 14368 | მარიტიმუ-ნასიონალი | 1.80 | 2.00 |
| 14369 | ფერეირა-გიმარაეში | 2.10 | 1.75 |
| 14371 | სპორტინგი-ბრაგა | 1.30 | 2.50 |
| 14372 | ლეირია-ნავალი | 1.95 | 1.85 |
| 14390 | სივასსპორი-ბეშიქთაში | 1.85 | 1.95 |
| 14391 | ტრაბზონი-დენიზლი | 1.45 | 2.40 |
| 14392 | გენჩლერბირლიგი-გალატასარაი | 2.30 | 1.65 |
| 14394 | ოსმანლისპორი-კასიმპაშა | 1.30 | 2.50 |
| 14395 | ფენერბაჩე-კაისერი | 1.20 | 2.60 |
| 14396 | რიზე-კონია | 1.70 | 2.20 |
| 14397 | გაზიანტეპი-ანკარაგუჯუ | 1.80 | 2.00 |
| 14398 | ბურსა-მანისა | 1.70 | 2.20 |
| 14399 | ანტალიასპორი-ანკარა | 1.70 | 2.20 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 447 | [illegible] | 1.15 | 6.20 | 11.00 | 1.00 | 1.04 | 3.96 |
| 17:00 | 448 | [illegible] | 1.40 | 4.20 | 6.40 | 1.04 | 1.14 | 2.53 |
| 17:00 | 449 | [illegible] | 1.30 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.88 |
| 17:00 | 450 | [illegible] | 2.50 | 3.30 | 2.50 | 1.42 | 1.25 | 1.42 |
| | | ნორვეგია. ტიპლიგა | | | | | | |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 21:00 | 452 | [illegible] | 3.90 | 3.30 | 1.85 | 1.78 | 1.25 | 1.18 |
| | | 6 აპრილი | | | | | | |
| 20:00 | 453 | [illegible] | 3.40 | 3.20 | 2.00 | 1.64 | 1.25 | 1.23 |
| 22:00 | 454 | [illegible] | 2.20 | 3.10 | 3.10 | 1.28 | 1.28 | 1.54 |
| 20:00 | 455 | [illegible] | 2.15 | 3.10 | 3.10 | 1.26 | 1.26 | 1.54 |
| 20:00 | 456 | ლინი-ბოდო გლიმტი | 1.65 | 3.40 | 4.90 | 1.11 | 1.23 | 2.00 |
| 20:00 | 457 | [illegible] | 1.65 | 3.50 | 4.80 | 1.12 | 1.22 | 2.02 |
| | | 7 აპრილი | | | | | | |
| 21:00 | 458 | [illegible] | 3.30 | 3.10 | 2.10 | 1.59 | 1.28 | 1.25 |
| | | ნორვეგია. 1 დივიზიონი | | | | | | |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 459 | [illegible] | 1.30 | 4.70 | 7.10 | 1.01 | 1.09 | 2.82 |
| | | 6 აპრილი | | | | | | |
| 20:00 | 460 | [illegible] | 1.55 | 4.00 | 4.50 | 1.11 | 1.15 | 2.11 |
| 20:00 | 461 | [illegible] | 2.15 | 3.50 | 2.70 | 1.33 | 1.19 | 1.52 |
| 20:00 | 462 | [illegible] | 1.65 | 3.70 | 4.10 | 1.14 | 1.17 | 1.94 |
| 20:00 | 463 | [illegible] | 3.40 | 3.70 | 1.80 | 1.77 | 1.17 | 1.21 |
| 20:00 | 464 | [illegible] | 2.40 | 3.50 | 2.40 | 1.42 | 1.20 | 1.42 |
| 20:00 | 465 | [illegible] | 1.70 | 3.50 | 4.10 | 1.14 | 1.20 | 1.88 |
| 20:00 | 466 | [illegible] | 1.65 | 3.70 | 4.10 | 1.14 | 1.17 | 1.94 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 475 | [illegible] | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| | | 6 აპრილი | | | | | | |
| 17:00 | 476 | [illegible] | 1.45 | 3.75 | 6.25 | 1.04 | 1.17 | 2.34 |
| 19:45 | 477 | [illegible] | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 17:00 | 478 | [illegible] | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 17:00 | 479 | [illegible] | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| | | 7 აპრილი | | | | | | |
| 21:00 | 480 | [illegible] | 1.30 | 4.30 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.85 |
| 21:00 | 481 | [illegible] | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| 22:00 | 482 | [illegible] | 2.05 | 3.25 | 3.25 | 1.25 | 1.25 | 1.62 |
| | | ირლანდია | | | | | | |
| | | 4 აპრილი | | | | | | |
| 23:00 | 483 | [illegible] | 2.40 | 3.00 | 2.80 | 1.33 | 1.29 | 1.44 |
| 22:45 | 484 | [illegible] | 2.30 | 3.00 | 3.00 | 1.30 | 1.30 | 1.50 |
| 22:45 | 485 | [illegible] | 1.45 | 3.70 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.42 |
| 22:45 | 486 | [illegible] | 1.45 | 3.70 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.42 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 487 | სტ.პატრიკსი-დერი | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | [illegible] |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 23:00 | 488 | სლაიგო-კორკი | 1.80 | 3.30 | 4.10 | 1.16 | 1.25 | 1.82 |
| | | მექსიკა | | | | | | |
| | | 4 აპრილი | | | | | | |
| 23:45 | 517 | ატლასი-ნეკახა | 1.75 | 3.30 | 4.10 | 1.14 | [illegible] | [illegible] |
| 23:45 | 522 | ტეკოსი-ტიგრესი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.36 | [illegible] | [illegible] |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 23:45 | 514 | ატლანტე-ჩიაპასი | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | [illegible] |
| 23:45 | 518 | მორელია-სანტოსი | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.57 |
| 23:45 | 519 | მონტერეი-ქერეტარო | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 23:45 | 521 | სან ლუისი-კრუზ აზული | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | 6 აპრილი | | | | | | |
| 23:45 | 515 | ამერიკა-პაჩუკა | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 21:00 | 516 | პუებლა-ტოლუკა | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 21:00 | 520 | პუმასი-სან ლუისი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | არგენტინა | | | | | | |
| | | 4 აპრილი | | | | | | |
| 23:45 | 523 | ველესი-რასინგი | 1.65 | 3.30 | 4.90 | 1.10 | 1.23 | 1.97 |
| 23:45 | 532 | სან მარტინი-ურაკანი | 2.25 | 3.10 | 2.90 | 1.30 | 1.26 | 1.49 |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 22:15 | 524 | როსარიო-ნიუელსი | 2.25 | 3.10 | 2.90 | 1.30 | 1.26 | 1.49 |
| 23:45 | 527 | ბოკა ხუნიორსი-ბანფილდი | 1.45 | 3.60 | 6.80 | 1.03 | 1.19 | 2.35 |
| 23:45 | 529 | ინდეპენდიენტე-კოლონი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.96 |
| 23:45 | 530 | ხიმნასია ლპ-ოლიმპო | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| | | 6 აპრილი | | | | | | |
| 23:45 | 525 | ტიგრე-სან ლორენცო | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | [illegible] |
| 22:15 | 526 | ლანუსი-რივერ პლეიტი | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 20:00 | 528 | არგენტინოს ხუნიორსი-ხიმნასია ჟ | 1.60 | 3.40 | 5.20 | 1.08 | 1.22 | [illegible] |
| 20:00 | 531 | არსენალი-ესტუდიანტესი | 2.60 | 3.25 | 2.35 | 1.44 | 1.23 | 1.36 |
| | | შერეული | | | | | | |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 856 | ცსკა-ხლოსი (ბულგარ) | 1.25 | 4.40 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 2.89 |
| | | 6 აპრილი | | | | | | |
| 15:00 | 857 | მეტალისტი-დნეპრი (უკრაინა) | 2.30 | 2.80 | 2.85 | 1.26 | 1.27 | 1.41 |
| | | ინგლისი. თასი | | | | | | |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 15:15 | 14 | უესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი | 4.30 | 3.30 | 1.85 | 1.86 | 1.29 | 1.18 |
| | | 6 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 15 | ბარნსლი-კარდიფი | 3.10 | 3.20 | 2.20 | 1.57 | 1.28 | 1.30 |
| | | ირლანდია. თასი | | | | | | |
| | | 7 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 854 | დერი-სტ.პატრიკსი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | [illegible] |
| 22:45 | 855 | გლენტორანი-ლინფილდი | 2.35 | 3.15 | 2.70 | 1.34 | 1.25 | [illegible] |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15156 | დორტმუნდი-ლევერკუზენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15158 | აინტრახტი-ნიურნბერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15160 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15163 | ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15164 | დუისბურგი-კოტბუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15165 | არმინია-კარლსრუე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15167 | ჰერტა-ვერდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15169 | კიოლნი-მიონხენგლადბახი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15170 | სტ.პაული-ფრაიბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15171 | ფიურტი-მიუნხენი 1860 | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15172 | აუგსბურგი-აახენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15173 | კარლ ცეისი-პადერბორნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15174 | კობლენცი-ოფენბახი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15175 | მაინცი-ვეენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15176 | კაიზერსლაუტერნი-ჰოფენჰაიმი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15177 | ალემანია-ოსნაბრიუკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15196 | ტორინო-რომა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15197 | ზალცბურგი-შტურმი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15198 | ავსტრია-მატერსბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15199 | ლინცი-რაპიდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15200 | ავსტრია კერნტენი-ალტახი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15207 | აარაუ-თუნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15210 | ქსამაქსი-სტ.გალენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15211 | სიონი-ციურიხი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15301 | ბასტია-ამიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15302 | შატორუ-ნიმი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15303 | ლე ჰავრი-ანჟე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15304 | გეინიონი-ბულონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15305 | ლიბურნი-დიჟონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15306 | ბრესტი-გენგამი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15307 | კლერმონი-მონპელიე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15308 | ნანტი-ნიორი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15309 | რეიმსი-სედანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15310 | გრენობლი-ტრუა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15311 | ლოკერენი-შარლერუა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15312 | ბრიუგე-მუსკრონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15313 | გენკი-ლიერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15314 | გენტი-სტ.ტრუიდენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15315 | რუსელარე-ბევერენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15318 | ვესტერლო-ანდერლეხტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15319 | [illegible] | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15341 | როდა-ნაიმეხენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15342 | ტილბურგი-ჰერენვენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15346 | ვიტესი-სპარტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15347 | ფეიენოორდი-უტრეხტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15350 | ვენლო-ალკმაარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15351 | გრონინგენი-ბრედა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15352 | კამბური-დენ ჰააგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15353 | ემენი-დორდრეხტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15354 | ტელსტარი-[illegible] | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15355 | [illegible] | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15356 | ვალვეიკი-ზვოლე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15357 | მაასტრიხტი-[illegible] | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15358 | ოსი-ვეენდამი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15359 | აგოვაბერი-ვოლენდამი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15360 | დენ ბოსხი-როზენდაალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15361 | [illegible] | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15362 | [illegible] | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15363 | ბოავიშტა-ბენფიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15367 | ლეიშოეში-ბელენენსეში | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15368 | მარიტიმუ-ნასიონალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15369 | ეშტრელა-გიმარაეში | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15371 | სპორტინგი-ბრაგა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15372 | ლეირია-ნავალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15390 | [illegible] | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15391 | [illegible] | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15392 | [illegible] | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15394 | [illegible] | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15395 | ფენერბაჩე-კაისერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15396 | რიზე-კონია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15397 | გენჩლერბირლიგი-ანკარაგუჯუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15398 | ბურსა-მანისა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15399 | [illegible] | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრის გარეშე (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16156 | დორტმუნდი-ლევერკუზენი | 1.70 | 1.95 |
| 16158 | აინტრახტი-ნიურნბერგი | 1.40 | 2.55 |
| 16160 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 1.55 | 2.20 |
| 16163 | ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 1.30 | 3.00 |
| 16164 | დუისბურგი-კოტბუსი | 1.52 | 2.20 |
| 16165 | არმინია-კარლსრუე | 1.50 | 2.30 |
| 16167 | ჰერტა-ვერდერი | 2.20 | 1.50 |
| 16169 | კიოლნი-მიონხენგლადბახი | 1.55 | 2.20 |
| 16170 | სტ.პაული-ფრაიბურგი | 1.82 | 1.82 |
| 16171 | ფიურტი-მიუნხენი 1860 | 1.38 | 2.65 |
| 16172 | აუგსბურგი-აახენი | 1.30 | 3.00 |
| 16173 | კარლ ცეისი-პადერბორნი | 1.38 | 2.65 |
| 16174 | კობლენცი-ოფენბახი | 1.32 | 3.00 |
| 16175 | მაინცი-ვეენი | 1.22 | 3.40 |
| 16176 | კაიზერსლაუტერნი-ჰოფენჰაიმი | 2.10 | 1.60 |
| 16177 | ალემანია-ოსნაბრიუკი | 1.24 | 3.60 |
| 16196 | ტორინო-რომა | 1.58 | 2.10 |
| 16197 | ზალცბურგი-შტურმი | 1.10 | 5.50 |
| 16198 | ავსტრია-მატერსბურგი | 1.12 | 4.60 |
| 16199 | ლინცი-რაპიდი | 1.80 | 1.85 |
| 16200 | ავსტრია კერნტენი-ალტახი | 1.32 | 3.00 |
| 16207 | აარაუ-თუნი | 1.22 | 3.40 |
| 16210 | ქსამაქსი-სტ.გალენი | 1.55 | 2.20 |
| 16211 | სიონი-ციურიხი | 1.62 | 2.05 |
| 16301 | ბასტია-ამიენი | 1.38 | 2.65 |
| 16302 | შატორუ-ნიმი | 1.45 | 2.45 |
| 16303 | ლე ჰავრი-ანჟე | 1.22 | 3.40 |
| 16304 | გეინიონი-ბულონი | 1.80 | 1.85 |
| 16305 | ლიბურნი-დიჟონი | 1.52 | 2.20 |
| 16306 | ბრესტი-გენგამი | 1.50 | 2.30 |
| 16307 | კლერმონი-მონპელიე | 1.52 | 2.20 |
| 16308 | ნანტი-ნიორი | 1.11 | 5.70 |
| 16309 | რეიმსი-სედანი | 1.75 | 1.85 |
| 16310 | გრენობლი-ტრუა | 1.65 | 2.05 |
| 16311 | ლოკერენი-შარლერუა | 1.75 | 1.85 |
| 16312 | ბრიუგე-მუსკრონი | 1.82 | 1.82 |
| 16313 | გენკი-ლიერსი | 1.24 | 3.60 |
| 16314 | გენტი-სტ.ტრუიდენი | 1.12 | 4.60 |
| 16315 | რუსელარე-ბევერენი | 2.05 | 1.62 |
| 16318 | ვესტერლო-ანდერლეხტი | 2.30 | 1.50 |
| 16319 | [illegible] | 1.95 | 1.65 |
| 16320 | [illegible] | 1.14 | 4.70 |
| 16341 | როდა-ნაიმეხენი | 1.34 | 2.80 |
| 16342 | ტილბურგი-ჰერენვენი | 2.20 | 1.52 |
| 16346 | ვიტესი-სპარტა | 1.34 | 2.80 |
| 16347 | ფეიენოორდი-უტრეხტი | 1.17 | 4.10 |
| 16350 | ვენლო-ალკმაარი | 1.95 | 1.65 |
| 16351 | გრონინგენი-ბრედა | 1.55 | 2.20 |
| 16352 | კამბური-დენ ჰააგი | 2.45 | 1.40 |
| 16353 | ემენი-დორდრეხტი | 1.55 | 2.20 |
| 16354 | ტელსტარი-[illegible] | 1.52 | 2.20 |
| 16355 | [illegible] | 1.14 | 4.70 |
| 16356 | ვალვეიკი-ზვოლე | 1.34 | 2.80 |
| 16357 | მაასტრიხტი-[illegible] | 1.10 | 5.50 |
| 16358 | ოსი-ვეენდამი | 1.34 | 2.80 |
| 16359 | აგოვაბერი-ვოლენდამი | 3.00 | 1.30 |
| 16360 | დენ ბოსხი-როზენდაალი | 1.25 | 3.40 |
| 16361 | [illegible] | 1.14 | 4.70 |
| 16362 | [illegible] | 1.85 | 1.80 |
| 16363 | ბოავიშტა-ბენფიკა | 2.45 | 1.40 |
| 16367 | ლეიშოეში-ბელენენსეში | 1.80 | 1.80 |
| 16368 | მარიტიმუ-ნასიონალი | 1.58 | 2.10 |
| 16369 | ეშტრელა-გიმარაეში | 2.20 | 1.52 |
| 16371 | სპორტინგი-ბრაგა | 1.14 | 4.70 |
| 16372 | ლეირია-ნავალი | 1.80 | 1.80 |
| 16390 | [illegible] | 1.70 | 1.95 |
| 16391 | [illegible] | 1.25 | 3.40 |
| 16392 | [illegible] | 2.90 | 1.32 |
| 16394 | [illegible] | 1.17 | 4.10 |
| 16395 | ფენერბაჩე-კაისერი | 1.11 | 5.70 |
| 16396 | რიზე-კონია | 1.40 | 2.55 |
| 16397 | გენჩლერბირლიგი-ანკარაგუჯუ | 1.55 | 2.20 |
| 16398 | ბურსა-მანისა | 1.34 | 2.80 |
| 16399 | [illegible] | 1.40 | 2.55 |

## გოლი: ლუწი-1 კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17156 | დორტმუნდი-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17158 | აინტრახტი-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17160 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17161 | ბაიერნი-ბოხუმი | 1.85 | 1.95 |
| 17163 | ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 1.85 | 1.95 |
| 17164 | დუისბურგი-კოტბუსი | 1.85 | 1.95 |
| 17165 | არმინია-კარლსრუე | 1.85 | 1.95 |
| 17166 | შალკე-ჰანზა | 1.85 | 1.95 |
| 17167 | ჰერტა-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17169 | კიოლნი-მიონხენგლადბახი | 1.85 | 1.95 |
| 17170 | სტ.პაული-ფრაიბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17171 | ფიურტი-მიუნხენი 1860 | 1.85 | 1.95 |
| 17172 | აუგსბურგი-აახენი | 1.85 | 1.95 |
| 17173 | კარლ ცეისი-პადერბორნი | 1.85 | 1.95 |
| 17174 | კობლენცი-ოფენბახი | 1.85 | 1.95 |
| 17175 | მაინცი-ვეენი | 1.85 | 1.95 |
| 17176 | კაიზერსლაუტერნი-ჰოფენჰაიმი | 1.85 | 1.95 |
| 17177 | ალემანია-ოსნაბრიუკი | 1.85 | 1.95 |
| 17196 | ტორინო-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17197 | ზალცბურგი-შტურმი | 1.85 | 1.95 |
| 17198 | ავსტრია-მატერსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17199 | ლინცი-რაპიდი | 1.85 | 1.95 |
| 17200 | ავსტრია კერნტენი-ალტახი | 1.85 | 1.95 |
| 17207 | აარაუ-თუნი | 1.85 | 1.95 |
| 17210 | ქსამაქსი-სტ.გალენი | 1.85 | 1.95 |
| 17211 | სიონი-ციურიხი | 1.85 | 1.95 |
| 17301 | ბასტია-ამიენი | 1.85 | 1.95 |
| 17302 | შატორუ-ნიმი | 1.85 | 1.95 |
| 17303 | ლე ჰავრი-ანჟე | 1.85 | 1.95 |
| 17304 | გეინიონი-ბულონი | 1.85 | 1.95 |
| 17305 | ლიბურნი-დიჟონი | 1.85 | 1.95 |
| 17306 | ბრესტი-გენგამი | 1.85 | 1.95 |
| 17307 | კლერმონი-მონპელიე | 1.85 | 1.95 |
| 17308 | ნანტი-ნიორი | 1.85 | 1.95 |
| 17309 | რეიმსი-სედანი | 1.85 | 1.95 |
| 17310 | გრენობლი-ტრუა | 1.85 | 1.95 |
| 17311 | ლოკერენი-შარლერუა | 1.85 | 1.95 |
| 17312 | ბრიუგე-მუსკრონი | 1.85 | 1.95 |
| 17313 | გენკი-ლიერსი | 1.85 | 1.95 |
| 17314 | გენტი-სტ.ტრუიდენი | 1.85 | 1.95 |
| 17315 | რუსელარე-ბევერენი | 1.85 | 1.95 |
| 17316 | სტანდარდი-მეხელენი | 1.85 | 1.95 |
| 17318 | ვესტერლო-ანდერლეხტი | 1.85 | 1.95 |
| 17319 | [illegible] | 1.85 | 1.95 |
| 17320 | [illegible] | 1.85 | 1.95 |
| 17341 | როდა-ნაიმეხენი | 1.85 | 1.95 |
| 17342 | ტილბურგი-ჰერენვენი | 1.85 | 1.95 |
| 17343 | ტვენტე-ექსელსიორი | 1.85 | 1.95 |
| 17344 | პსვ-ჰერაკლესი | 1.85 | 1.95 |
| 17346 | ვიტესი-სპარტა | 1.85 | 1.95 |
| 17347 | ფეიენოორდი-უტრეხტი | 1.85 | 1.95 |
| 17348 | აიაქსი-გრაფსხაპი | 1.85 | 1.95 |
| 17350 | ვენლო-ალკმაარი | 1.85 | 1.95 |
| 17351 | გრონინგენი-ბრედა | 1.85 | 1.95 |
| 17352 | კამბური-დენ ჰააგი | 1.85 | 1.95 |
| 17353 | ემენი-დორდრეხტი | 1.85 | 1.95 |
| 17354 | ტელსტარი-[illegible] | 1.85 | 1.95 |
| 17355 | [illegible] | 1.85 | 1.95 |
| 17356 | ვალვეიკი-ზვოლე | 1.85 | 1.95 |
| 17357 | მაასტრიხტი-[illegible] | 1.85 | 1.95 |
| 17358 | ოსი-ვეენდამი | 1.85 | 1.95 |
| 17359 | აგოვაბერი-ვოლენდამი | 1.85 | 1.95 |
| 17360 | დენ ბოსხი-როზენდაალი | 1.85 | 1.95 |
| 17361 | [illegible] | 1.85 | 1.95 |
| 17362 | [illegible] | 1.85 | 1.95 |
| 17363 | ბოავიშტა-ბენფიკა | 1.85 | 1.95 |
| 17365 | პორტუ-[illegible] | 1.85 | 1.95 |
| 17367 | ლეიშოეში-ბელენენსეში | 1.85 | 1.95 |
| 17368 | მარიტიმუ-ნასიონალი | 1.85 | 1.95 |
| 17369 | ეშტრელა-გიმარაეში | 1.85 | 1.95 |
| 17371 | სპორტინგი-ბრაგა | 1.85 | 1.95 |
| 17372 | ლეირია-ნავალი | 1.85 | 1.95 |
| 17390 | [illegible] | 1.85 | 1.95 |
| 17391 | [illegible] | 1.85 | 1.95 |
| 17392 | [illegible] | 1.85 | 1.95 |
| 17394 | [illegible] | 1.85 | 1.95 |
| 17395 | ფენერბაჩე-კაისერი | 1.85 | 1.95 |
| 17396 | რიზე-კონია | 1.85 | 1.95 |
| 17397 | გენჩლერბირლიგი-ანკარაგუჯუ | 1.85 | 1.95 |
| 17398 | ბურსა-მანისა | 1.85 | 1.95 |
| 17399 | [illegible] | 1.85 | 1.95 |

# მაღალი ქართველი მაღლა ავიდა



**სერგო ათუაშვილმა** გუნდის გამოცვლით რომ კარგი საქმე გაიკეთა, ეს ყოველ მატჩში მტკიცდება. 223-სანტიმეტრიანმა ქართველმა ცენტრმა თითქმის მთელი სეზონი სათადარიგოთა სკამზე გაატარა და ამის მიზეზი მის გუნდებში არსებული კონკურენცია იყო. ახლახან ის შედარებით სუსტ ტტუ-ში გადავიდა და სათამაშო დროის პრობლემა ხომ აღარ აქვს და დუბლს დუბლზე აცხობს.

მისი ტტუ ესტონეთის ჩემპიონატის აუტსაიდერია. ამ გუნდში სერგო ლიდერ „კალევიდან" გადავიდა და პირდაპირ ძირითად ხუთეულში დაიკავა ადგილი. ქართველის მისვლით ტტუ-ს ფარქვეშა პოტენციალი მნიშვნელოვნად გაიზარდა და შედეგმაც არ დააყოვნა. ამ გუნდმა ბოლო ადგილს, როგორც იქნა, თავი დააღწია და ამაში ათუაშვილს ლომის წილი მიუძღვის.

ტტუ-მ გუშინწინ პირველი საამსეზონო გასვლითი მატჩი მოიგო და ცხრილში ბოლო ადგილი კონკურენტ „კრაფტს" გადაულოცა. მეტოქე არ იყო სუსტი, „პირნუს" მიმდინარე სეზონში 10 გამარჯვება მოუპოვებია, თუმც ტტუ-სთან ვერაფერი გააწყო და 68:89 დამარცხდა.

ათუაშვილმა მოედანზე 30 წუთი გაატარა და ორ ძირითად მაჩვენებელში (ქულა და მოხსნა) პირადი რეკორდი დაამყარა ესტონეთის ჩემპიონატში. სერგომ 10-დან 6 ორქულიანი ჩააგდო, რასაც 6 საჯარიმოც მიაყოლა და 18 ქულით თავისიანთაგან მხოლოდ ოლიმარ პილკს (26 ქულა) ჩამორჩა.

ათუაშვილმა „პირნუს" ფარქვეშეთი, რომ იტყვიან, აიკლო. მან მეტოქის ფარზე 11-ჯერ მოხსნა ბურთი, რასაც საკუთარზე მოხელთებული ხუთიც მიაყოლა [illegible] ობაში 16 მოხსნა [illegible] სთან ათუაშვილმა 2 ჩაჭრა [illegible] თო პას-დაფარებაც მოიხვეჭა.

რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე 5 ტური რჩება და ტტუ-ს უმაღლეს ლიგაში თავის შენარჩუნების შანსი გაუჩნდა. [illegible] ზემოთ მყოფ „რაკვერეს" [illegible] მეტი გამარჯვება აქვს. [illegible] ოდ, ტტუ-ს ნაკლები [illegible] როვებია და თუ დასკვნით [illegible] შიც იყოჩაღებს ქართველი, [illegible] შანსია, უმაღლესიდან არ გავარდეს.

რაც შეეხება გიორგი [illegible] „როკს", ეს გუნდი მეორე [illegible] ზეა და ამ ტურში ისვენებდა. [illegible] კერები" ერთი ქულით ჩამორჩება [illegible] ლიდერ „კალევს", რომლის [illegible] სწრებაც მათ ფინალში [illegible] მოედნის უპირატესობას [illegible].

ირაკლი პერტაია

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# დიდი დაბრუნება

## ატლანტა საპლეიოფო ბილეთებს ყიდის

2 აპრილი

**ატლანტა 127:120 ტორონტო**

ძირითადი დრო 107:107

**ატლანტა:** ბიბი (26 ქულა, 12 პასი, 6 მოხსნა), ჯონსონი (28 ქულა, 11 პასი, 7 მოხსნა), უილიამსი (15), სმიტი (24), ჰორფორდი (14 ქულა, 12 მოხსნა); ჩილდრესი (11), ფაჩულია (16 წუთი, 9 ქულა, 4 მოხსნა), ლოუ

**ტორონტო:** ფორდი (29 ქულა, 13 პასი), პარკერი (12), მუნი (8), ბოში (21), ნესტეროვიჩი (21); ბარნანი (17), დელფინო (8 ქულა, 11 მოხსნა), კალდერონი (3 ქულა, 10 პასი), კაპონო (4)

**დალასი 111:86 გოლდენ სტეიტი**

**დალასი:** ტერი (31), ჰოვარდი (28), ნოვიცკი (18), კიდი (5 ქულა, 17 პასი, 11 მოხსნა, 4 ჩაჭრა)

**გოლდენ სტეიტი:** ელისი (27), დევისი (20)

**ლეიკერსი 104:91 პორტლენდი**

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (36 ქულა, 13 მოხსნა, 7 პასი), ფიშერი (13)

**პორტლენდი:** ვებსტერი (23), აუთლოო (23), ბლეიკი (12 ქულა, 10 პასი)

**ბოსტონი 92:77 ინდიანა**

**ბოსტონი:** გარნეტი (20 ქულა, 11 მოხსნა), ალენი (15), პირსი (13)

**ინდიანა:** გრეინჯერი (14), დანლივი (12), ლნილი (12)

**ვაშინგტონი 109:110 მილუოკი**

**ვაშინგტონი:** ბატლერი (18), ჯემისონი (18), არენასი (17), ბლეტჩი (15)

**მილუოკი:** ვლანუევა (24 ქულა, 12 მოხსნა), ბოგუტი (20 ქულა, 10 მოხსნა)

**შარლოტი 114:118 კლივლენდი**

**შარლოტი:** რიჩარდსონი (31), ოკაფორი (25), ვოლესი (21)

**კლივლენდი:** ჯეიმსი (29), ბრაუნი (28), ვარეჟაო (17 ქულა, 12 მოხსნა)

**მაიამი 77:106 ნიუ ორლეანი**

**მაიამი:** ქუინი (18), აჰერნი (15)

**ნიუ ორლეანი:** ვესტი (22), ჩანდლერი (20 ქულა, 10 მოხსნა), პოლი (14 ქულა, 10 პასი)

**მემფისი 130:114 ნიუ იორკი**

**მემფისი:** კრიტენტონი (23), გაი (21), კონლი (18), ნავარო (16)

**ნიუ იორკი:** რენდოლფი (27 ქულა, 10 მოხსნა), კროუფორდი (24)

**იუტა 117:100 მინესოტა**

**იუტა:** ოქური (22), უილიამსი (19 ქულა, 14 პასი)

**მინესოტა:** იარიჩი (18), მაკკანტსი (17), ფოი (15)

**სიეტლი 82:104 კლიპერსი**

**სიეტლი:** დურანტი (30), გრინი (17), კოლისონი (12 ქულა, 17 მოხსნა)

**კლიპერსი:** ტორნტონი (21 ქულა, 10 მოხსნა), მაგეტი (20), ბრენდი (19)

**„ატლანტამ"** ზედიზედ მეხუთე თამაში მოიგო და ხელის გაწვდენაზე მიუახლოვდა 1999 წლის შემდეგ უნახავ პლეი ოფს. მართალია, ზაზა ფაჩულიას გუნდი 4-4 გამარჯვებით უსწრებს „ნიუ ჯერსისა" და „ინდიანას", რეგულარულში კი 7-7 მატჩი დარჩა სათამაშო, ამდენად, „ქორებს" ჯერ ოფიციალურად არ დაუბევებიათ აღმოსავლეთის რჩეულ რვეულში ადგილი, მაგრამ მოთმინება არ ჰყოფნით და 15 დღით ადრე აცხადებენ, უკვე იქ ვართო. შაბათს დაიწყებენ პლეი ოფის პირველი რაუნდისთვის ბილეთების გაყიდვას.

„ტორონტოს" ძლევამ თავისთავად გაამყარა მათი იმედები. აქამდე ატლანტელები, ძირითადად, სუსტ მეტოქეებს უგებდნენ, ახლა კი ყოჩაღი გუნდი ცხარე ბრძოლაში დაამარცხეს, ამისთვის ოვერტაიმიც კი დასჭირდათ.

„ტორონტოც" პრაქტიკულად პლეი ოფშია, თუმც „ატლანტა" მანამდე ზედიზედ ხუთჯერ დაემარცხებინა და არც ახლა ჩავიდა ჯორჯიის შტატის მთავარქალაქში მოვალეობის მოხდის მიზნით. თამაში არ წაუვიდა კანადური გუნდის ესპანელ გამთამაშებელ ხოსე კალდერონს, მაგრამ, სამაგიეროდ, იჩაუქა მეორე გამთამაშებელმა თიჯეი ფორდმა. კარგები იყვნენ ოლსტარელი კრის ბოში და სლოვენიელი ცენტრი რაშო ნესტეროვიჩი. ამ უკანასკნელმა თავის 11-წლიან ამერიკულ კარიერაში პირველად ისროლა სამქულიანი და, ჰოი, საოცრებავ, ჩააგდო კიდეც, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი სამქულიანები ატლანტელებმა ჩაყარეს.

მასპინძლები ბოლო მეოთხედის წინ 11 ქულით აგებდნენ, მაგრამ პლეი ოფის გახსენებაზე, რაც ამ გუნდზე დოპინგივით მოქმედებს, ძალა მოემატათ და თამაში გადაარჩინეს. მაიკ ბიბიმ მეოთხედის ბოლო წამებზე ჩააგდო სამიანი და 107:107 გაათანაბრა. დამატებით დროშიც მეტოქის გამტეხი ორი შორეული სროლა დასჭექა ჯოშ სმიტმა, ვისაც კარგი ჩამტენავის რეპუტაცია კი აქვს, მაგრამ სამქულიანებში მოიკოჭლებს.

„ატლანტა" რომ შინ იგებდა, მისი კონკურენტი „ინდიანა" იმ დროს ბოსტონში უიმედოდ აგებდა. „ბოსტონ სელტიქსისთვის" ეს გამარჯვება რიგით მე-60 გახლდათ და ამ გუნდმა გაიმეორა ნბა-ს ერთგვარი რეკორდი — 36 თამაშით მეტი მოიგო, ვიდრე წინა სეზონში. ასეთი მძლავრი წინსვლა მხოლოდ „სან ანტონიოს" ჰქონია 1998 წელს, როცა სეზონი 56 გამარჯვებით დაასრულა და 36-ით გადააჭარბა წინა შედეგს. „ბოსტონმა" „ინდიანას" ძლევის შემდეგ რეკორდი ხომ გაიმეორა, მაგრამ თქმაც არ უნდა, ამაზე არ გაჩერდება და სულ მალე გააუმჯობესებს კიდეც.

2 აპრილი ნბა-ში დიდი დაბრუნებების დღე იყო — თითქოს ფიცი დადესო, ტრავმების მოშუშების შემდეგ მოედანზე ერთდროულად გამოჩნდნენ დალასელი დირკ ნოვიცკი (გამოტოვა 4 თამაში), ვაშინგტონელი ჯილბერტ არენასი (66), ლეიკერსელი პაუ გასოლი (9) და კლიპერსელი ელტონ ბრენდი (74). ამ უკანასკნელმა სულაც პირველად ითამაშა მიმდინარე რეგულარულში და 19-ქულიანი დებიუტით „კლიპერსს" „სიეტლის" ძლევაში დაეხმარა, მაგრამ ლოსანჯელესელთა ვარსკვლავ ფორვარდს, ცოტა არ იყოს, „დაუგვიანდა" გამოსვლა. სანამ ის ნაოპერაციევს იშუშებდა, მისმა გუნდმა უიმედოდ წააგო რეგულარულის მარათონი.

ყველაზე დიდი ხმაური მაინც დირკ ნოვიცკის გარშემო [illegible] მიუხედავად იმისა, რომ [illegible] თამაში უქმობდა. მის „დალასს" უსასტიკესი საპლეიოფო [illegible] და ახლა უმნიშვნელოვანესი [illegible] ძლება ითქვას, სასიცოცხლო გამარჯვება მოიპოვა [illegible] წინააღმდეგსთან, მეტიც, „მავერიკსმა" „გოლდენ სტეიტი" [illegible] ვიცკის ასე მალე არც ელოდნენ, მწვრთნელმა ავერი ჯონსონმა დამწყებ ხუთეულში რომ [illegible] ახელა, თანაგუნდელებმა [illegible] ბისგან პირები დააღეს, მაგრამ [illegible] ელაფერი კარგად დასრულდა [illegible] ნოვიცკიმ ცოტა ითამაშა და [illegible] ჩააგდო, 27 წუთში 18 ქულა [illegible] ხერხა.

კოტე ყორშია

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| ბოსტონი | 60 | 15 | 80,0 |
| დეტროიტი | 53 | 21 | 71,6 |
| ორლანდო | 47 | 28 | 62,7 |
| კლივლენდი | 42 | 33 | 56,0 |
| ვაშინგტონი | 38 | 37 | 50,7 |
| ტორონტო | 38 | 37 | 50,7 |
| ფილადელფია | 38 | 37 | 50,7 |
| ატლანტა | 35 | 40 | 46,7 |
| ნიუ ჯერსი | 31 | 44 | 41,3 |
| ინდიანა | 31 | 44 | 41,3 |
| ჩიკაგო | 29 | 45 | 39,2 |
| შარლოტი | 28 | 47 | 37,3 |
| მილუოკი | 26 | 48 | 35,1 |
| ნიუ იორკი | 20 | 55 | 26,7 |
| მაიამი | 13 | 62 | 17,3 |
| **დასავლეთი** | | | |
| ნიუ ორლეანი | 52 | 22 | 70,3 |
| სან ანტონიო | 52 | 23 | 69,3 |
| ლეიკერსი | 51 | 24 | 68,0 |
| იუტა | 50 | 26 | 65,8 |
| ფინიქსი | 50 | 25 | 66,7 |
| ჰიუსტონი | 49 | 25 | 66,2 |
| დალასი | 47 | 28 | 62,7 |
| დენვერი | 46 | 29 | 61,3 |
| გოლდენ სტეიტი | 45 | 30 | 60,0 |
| პორტლენდი | 38 | 37 | 50,7 |
| საკრამენტო | 34 | 40 | 45,9 |
| კლიპერსი | 23 | 52 | 30,7 |
| მემფისი | 20 | 55 | 26,7 |
| მინესოტა | 19 | 55 | 25,7 |
| სიეტლი | 17 | 58 | 22,7 |

[illegible]

## 2 აპრილს გამოჯანმრთელებული ვარსკვლავები



ელტონ ბრენდი



პაუ გასოლი



დირკ ნოვიცკი



ჯილბერტ არენასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯანო ბაგრატიონი 70 წლისაა



[illegible] ფოტო

ვეტერან ხელბურთელს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ყოფილ პრეზიდენტს, სეოკ-ის საპატიო პრეზიდენტ ჯანო ბაგრატიონს დღეს 70 წელი შეუსრულდა.

ბატონ ჯანოს ამ იუბილეს სხვებთან ერთად საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჟაკ როგი და ევროპის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთა ასოციაციის პრეზიდენტი პატრიკ ჰიკიც ულოცავენ.

ამ მილოცვას სარბიელელებიც ვუერთდებით და ბატონ ჯანოს ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ!

## სოკ-ის პრეზიდენტ ჟაკ როგის მიმართვა ბატონ ჯანსუღ ბაგრატიონის 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით

ბატონ ბაგრატიონს,

მსურს, საუკეთესო სურვილებით გულითადად მოგილოცოთ 70 წლის იუბილე.

როგორც წარმატებული ხელბურთელი და მწვრთნელი თქვენ ათეულობით წლების მანძილზე არაერთხელ მოგიპოვებიათ ყოფილი სსრკ-ის ჩემპიონატების გამარჯვებულის ტიტული. წლების მანძილზე მრავალი ოლიმპიური ჩემპიონი და პრიზიორი ვარჯიშობდა თქვენი ხელმძღვანელობით ხელბურთში. სპორტში თქვენი საქმიანობა მხოლოდ ამით არ შემოფარგლულა, რადგან 10 წლის განმავლობაში სათავეში ედექით პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზკულტურის კათედრას. ამასთან ერთად ხელმძღვანელი თანამდებობები გეკავათ თავდაპირველად თბილისის სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის სახით, ხოლო შემდეგ საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, მანამ სანამ დაიკავებდით საქართველოში სპორტისა და ტურიზმის მინისტრის მოადგილის თანამდებობას.

1989 წლის 6 ოქტომბერს თქვენ იყავით ერთ-ერთი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დამფუძნებელთა შორის, ხოლო მოგვიანებით ასრულებდით მისი ვიცე პრეზიდენტის, ხოლო შემდეგ 1996 წლის დეკემბრიდან 2004 წლის დეკემბრამდე მისი პრეზიდენტის მოვალეობას. დღეს კი — ამ ორგანიზაციის საპატიო პრეზიდენტი ბრძანდებით. თქვენ ამავე დროს მთავარი მისიის ფუნქცია გეკისრებოდათ ატლანტის 1996 წლის ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც საქართველომ პირველად იასპარეზა დამოუკიდებელი გუნდით 36 სპორტსმენის მონაწილეობით სპორტის 13 სახეობაში.

მთელი ამ წლების მანძილზე თქვენ თვალსაჩინო ფიგურა იყავით ქართული სპორტის ისტორიაში და მხარს უჭერდით ქვეყანაში ოლიმპიურ მოძრაობას სპორტის, მისი ღირებულებების წარმოჩენით, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში. ყველა ამ დამსახურების აღიარების ნიშნად საქართველოს ხელისუფლებამ, საქართველოს ეოკ-მა და სოკ-მა დაგაჯილდოვათ ოლიმპიური ორდენით.

ოლიმპიური მოძრაობა მადლობელია ესოდენ დიდი წვლილისათვის და მსურს კიდევ ერთხელ მოგილოცოთ ეს ღირსშესანიშნავი თარიღი და გისურვოთ ბედნიერი 70 წლის იუბილე!

## ბატონ ჯანსუღ ბაგრატიონს, სეოკ-ის საპატიო პრეზიდენტს

ჩემო ძვირფასო მეგობარო, ჯანსუღ,

დიდად გამახარა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ 2008 წლის 4 აპრილს აღნიშნავთ დაბადებიდან 70 წლის იუბილეს. ნება მომეცით მთელი ევროპული ოლიმპიური ოჯახის სახელით გულითადად მოგილოცოთ და ბედნიერება გისურვოთ.

მე პირადად მსურს ყოველივე საუკეთესო გისურვოთ, როგორც ჩემს დიდ მეგობარსა და გულწრფელ მხარდამჭერს ოლიმპიურ მოძრაობაში მთელი ჩემი მოღვაწეობის პერიოდში, რასაც ძლიერ ვაფასებ.

ასევე მსურს სიამოვნებით აღვნიშნო ის შესანიშნავი დრო, რომელიც მე და ჩემმა მეუღლემ გავატარეთ თქვენი და თქვენი მშვენიერი მეუღლის გარემოცვაში და გავიხსენო რა დაუვიწყარი დრო გვიტარებია ერთად მრავალ ღონისძიებებზე.

თქვენ მართლაც უდიდესი სამსახური გაუწიეთ სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის განვითარებას თქვენს ქვეყანაში და ამ იდეალებით ხელმძღვანელობდით იმ მძიმე ჟამს.

თქვენნაირი ლიდერების გარეშე ოლიმპიური მოძრაობა ვერ იარსებებდა.

მსურს ასევე საუკეთესო სურვილები გადმოგცეთ ჩემი მეუღლის სილვიანისგან და ბედნიერი საიუბილეო დღეები გისურვოთ თქვენ და თქვენს მეუღლეს.

*პატივისცემით,*
*პატრიკ ჰიკი*
*პრეზიდენტი*

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია
გულწრფელად ულოცავს
ქართული სპორტის ლეგენდას, ბატონ
**ჯანო ბაგრატიონს**
70 წლის იუბილეს.
უსურვებს დიდხანს სიცოცხლეს
და ჯანმრთელობას

საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის
პრეზიდიუმი ულოცავს ვეტერან ხელბურთელს,
საბჭოთა კავშირის ჩემპიონს, ოლიმპიური
კომიტეტის საპატიო პრეზიდენტს, ბატონ
**ჯანო ბაგრატიონს**
70 წლის იუბილეს და დიდხანს სიცოცხლესა
და ჯანმრთელობას უსურვებს



# მაგარსაფარზეც მაგარი ნადალი

| |
|---|
| **კაცები** |
| კიბისკეინი. აშშ. ჰარდი |
| საპრიზო 3 770 000 $ |
| **მეოთხედფინალი** |
| რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) — ჯეიმს ბლეიკი (9, აშშ) 3:6 6:3 6:1; ტომაშ ბერდიხი (10, ჩეხეთი) — იგორ ანდრეევი (31, რუსეთი) 6:4 6:4 |
| **ქალები** |
| კიბისკეინი. აშშ. ჰარდი |
| საპრიზო 3 770 000 $ |
| **მეოთხედფინალი** |
| ელენა იანკოვიჩი (4, სერბეთი) — ელენა დემენტიევა (10, რუსეთი) 6:1 3:1 (უარი); ვერა ზვონარიოვა (19, რუსეთი) — დინარა საფინა (13, რუსეთი) 7:5 6:4 |

**რაფაელ ნადალი** სულ უფრო დამაჯერებლად გამოიყურება ჰარდზე. ესპანელი ნებისმიერ საფარზე ყოველთვის ანგარიშგასაწევი ძალა იყო და არც იმის სათქმელად მოგვიბრუნდება ენა, რომ მაგარსაფარზე თამაში საერთოდ არ გამოსდიოდა. მაგრამ წლევანდლამდე რაფას სტაბილურობა აკლდა — შეეძლო, რომელიმე ტურნირის ფინალში გასულიყო ან სულაც მოეგო, მაგრამ იქიდან ერთ კვირაში ერთი წრეც ვერ დაეძლია. თუმცა წლეულს პირინეელმა აშკარად აუღო ალღო ჰარდზე ჩოგნაობას — თუნდაც ის რად ღირს, რომ ნადალმა ამ საფარზე მიმდინარე სეზონში გამართული სამივე დიდი ტურნირის (ავსტრალიის ღია პირველობა, ინდიან უელსისა და კიბისკეინის მასტერსები) ნახევარფინალებს უწია.

საკუთარ თამაშში პროგრესს თავად ნადალიც ხედავს:

„ჰარდზე ამაზე კარგად არასოდეს მითამაშია. წლეულს აშკარად უფრო მეტი თვითდაჯერებით ვჩოგნაობ და ყოველ შეხვედრაში, უფრო და უფრო ვუმატებ“.

გუშინ ესპანელმა ჯეიმს ბლეიკს გამოუყვანა წირვა. მალიორკელმა ზედიზედ მეორედ გააკრა ბეჭებზე არცთუ სუსტი ამერიკელი — ნადალი ბლეიკს ორი კვირის წინ კალიფორნიაშიც გაუსწორდა და მაშინდელივით იანკს ახლაც სამი სეტი შეალია.

პირველ პარტიაში ძალთა თანაფარდობა 3:3-მდე შენარჩუნდა. აქამდე ნადალს რამდენიმე ბრეიკ პოინტი ჰქონდა, მაგრამ ყველა გაფლანგა. სამაგიეროდ, ამერიკელმა თავისი პირველი შანსი გამოიყენა და დაწინაურდა კიდეც. მეორე სეტის ბედიც შუაწელზე გაირკვა — ოღონდ ამჯერად ესპანელმა იყოჩაღა. ეტყობა, აქ ამერიკელი მორალურად გატყდა, რადგანაც ამის შემდეგ ჩოგანი ხეირიანად აღარ მოუქნევია და ამიტომაც გადამწყვეტ სეტში მხოლოდ გეიმის აღება შეძლო.

ნახევარფინალში ნადალს ტომაშ ბერდიხთან მოუწევს დაპირისპირება. ახალგაზრდა ჩეხი ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში როგორღაც ჩრდილში აღმოჩნდა, რადგანაც კარგა ხანია, რაიმე დასამახსოვრებელი არ გაუკეთებია. თუმცა სლავმა თავი ახლა შეგვახსენა, როცა წლეულს თავის პირველ ნახევარფინალს უწია. საამისოდ ბერდიხმა იგორ ანდრეევის წინააღმდეგობა დაძლია, რაც ჩეხმა ორ სეტში ზედმეტი თავის ტკივილის გარეშე შეძლო.

ნადალ-ბერდიხის ნახევარფინალში ფავორიტად ესპანელი მიიჩნევა. მართალია, წინა ექვს დაპირისპირებაში ორივემ სამ-სამჯერ იმარჯვა, მაგრამ პირინეელი ბოლო დროს უკეთესად გამოიყურება და [illegible]თი უკანასკნელი ორი შეხვედრაც მის სასარგებლოდ დასრულდა (ორივე შარშან, მონტე კარლოს ნახევარფინალსა და უიმბლდონის მეოთხედფინალში).

აი, ქალებმა კი უკვე ყველა ნახევარფინალისტის ვინაობა გაარკვიეს. გუშინ საუკეთესო ოთხეულში ადგილები ელენა იანკოვიჩმა და ვერა ზვონარიოვამ დაიმკვიდრეს. სერბს საამისოდ საათიც [illegible], რადგანაც მის სეხნია დემენტიევას ზურგი სტკიოდა და ამის გამო მატჩის დასრულება ვერ მოახერხა.

ზვონარიოვას კი დერბი ჰქონდა დინარა საფინასთან და, შესაბამისად, უფრო მეტიც იწვალა. თუმცა ვერამ თანამემამულე ორჯერვე სეტის მიწურულს გატეხა და საქმე ზედმეტად აღარ გააჯანჯლა.

**ქახა ლომაშვილი**

ჭადრაკი

# ანანდი ისევ თავშია



**მსოფლიოს** ჩემპიონმა ვიშვანათან ანანდმა ფიდეს რეიტინგში ერთპიროვნული ლიდერობა დაიბრუნა. იანვარში ფიდემ მას პირველ ადგილზე ვლადიმირ კრამნიკი შეუამხანაგა, თუმც შემდეგ ინდუსმა მორელია-ლინარესის სუპეტურნირი მოიგო და რუსიც ქვემოთ ჩასწია. დიდი ნახტომი გააკეთა 17 წლის მაგნუს კარლსენმა. წინა რეიტინგში ნორვეგიელი მე-13 იყო, ახლა კი მეხუთეა და მეოთხეზე მყოფ ტოპალოვს მცირედით ჩამორჩება.

სამწუხაროდ, ასეულს ორი ქართველი ლევან ფანცულაია და ზვიად იზორია გამოაკლდა. ჩვენებიდან საუკეთესო კვლავაც ბაადურ ჯობავაა. მან 15 ადგილით გაიუმჯობესა მდგომარეობა და ახლა 59-ეა. მეორე ქართველი მიხეილ მჭედლიშვილი კი 83-ე პოზიციაზეა.

ქალებში პირველი ისევ იუდიტ პოლგარია, თუმც ნელ-ნელა 19 წლის ჰუმპი კონერუ ეპარება. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე თანდათან თმობს პოზიციებს და მე-14 ადგილამდე ჩამოვიდა. სხვა ქართველებიდან ლელა ჯავახიშვილი 25-ეა, ნანა ძაგნიძე 35-ე, სალომე მელია 50-ე და ნინო ხურციძე 51-ე.

20 წლამდელ გოგონებში მხოლოდ ნაზი პაიკიძე გვყავს. 13 წლის ქართველმა სამი საფეხურით წაიწია წინ და ახლა მეთექვსმეტეა.

**ლაშა გეგეჭკორი**

| კაცები | |
|---|---|
| 1. ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 2803 |
| 2. ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) | 2788 |
| 3. ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) | 2774 |
| 4. ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 2767 |
| 5. მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) | 2765 |
| 6. ლევონ არონიანი (სომხეთი) | 2763 |
| 7. შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) | 2752 |
| 8. თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) | 2751 |
| 9. პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) | 2746 |
| 10. პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 2741 |
| 11. ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) | 2740 |
| 12. ალექსეი შიროვი (ესპანეთი) | 2740 |
| 13. სერგეი კარიაკინი (უკრაინა) | 2732 |
| 14. მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 2729 |
| 15. გატა კამსკი (აშშ) | 2726 |
| 16. ბორის გელფანდი (ისრაელი) | 2723 |
| 17. რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) | 2719 |
| 18. ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) | 2716 |
| 19. დმიტრი იაკოვენკო (რუსეთი) | 2711 |
| 20. ევგენი ალექსეევი (რუსეთი) | 2711 |
| 59. ბაადურ ჯობავა (საქართველო) | 2658 |
| 83. მიხეილ მჭედლიშვილი (საქართველო) | 2635 |

| ქალები | |
|---|---|
| 1. იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) | 2709 |
| 2. ჰუმპი კონერუ (ინდოეთი) | 2603 |
| 3. იფან ჰოუ (ჩინეთი) | 2549 |
| 4. პია კრამლინგი (შვედეთი) | 2539 |
| 5. ანტუანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) | 2538 |
| 6. ქსუ ჟაო (ჩინეთი) | 2523 |
| 7. ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი) | 2523 |
| 8. მარი სებაქი (საფრანგეთი) | 2521 |
| 9. ჩენ ჟუ (ყატარი) | 2521 |
| 10. მონიკა სოცკო (პოლონეთი) | 2505 |
| 11. იუჰუა ქსუ (ჩინეთი) | 2500 |
| 12. ტატიანა კოსინცევა (რუსეთი) | 2497 |
| 13. ლუფეი რუანი (ჩინეთი) | 2495 |
| 14. მაია ჩიბურდანიძე (საქართველო) | 2489 |
| 15. ანა მუჟიჩუკი (სლოვენია) | 2486 |
| 16. ირინა კრუში (აშშ) | 2479 |
| 17. ელინა დანიელიანი (სომხეთი) | 2479 |
| 18. კატერინა ლაჰნო (უკრაინა) | 2479 |
| 19. თჰან თრან ჰოანი (უნგრეთი) | 2477 |
| 20. ანა უშენინა (უკრაინა) | 2474 |
| 25. ლელა ჯავახიშვილი (საქართველო) | 2466 |
| 35. ნანა ძაგნიძე (საქართველო) | 2443 |
| 50. სალომე მელია საქართველო) | 2413 |
| 51. ნინო ხურციძე (საქართველო) | 2413 |

ცურვა

# ბრიტანეთმა რეკორდი დაასველა



**დიდ ბრიტანეთსაც** ელირსა ცურვაში მსოფლიო რეკორდი, პირველად 1990 წლის შემდეგ ამ ქვეყნის წარმომადგენელმაც გაცურა გარკვეული დისტანცია იმ დროში, რომელშიც მანამდე არავის გაუცურავს.

კონკრეტულად, ლაიამ ტენკოკმა შეფილდში მიმდინარე ქვეყნის ჩემპიონატში 50 მეტრი გულაღმა სტილით 24,47 წამში გაცურა და 0,33 წამი მოაჭრა 2003 წელს გერმანელი ტომას რუპრატის მიერ დამყარებულ მსოფლიო რეკორდს.

„ვარჯიშისას თავს საკმაოდ სწრაფად ვგრძნობდი და მეც ვუთხარი საკუთარ თავს „რატომაც არა-მეთქი". ბრიტანელები რამდენჯერმე ახლოს ვიყავით რეკორდთან და მიხარია, რომ მე მაინც გავტეხე ნავსი ამდენი ხნის შემდეგ" — კმაყოფილი იყო ტენკოკი.

ხელბურთი

# საქართველოს მე-18 ჩემპიონატი
## კაცები. მესამე წრე

**გუშინ** ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში მესამე წრის ორი შეხვედრა გაიმართა და ფავორიტებმა თითქმის ანალოგიური ანგარიშით მოიგეს. წინა დღისგან განსხვავებით, „ქუთაისმა" მეტი გოლი გაიტანა, „მამულმა" კი ზუსტად იმდენივე. დღეს მთავარი ჯახია — „სტუ-თელავი" და „თბილისი" ერთხელაც შეეცდებიან საჩემპიონო ამბიციის დაკმაყოფილებას.

**ლექსო მაისურაძე**

2 აპრილი

**სტუ-თელავი 40:15 ქუთაისი**

**სტუ-თელავი:** ტორონჯაძე, ა. ყიფიანი (10 გოლი), გოგალაძე (9), გ. ჩიქოვანი (6), საჯაია (4), ი. ჩიქოვანი (4), კობახიძე (3), ქობელაშვილი (2), ჯორბენაძე (1), ტალახაძე (1), ნიკოლაიშვილი, ო. ყიფიანი

**ქუთაისი:** შიშინაშვილი (1), ცერცვაძე (8), ჯანაშია (3), დ. გობეჯიშვილი (1), გ. გობეჯიშვილი (1), დოლიძე (1), ჩხაიძე, ნიკურაძე, ადამია, სიხარულიძე, სვანიძე, ტოლაკიძე, თუთბერიძე

*მსაჯები:* ნინო ელოშვილი, ინა ჭკუასელი

**თბილისი 40:16 მამული**

**თბილისი:** ანდრიაძე, გონჩაროვი, ქარდავა (9), ო. ქუთეთელაძე (6), ი. ტორონჯაძე (6), ლალანიძე (5), ყაველაშვილი (5), წივწივაძე (4), ჯანაშია (3), მაისურაძე (1), ლ. გელაშვილი (1)

**მამული:** ხონელიძე, გველესიანი (5), თეთრუაშვილი (4), კვერნაძე (3), მ. ქუთათელაძე (2), სეთურიძე (1), გილიგაშვილი (1), ლობჟანიძე, შონია, ჩაჩანიძე, ბერეკაშვილი

*მსაჯები:* ინა ჭკუასელი, თამარ არჩაია

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 8 | 8 | 0 | 0 | +164 | 16 |
| თბილისი | 8 | 6 | 0 | 2 | +167 | 12 |
| მამული | 8 | 2 | 0 | 6 | -135 | 4 |
| ქუთაისი | 8 | 0 | 0 | 8 | -196 | 0 |

წყალბურთი

# უკრაინის წყალში მაქსიმუმი გამოჩნდა

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა უკრაინის ღია პირველობის მესამე ტურში სამი თამაში ჩაატარა და ქულათა მაქსიმუმს მოუყარა თავი. ჩვენებმა პირველი თამაში „მარიუპოლ 2"-თან გამართეს და 15:8 მოიგეს. მომდევნო თამაში უკვე მოლდავეთის ნაკრებთან იყო, ვისაც ბოლო წლებში ქართველები ხშირად კი ჩაგრავენ, მაგრამ მეტწილად დაძაბულ პაექრობაში. ახლაც შეხვედრა საჩვენო ანგარიშით ჩამთავრდა — 14:10. ამ ორ თამაშთან შედარებით, მცირედი სხვაობით „კიევს" აჯობეს — 12:9. ნაკრებს კიდევ ორი მატჩი დარჩა სათამაშო: „ლვოვთან" და „ხარკოვთან".

უკრაინაში გამგზავრების წინ ნაკრების თავკაცმა სოსო მაისურაძემ გვითხრა, ხუთივე თამაშში მოგებას ვფიქრობთ და ვნახოთ, ეს როგორ გამოგვივა, მეტოქეები რამდენად მომზადებულები დაგვიხვდებიანო. როგორც ჩანს, ჯერ საქმე საჩვენოდაა და თუ დარჩენილი ორი თამაშიც მოიგეს, სატურნირო ცხრილშიც მომაგრდებიან. ტურის წინ ჩვენები მესამე ადგილზე იყვნენ, თუმც ეს მოგებები საგრძნობლად წაადგებათ.

სათქმელია, რომ ამჯერად შედარებით უკეთესი შემადგენლობის თავმოყრა მოხერხდა და ამან შედეგიც გამოიღო.

ბიჭებს პავლე ჯაფარიძისა (ჰანოვერი) და ილია ბუტიკაშვილის (მაგდებურგი) გარდა გიორგი კუტალაძეც ეხმარება, ვინც საკმაოდ გამოცდილია და რუსეთის ნაკრებშიც უთამაშია. ასევე ყოჩაღობს კაპიტანი ზურა რურუა, რომელსაც ბლომად გოლები გააქვს. ნაკრები თბილისში ამ უქმეებზე დაბრუნდება და დაწვრილებით ინფორმაციასაც მერე მოგაწვდით.

**ლექსო მაისურაძე**

ჰოკეი

# რეგულარული ჩემპიონატი

2 აპრილი

**კაროლინა 6:2 ტამპა**

*2:1 2:0 2:1*

1:0 სტაალი (1), 1:1 სენ ლუი (9), 2:1 ლაროუზი (17), 3:1 ლაროუზი (25), 4:1 უოკერი (29), 5:1 რუუტუ (43), 5:2 ჰელპერნი (56), 6:2 ლაროუზი (59)

**ნიუ ჯერსი 3:2 ბოსტონი**

*1:0 0:2 1:0 0:0 (1:0 ბულიტებით)*

1:0 ზუბრუსი (4), 1:1 ვაიდმენი (21), 1:2 ლუჩიჩი (37), 2:2 კლარკსონი (55)

**პიტსბურგი 4:2 ფილადელფია**

*1:2 2:0 1:0*

0:1 ჰარტნელი (9), 1:1 გონჩარი (11), 1:2 კარტერი (14), 2:2 კროსბი (27), 3:2 მალკინი (35), 4:2 კროსბი (59)

**ჩიკაგო 6:2 დეტროიტი**

*3:1 2:1 1:0*

1:0 ბარკერი (6), 2:0 ჰენრი (7), 3:0 ლენგი (8), 3:1 ზეტერბერგი (15), 4:1 ბაიფულენი (24), 4:2 მოლტბი (27), 5:2 კეინი (28), 6:2 ბურიში (56)


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ყორყოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბუსკუნია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ძაგლა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge